

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

საცილო გარიგებანი

გარიგების ნამდვილობა	4
თვალთმაქცური გარიგება	35
შეცდომით დადებული გარიგება	49

მოტყუებით დადებული გარიგება

შეცილების ვადა	68; 84
პირობითი გარიგება	146

ხანდაზმულობა

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა	157; 171
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	189

საჯილო გარიგებანი

გარიგების ნამდვილობა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-1382-1302-2017

30 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: გარიგებების ბათილად ცნობა, სანოტარო აქტის
ბათილად ცნობა და თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2015 წლის 16 აპრილს სს „ს. ბ-სა“ და კ. შ-ას (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „მონინალმდეგე მხარე“) შორის გაფორმდა იპოთეკური კრედიტის გენერალური ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წლის 16 აპრილს სს „ს. ბ-სა“ და ჯ. გ-ის (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“, „თავდაპირველი მოვალის მამა“ ან „პირველი კასატორი“) მინდობილ პირს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულებები №1059116 და №1059117, რომელთა თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... და ს/კ ... უძრავი ნივთები.

2. 2015 წლის 21 აპრილს პირველი მოსარჩელის მინდობილ პირს ი. გ-სა (შემდგომში – „თავდაპირველი მოვალე“) და მოპასუხეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... უძრავი ქონება, ხოლო ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 40 000 აშშ დოლარის ოდენობით.

3. 2015 წლის 21 აპრილს პირველი მოსარჩელის მინდობილ პირს (თავდაპირველ მოვალეს) და მოპასუხეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... უძრავი ქონება, ხოლო ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 30 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით, ხოლო იპოთეკარს წარმოადგენს სს

„ს. ბ-ი“.

4. 2015 წლის 19 მაისს ლ. გ-სა (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“, „თავდაპირველი მოვალის ძმა“ ან „მეორე კასატორი“) და მოპასუხეს შორის სანოტარო წესით შედგა შეთანხმება შემდეგზე: 2015 წლის 21 აპრილს უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულებები დაიდო არა ნასყიდობის ნების/მიზნის გამოხატვით, არამედ იმ მიზნით, რომ მოპასუხემ უზრუნველყო სს „ს. ბ-იდან“ 30 000 აშშ დოლარის სესხად გამოტანა და თავდაპირველი მოვალისთვის გადაცემა, ხოლო პირველმა მოსარჩელემ სესხის უზრუნველსაყოფად ზემოაღნიშნული უძრავი ნივთები გადაუფორმა მოპასუხეს. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ სესხის დაფარვის შემთხვევაში მოპასუხე ვალდებულია პირველ მოსარჩელეს უკან გადაუფორმოს უძრავი ქონება. აქვე, მესაკუთრე აცხადებს, რომ არ მოხდება უძრავი ქონების რაიმე სახით დატვირთვა ან/და განკარგვა.

5. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... და ს/კ ... უძრავი ნივთები ირიცხება მოპასუხის საკუთრებაში. ამონაწერებიდან ასევე დგინდება, რომ ორივე უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, ხოლო ვალდებულებათა გრაფაში არსებობს ჩანაწერი, რომლის შესაბამისად, მესაკუთრეს (მოპასუხეს) არ აქვს უფლება მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში უძრავი ნივთები რაიმე სახით დატვირთოს ან/და განკარგოს.

6. 2015 წლის 22 მაისს, ერთი მხრივ, პირველი მოსარჩელის წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე შეთანხმდნენ 2015 წლის 21 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. ხელშეკრულების გაუქმებით ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... ნასყიდობის საგანი საკუთრებაში დაუბრუნდა გამყიდველს, ხოლო მყიდველს დაუბრუნდა ნასყიდობის საგნის ღირებულება 30 000 აშშ დოლარი. ამავე შეთანხმების მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეებმა ყველა ვალდებულება ერთმანეთის მიმართ შეასრულეს ჯეროვნად და ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

7. 2015 წლის 22 მაისს მხარეები (პირველი მოსარჩელის წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე და მოპასუხე) ასევე შეთანხმდნენ 2015 წლის 21 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის მეორე ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. ხელშეკრულების გაუქმებით ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... ნასყიდობის საგანი საკუთრებაში დაუბრუნდა პირველ მოსარჩელეს. აღნიშნული შეთანხმების მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ შეთანხმებით, გაუქმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნასყიდობის საგანი, რომელიც გადაეცა კ. შ-ას

[მოპასუხეს], როგორც მყიდველს და ამავე დროს, მყიდველსა და გამყიდველს შორის ზეპირი შეთანხმებით, გადაეცა როგორც კრედიტორს, კრედიტორის წინაშე პირდაპირი მოვალის, ი. გ-ის [თავდაპირველი მოვალის] მიერ შესასრულებელი ფულადი ვალდებულებების სანაცვლოდ, რომელიც წარმოიშვა კრედიტორს კ. შ-ას [მოპასუხეს] და პირდაპირ მოვალეს, ი. გ-ს [თავდაპირველ მოვალეს] შორის ზეპირი ფორმით არსებული სესხით და შეადგენდა 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარს“; ამავე შეთანხმების მე-4 პუნქტის თანახმად, „გამყიდველმა ჯ. გ-მა [პირველმა მოსარჩელემ], როგორც მესამე პირმა, პირდაპირი მოვალის ი. გ-ის [თავდაპირველი მოვალის] ფულადი ვალდებულებების სანაცვლოდ ნატურით აუნაზღაურა ვალი კ. შ-ას [მოპასუხეს]“; შეთანხმების მე-5 პუნქტის თანახმად, „ამ შეთანხმების გაფორმების დღეს, გამყიდველი ჯ. გ-ის [პირველი მოსარჩელის] წარმომადგენელმა, მოქ. ლ. გ-მა [მეორე მოსარჩელემ], ნასყიდობის საგნის ღირებულება 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარიდან, 6 000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარი დაუბრუნა მყიდველს ნაღდი ანგარიშსწორებით წინასწარ, ხოლო დარჩენილი 34 000 (ოცდაათოთხმეტი ათას) აშშ დოლარს გადაუხდის 2016 წლის 19 დეკემბრამდე, ცალკე შედგენილი გრაფიკის მიხედვით“.

8. 2015 წლის 22 მაისს მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა შეთანხმება ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების შესახებ. ამ შეთანხმებით, მეორე მოსარჩელემ საკუთარი ნების შესაბამისად, სხვა ნებისმიერი სახის იძულების გარეშე იკისრა მოპასუხის მიმართ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს 2015 წლის 22 მაისის შეთანხმებიდან, კერძოდ, მან გამოხატა თანხმობა გადაეხადა პირველი მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულება. შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა შეადგენს 34 000 აშშ დოლარს. შედგა თანხის გადახდის გრაფიკი.

9. 2015 წლის 22 მაისს მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მესაკუთრე იპოთეკის საგნით უზრუნველყოფს იპოთეკარის მოთხოვნას იმ შემთხვევაში, თუ იგი დაარღვევს მოპასუხესთან გაფორმებულ შეთანხმებას „ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების შესახებ“.

10. პირველმა და მეორე მოსარჩელებმა (შემდგომში – „მოსარჩელები“ ან „კასატორები“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვეს:

10.1. პირველი მოსარჩელის წარმომადგენელ მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 22 მაისს დადებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შეთანხმების (სანოტარო მოქმე-

დების რეგისტრაციის №150524391) მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების ბათილად ცნობა;

10.2. მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 22 მაისს დადებული ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების შესახებ შეთანხმების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №150524800) ბათილად ცნობა;

10.3. მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 22 მაისს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №150525173) ბათილად ცნობა;

10.4. ნოტარიუს ა. მ-ას მიერ 2015 წლის 3 დეკემბერს გაცემული №151315408 სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა;

10.5. მოპასუხისთვის პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ მიღებული 6000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

11. მოსარჩელეთა განმარტებით:

11.1. მათთვის ცნობილი იყო, რომ თავდაპირველი მოვალე და მოპასუხე წლების განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს და უკანასკნელ პერიოდამდე ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ;

11.2. 2015 წლის აპრილის შუა რიცხვებში თავდაპირველ მოვალეს პირადი საჭიროებისათვის დასჭირდა 25 000 აშშ დოლარის სესხად აღება, რასაც ბანკიდან ვერ მოახერხებდა უკვე არსებული იპოთეკური სესხის გათვალისწინებით. აღნიშნულის გამო, მან დახმარების თხოვნით მიმართა მოპასუხეს. მათ შორის შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი სს „ს. ბ-იდან“ აიღებდა იპოთეკურ სესხს 30 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლიდანაც თავდაპირველი მოვალე მიიღებდა 25 000 აშშ დოლარს საბანკო სესხის დასაფარად, ხოლო 5 000 აშშ დოლარით მოპასუხე საკუთარ საბანკო დავალიანებას დაფარავდა, რასაც მოგვიანდებით დააბრუნებდა. სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ თანხებს გადაიხდიდა თავდაპირველი მოვალე;

11.3. 2015 წლის 16 აპრილს სს „ს. ბ-სა“ და მოპასუხეს შორის გაფორმდა იპოთეკური კრედიტის გენერალური ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ნივთები: ს/კ ... და ს/კ ...;

11.4. 2015 წლის 20 აპრილს მოპასუხემ განმარტა, რომ ბანკი უარს აცხადებდა სესხის გაცემაზე, თუ მისი მიზნობრიობა უძრავი ნივთის შეძენა არ იქნებოდა. აღნიშნულის გამო, მოპასუხე და თავდაპირველი მოვალე შეთანხმდნენ, რომ ფორმალურად გააფორმებდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებებს იმ პირობით, რომ ბანკისთვის სესხის დაბრუნებისთანავე „გაყიდული“ უძრავი ნივთები და-

უზრუნდებოდა მის უწინდელ მესაკუთრეს – პირველ მოსარჩელეს;

11.5. 2015 წლის 21 აპრილს პირველ მოსარჩელესა (წარმომადგენელი თავდაპირველი მოვალე) და მოპასუხეს შორის ფორმალურად დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულებები უძრავ ნივთებზე: ს/კ ... და ს/კ ... 2015 წლის 27 აპრილს უძრავი ნივთები საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მოპასუხის სახელზე;

11.6. 2015 წლის 30 აპრილს მოპასუხემ სს „ს. ბ-იდან“ მიიღო სესხი 30 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლიდანაც 25 000 აშშ დოლარი ჩარიცხა თავდაპირველი მოვალის სასესხო ანგარიშზე, ხოლო 5000 აშშ დოლარით დაფარა საკუთარი სასესხო დავალიანება ბანკში;

11.7. 2015 წლის მაისის დასაწყისში მოპასუხემ თავდაპირველ მოვალეს მოსთხოვა ბანკის სესხის დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში განუცხადა, რომ იგი მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს საკუთრებაში დაიტოვებდა და შემდგომ თავად გაყიდდა;

11.8. 2015 წლის მაისის პირველ ნახევარში თავდაპირველი მოვალე პირადი პრობლემების გამო გარკვეული ხნით მონასტერში განმარტოვდა და მისი საქმეების მოგვარება საკუთარ თავზე აიღეს მისი ოჯახის წევრებმა, რომელთათვისაც ცნობილი იყო მოპასუხესთან არსებული შეთანხმების პირობები;

11.9. იმისათვის, რომ მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს საფრთხე არ დამუქრებოდა, 2015 წლის 8 მაისს მოპასუხესა და მოსარჩელების ოჯახის ახლობელს გ. გ-ძეს შორის შედგა შეთანხმება, რომ ეს უკანასკნელი არაუგვიანეს 2015 წლის 30 მაისამდე დაფარავდა სს „ს. ბ-ის“ წინაშე არსებულ ვალდებულებას არაუმეტეს 30 000 აშშ დოლარისა, რის შემდგომაც მოპასუხეს უნდა დაებრუნებინა მის სახელზე დროებით აღრიცხული უძრავი ნივთები;

11.10. 2015 წლის 19 მაისს მოპასუხესა და პირველ მოსარჩელეს (წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე) შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც აღიარებული იქნა შემდეგი: 2015 წლის 21 აპრილს დადებული უძრავი ქონების: ს/კ ... და ს/კ ... ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო არა ნასყიდობის ნების/მიზნის გამოხატვით, არამედ იმ მიზნით, რომ მოპასუხემ უზრუნველყო ს. ბ-იდან არაუმეტეს 30 000 აშშ დოლარის სესხად გამოტანა, პირველი მოსარჩელის მინდობილი პირისთვის (თავდაპირველი მოვალისთვის) გადაცემა, ხოლო პირველმა მოსარჩელემ ამ სესხის გამოტანისა და უზრუნველყოფის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება გადაუფორმა მოპასუხეს; მოპასუხემ ბანკიდან გამოტანილი სესხიდან გარკვეული თანხა დაიტოვა; პირველი მოსარჩელის მიერ ს. ბ-ის სესხის 30 000 აშშ დოლარის დაფარვის შემთხვევაში მოპასუ-

ხე ვალდებულია უკან გადაუფორმოს ზემოაღნიშნული უძრავი ქონება; მოპასუხე აცხადებს, რომ 2015 წლის 19 ან 20 მაისის მდგომარეობით „ს. ბ-ის“ იმ ვალდებულებების დაფარვის შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფილია ზემოაღნიშნული უძრავი ქონებით და, რომელიც არ აღემატება 30 000 აშშ დოლარს, 2015 წლის 19, 20 ან 21 მაისს უძრავ ქონებას უკან გადაუფორმებს პირველ მოსარჩელეს; ამავე პერიოდში მოპასუხე აცხადებს, რომ არ მოხდება უძრავი ქონების რაიმე სახით დატვირთვა ან/და განკარგვა;

11.11. 2015 წლის 21 მაისს პირველმა მოსარჩელემ (წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე) მოპასუხეს საბანკო სესხის სრულად დასაფარად გადასცა შეთანხმებული თანხა 30 000 აშშ დოლარი, რის საფუძველზეც 2015 წლის 22 მაისს მათ შორის გაფორმდა შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, რომლის თანახმად, გაუქმდა 2015 წლის 21 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, ს/კ ...;

11.12. მითითებული თანხის მიღებიდან მეორე დღეს, 2015 წლის 22 მაისს, მოპასუხემ მეორე მოსარჩელეს განუცხადა, რომ მეორე ბინას (ს/კ: ...) არ დააბრუნებდა, ვიდრე ამავე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ 40 000 აშშ დოლარს არ დაუბრუნებდნენ. როდესაც მას შეახსენეს 2015 წლის 19 მაისის შეთანხმება და, რომ 40 000 აშშ დოლარი მოპასუხეს არ გადაუხდია, მაშინ ამ უკანასკნელმა ბოროტად ისარგებლა მეორე მოსარჩელის ნდობით, რომელიც მას ენდობოდა, როგორც საკუთარი ძმის მეგობარს, მოატყუა მეორე მოსარჩელე და განუცხადა, რომ მის ძმას – თავდაპირველ მოვალეს ჰქონდა მისი ვალი 40 000 აშშ დოლარის ოდენობით და, სანამ ეს უკანასკნელი ვალს არ გადაიხდიდა, ბინას არ დააბრუნებდა;

11.13. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 22 მაისს თავდაპირველი მოვალე თბილისში არ იმყოფებოდა და მეორე მოსარჩელემ ვერ მოახერხა მასთან ტელეფონით დაკავშირება, მეორე მოსარჩელე, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელი, ენდო მოპასუხის სიტყვას და აიღო ვალდებულება დაეფარა თავდაპირველი მოვალის დავალიანება მოპასუხისადმი. ამავე დღეს მეორე მოსარჩელეს, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, რომლის თანახმად, გამყიდველი პირველი მოსარჩელის წარმომადგენელმა მეორე მოსარჩელემ ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან 40 000 აშშ დოლარიდან 6000 აშშ დოლარი დაუბრუნა მყიდველს ნაღდი ანგარიშსწორებით წინასწარ, ხოლო დარჩენილი 34 000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მომხდარიყო 2016 წლის 19 დეკემბრამდე;

11.14. ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მოპასუხემ გამოთქვა სურვილი, რომ პირველი მოსარჩელის სახელით აღებული ვალდებულება უშუალოდ აეღო მეორე მოსარჩელეს და უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაეცვირთა საკუთარი უძრავი ნივთი, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. 2015 წლის 22 მაისს მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, მეორე მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, მოპასუხის მიმართ შეესრულებინა ის ვალდებულება, რაც გამომდინარეობდა 2015 წლის 22 მაისს გაფორმებული შეთანხმებიდან, კერძოდ, გადაეხადა პირველი მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულება. ვალი შეადგენდა 34 000 აშშ დოლარს. აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვირთა მეორე მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ნივთი, ს/კ ...;

11.15. პირველ მოსარჩელეს არავისთვის, მათ შორის, მეორე მოსარჩელისთვისაც, არ მიუცია სიტყვიერი თანხმობა ან/და წერილობითი რწმუნებულება, რომ მისი სახელით აეღო ფინანსური ვალდებულებანი ან/და ელიარებინა სხვისი ვალი, ისევე როგორც არ გაუცია თანხმობა, რომ მის მიერ შესასრულებელი ვალდებულება ვინმეს შეესრულებინა;

11.16. მეორე მოსარჩელეს, როგორც პირველი მოსარჩელის მინდობილ პირს, ამ უკანასკნელის მიერ 2015 წლის 11 მაისს გაცემული რწმუნებულების ფარგლებში, არ ჰქონდა უფლება მარწმუნებლის სახელით აეღო ფინანსური ვალდებულება ან/და ელიარებინა სხვისი ვალი;

11.17. თავდაპირველი მოვალის განცხადებით, მას მოპასუხის წინაშე არანაირი ფულადი ან/და სხვა სახის შესასრულებელი ვალდებულება არ გააჩნია. მას არავისთვის მიუცია სიტყვიერი ან/და წერილობითი თანხმობა, რომ მისი სახელით ვინმეს აეღო ფინანსური ვალდებულებანი ან/და ელიარებინა მისი ვალი. პირველი მოსარჩელის ან/და მეორე მოსარჩელის მიერ მისი სახელით რაიმე სახის არარსებული ფულადი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, თავდაპირველი მოვალე უარს აცხადებს გადახდილი თანხების ანაზღაურებაზე;

11.18. 2015 წლის 22 მაისის შეთანხმება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №150524391) თავისი შინაარსით არის წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი;

11.19. 2015 წლის 3 დეკემბერს მოპასუხემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოტყუებით დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან (№150525173) წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. 2015 წლის 3 დეკემბერს ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო

ფურცელი, რომლის საფუძველზე, თანხის ამოღება უნდა მოხდეს იპოთეკის საგნის – ს/კ ... რეალიზაციის გზით; აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობაა 34 000 აშშ დოლარი;

11.20. მოპასუხის მიერ პირველი მოსარჩელის წარმომადგენლის მეორე მოსარჩელისგან მიღებული თანხა – 6000 აშშ დოლარი წარმოადგენს უსაფუძვლოდ მიღებულ თანხას, რომელიც ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

11.21. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სახეზეა შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე მხარემ მისი ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად აღიარა არარსებული ვალი და უსაფუძვლოდ გადაიხადა აღნიშნული „ვალის“ ნაწილი 6000 აშშ დოლარის ოდენობით;

11.22. მოპასუხემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მის სახელზე ირიცხებოდა პირველი მოსარჩელის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, იძულებით, მოტყუებით და ნდობის ბოროტად გამოყენებით, ბინის დაკარგვის მუქარითა და შანტაჟით აიძულა მეორე მოსარჩელე დაედო მასთან კანონსაწინააღმდეგო და ამორალური შეთანხმებანი (იხ. საპაექრო სიტყვა).

12. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

12.1. 2015 წლის თებერვალში მას დახმარების თხოვნით მიმართა თავდაპირველმა მოვალემ. ამ უკანასკნელს სს „ს. ბ-ში“ დარჩენილი ჰქონდა სესხი 15 000 აშშ დოლარის ოდენობით და მისი გადაუხდელობის გამო შეექმნა პრობლემა. ბანკის თანამშრომელთან შეხვედრისას გაირკვა, რომ მისი დავალიანება, 15 000 აშშ დოლარის ნაცვლად, შეადგენდა 62 000 აშშ დოლარს. ვინაიდან თავად მოპასუხეც დაინტერესებული იყო, რომ მისთვის ფინანსური პრობლემები მოეგვარებინა (ამით თავადაც ზარალდებოდა), ის იძულებული გახდა დათანხმებოდა მის წინადადებას და ბანკიდან მისთვის გამოეტანა 30 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი. აქვე მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის – 30 000 აშშ დოლარისა და მოპასუხის დავალიანების – 40 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, თავდაპირველი მოვალე მას გადაუფორმებდა 90 000 აშშ დოლარად ღირებულ ორ გაერთიანებულ ბინას და ამის შემდგომ მოპასუხე რამდენიმე თვეში ან დარჩენილ დავალიანებას დაუფარავდა ან სექტემბრის ბოლომდე თვითონ გაყიდდა ამ ბინას და დაუფარავდა ბანკის დავალიანებასაც და პირად დავალიანებასაც;

12.2. 2015 წლის 21 აპრილს თავდაპირველ მოვალესა და მოპასუხეს შორის არანაირი ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა, არამედ მოპასუხეს თავდაპირველმა მოვალემ შეთანხმებისამებრ უძრავი ქონება გადაუფორმა ბანკიდან აღებული სესხის – 30 000 აშშ დოლარისა და პირადი ვალის – 40 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, რის გადახდასაც ის ფულადი სახით მოპასუ-

ხეს ვერ უსრულებდა;

12.3. 2015 წლის 8 მაისს მოპასუხესთან მივიდა თავდაპირველი მოვალე თანმხლებ პირებთან – გ. და მ. გ-ებთან ერთად, რომელთაც განაცხადეს, რომ უძრავი ნივთები მათ ეკუთვნოდათ, თავდაპირველი მოვალისთვის გადახდილი ჰქონდათ 90 000 აშშ დოლარი და მოსთხოვეს ქონების გადაფორმება მათთვის. მათ შორის შედგა შეთანხმება, რომ ისინი ერთი კვირის განმავლობაში 30 000 აშშ დოლარს გადაიხდიდნენ ბანკში და მოპასუხე გადაუფორმებდა მათ ბინას, ხოლო მოპასუხე და თავდაპირველი მოვალე შეთანხმდნენ, რომ მათ შორის არსებულ დავალიანებას თავდაპირველი მოვალე იმჟამად ვერ გადაიხდიდა, მაგრამ ამ თანხის საგარანტიოდ რაიმე სხვა ქონებას იპოთეკით დაუტვირთავდა. ამასთან, ქონებით უზრუნველყოფა მანამდე უნდა მოეგვარებინა, სანამ ბანკის 30 000 აშშ დოლარის გადახდა მოხდებოდა;

12.4. მოპასუხემ გაუაზრებლად მოაწერა ხელი გ. გ-ის მიერ შედგენილ 2015 წლის 8 მაისის შეთანხმებას, რომლის შედეგად, გ-ებს 30 000 აშშ დოლარში რჩებოდათ ორი უძრავი ქონება ანუ ის ქონება, რომელიც ფორმალურად თუ არაფორმალურად 30 000 აშშ დოლარისა და 40 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მოპასუხეს გაუფორმეს;

12.5. 2015 წლის 19 მაისს გ. გ-ქმ და მეორე მოსარჩელემ მოპასუხეს ფორმალურად შედგენილ შეთანხმებაზე ხელი იმ მოტივით მოაწერიეს, რომ საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინათ ვალდებულება, რომლის თანახმად, მოპასუხე შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში უძრავ ქონებას რაიმე სხვა სახით არ დატვირთავდა ან/და განკარგავდა. შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდგომ, მეორე მოსარჩელემ მოპასუხეს 30 000 აშშ დოლარი გადასცა სს „ს. ბ-ის“ სესხის დასაფარად, რაც მან გადაიხდა იმავე დღეს და უძრავ ქონებას იპოთეკა მოეხსნა. აღნიშნული სესხის დაფარვის შემდგომ, 2015 წლის 22 მაისს, მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე (საკადასტრო კოდი: ...);

12.6. 2015 წლის 19 მაისს თავდაპირველი მოვალე დაუკავშირდა მოპასუხეს და უძრავი ქონების გ-ზე გადაფორმება სთხოვა, ხოლო, რაც შეეხება გარანტს, მას რამდენიმე დღეში ჩაანაცვლებდა. ბანკში მისვლისას მოპასუხეს, თავდაპირველი მოვალის ნაცვლად, დახვდნენ მეორე მოსარჩელე და მ. გ. როდესაც მოპასუხემ მეორე მოსარჩელეს აუხსნა მასსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული შეთანხმების შესახებ, მეორე მოსარჩელემ განაცხადა, რომ თვითონ დატვირთავდა უძრავ ქონებას 40 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ. მეორე მოსარჩელე დაუკავშირდა თავდაპირველ მოვა-

ლეს და დაიბარა ნოტარიუსთან დავალიანების ოდენობის გასარკვევად. მათ დაანგარიშებისას დაადგინეს, რომ თავდაპირველი მოვალის დარჩენილი დავალიანება შეადგენდა 34 000 აშშ დოლარს, სწორედ ამ თანხაზე უნდა დადებულიყო იპოთეკის ხელშეკრულება. მათ იპოთეკის ხელშეკრულება იმ დღეს ვერ დადეს, რადგან მეორე მოსარჩელეს მის სახელზე არსებული მინდობილობით მინიჭებული არ ჰქონდა უფლებამოსილება იპოთეკის ხელშეკრულების დასადებად;

12.7. მეორე მოსარჩელემ საკუთარი სურვილით გამოხატა მზაობა ძმის ვალდებულების შესრულების თაობაზე და ეს არ მომხდარა მოპასუხის ნებით. ამასთან, მეორე მოსარჩელემ ძმის ვალდებულების შესრულება იკისრა პირადად და – არა, როგორც პირველი მოსარჩელის მინდობილმა პირმა;

12.8. 2013 წლის 8 აპრილს მოპასუხესა და თავდაპირველ მოვალეს შორის დადებულია სარგებლიანი სესხის ხელშეკრულება, საიდანაც ირკვევა მათ შორის წარმოშობილი ფულადი ვალდებულების არსებობა. თავდაპირველი მოვალის 2015 წლის 18 ივნისის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას მოპასუხის ვალი ჰქონდა 11 000 აშშ დოლარი და, რომ იხდიდა 1100 დოლარს, თუმცა მას ვალის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. სწორედ ამ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის სანაცვლოდ მოითხოვა მოპასუხემ საგარანტიოდ უძრავი ქონება, რომელიც ასევე თავისი ნებით გადასცა მეორე მოსარჩელემ.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით, საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მოსარჩელეთა მხარეს ჩაბმულ იქნა თავდაპირველი მოვალე.

14. თავდაპირველი მოვალე დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და მასში დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწ-

ყვეტილება.

19. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა 2015 წლის 22 მაისის გარიგებების იძულების ან მუქარის საფუძველზე დადების ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე აპელირებდა, რაც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბინის გასხვისების მუქარაში გამოიხატებოდა, თუმცა, სარჩელითა და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრით არ დასტურდებოდა მოპასუხის მხრიდან მითითებული „მუქარის“ ფაქტი, ისევე, როგორც მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათი – ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კრედიტორზე გაფორმებული უძრავი ქონების განკარგვის უფლებამოსილება. მოსარჩელების განმარტებით, მოპასუხემ არ შეასრულა 2015 წლის 19 მაისის შეთანხმებით აღებული ვალდებულება 30 000 აშშ დოლარის გადახდის (ბანკის ვალის დაფარვის) შემთხვევაში ორივე უძრავი ქონების უპირობოდ დაბრუნების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული შეთანხმების დარღვევა მოსარჩელებს უფლებას აძლევდა მისი შესრულება მოეთხოვათ და შესაბამისი პრეტენზიით სასამართლოსთვის მიემართათ, თუნდაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. ამის ნაცვლად, მეორე მოსარჩელემ ვალი აღიარა. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ, 2015 წლის 22 მაისის სანოტარო აქტზე, რომლის თანახმად, „...ლ. გ-ი ნებაყოფლობით, საკუთარი ნების შესაბამისად, სხვა ნებისმიერი სახის იძულების გარეშე ვიღებ ვალდებულებას, რომ კ. შ-ას მიმართ შევასრულო ის ვალდებულება, რაც გამომდინარეობს 2015 წლის 22 მაისის გაფორმებული შეთანხმებიდან, კერძოდ, გადავიხადო ჯ. გ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულება“.

20. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ ვალი აღიარა და მისი შესრულება საკუთარ თავზე იტვირთა, მუქარასა და შეთანხმების დარღვევაზე აპელირება საფუძველს მოკლებული იყო. სწორედ 2015 წლის 19 მაისის შეთანხმების გათვალისწინებით ვერ იქნებოდა მხედველობაში მიღებული მოტყუების ფაქტიც. მითითებული შეთანხმების თანახმად, მხოლოდ 30 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ უნდა დაებრუნებინა მოპასუხეს ორივე უძრავი ქონება, ამდენად, ამ დროისათვის მეორე მოსარჩელემ იცოდა, რომ მისი ოჯახის წევრს მოპასუხის წინაშე დავალიანება არ გააჩნდა. შესაბამისად, გაუგებარი იყო, 3 დღის შემდეგ, 2015 წლის 22 მაისს, როგორ გაუჩნდა მეორე მოსარჩელეს რეალური სუბიექტური აღქმა იმისა, რომ მოპასუხის ნათქვამი, 40 000 აშშ დოლარის ოდენობით ვალის შესახებ, რომელიც მოსარჩელის საზღვარგარეთ მყოფ ძმას – თავდა-

პირველ მოვალეს გააჩნდა (და რომელიც 3 დღით ადრე არ ჰქონდა), სიმართლეს შეესაბამებოდა.

21. გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა, თუ რაში ვლინდებოდა მეორე მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლა, რის შედეგადაც მისთვის ან მისი ოჯახის წევრებისათვის მის მიერ სუბიექტურად აღქმული საფრთხე რეალურად საშიში იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გარიგებები იძულების საფუძველზე ბათილად არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

22. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო პრეტენზია, რომ გარიგება მოტყუებით დაიდო. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მოტყუების ფაქტს იმ გარემოებაზე ამყარებდა, რომ თავდაპირველ მოვალეს მოპასუხის მიმართ დავალიანება არ გააჩნდა და ამ უკანასკნელმა მოსარჩელე გარიგების დადების მიზნით მოატყუა. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამართალში მოქმედ ე.წ. პრეზუმფციაზე ანუ ვარაუდზე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ და განმარტა, რომ ნოტარიუსთან გარიგების დადებაზე ნების გამოვლენის დროს, სანინალმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ მონმდება ნების გამომვლენი პირის ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. ნების გამომვლენის ნოტარიუსი განუმარტავს გარიგების შინაარსს და მის თანამდევ შედეგებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მეორე მოსარჩელე ცნობილი იყო და მას გააზრებული ჰქონდა ხელშეკრულების შინაარსი. ამის სანინალმდეგო გარემოება კი უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი მტკიცებულებით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს იმ ობიექტური გარემოების დადასტურება წარმოადგენდა, რამაც ხელი შეუშალა მეორე მოსარჩელეს მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში, თუმცა მოსარჩელეს ამ კუთხით დასაბუთებული მტკიცება სასამართლოსათვის არ შეუთავაზებია. მოსარჩელემ პალატას ვერ წარუდგინა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ გარიგებას მოტყუება დაედო საფუძვლად. სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში კი, მხოლოდ მოსარჩელებისა და თავდაპირველი მოვალის განმარტებას სასამართლო ვერ გაიზიარებდა, ვინაიდან, ისინი თავად წარმოადგენდნენ პროცესის მონაწილეებს და უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულნი საქმის შედეგით.

23. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ასევე მოსარჩელეთა შედადება მინდობილობის ნაკლის გამო გარიგების ბათილობის თაობაზე. გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდებოდა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ მეორე მოსარჩელეს, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელს, 2015 წლის 11

მაისის გაცემული მინდობილობის ფარგლებში არ ჰქონდა უფლება-
მოსილება, მესამე პირის წინაშე ელიარებინა ან/და აეღო რაიმე ფი-
ნანსური ვალდებულება.

24. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მეორე მოსარჩელესა და
მოპასუხეს შორის 2015 წლის 22 მაისის დადებული შეთანხმება (სა-
ნოტარო აქტის №150524800) ვალის აღიარებას არ წარმოადგენდა,
ვინაიდან ვალის აღიარების ხელწერილით ხდება ვალის ამღიარებ-
ლის მხრიდან მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ვალდებულები-
თი ურთიერთობის არსებობის აღიარება, შესაბამისად, ასეთ ვითა-
რებაში მიიჩნევა, რომ ვალის ამღიარებელი ვალს, კრედიტორთან
არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე, როგორც თა-
ვის ვალს, ისე აღიარებს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ
მეორე მოსარჩელემ თავის თავზე აიღო სხვისი, თავდაპირველი მო-
ვალის ვალი.

25. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 203-ე მუხლი
[სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის
მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თა-
ვის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემ-
თხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს]
ანესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ად-
გილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარი-
გების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე
პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღ-
ნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი
იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გა-
რიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება
და კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფ-
ლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს
შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზ-
ნებისათვის აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დად-
გინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის
ადგილი დაიკავოს. ამ მხრივ, საკანონმდებლო თვალსაზრისით, ნი-
შანდობლივია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ე.წ. ექ-
სპრომისიის ცნებას არ ითვალისწინებს, რა დროსაც მესამე პირი,
მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრუ-
ლობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს არ იკავებს,
არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აცებს
პასუხს. სსკ-ის 203-ე მუხლი ექსპრომისიის გამომრიცხველ დათ-
ქმას შეიცავს, კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინა-
პირობების არსებობა სსკ-ის 203-ე მუხლის კონტექსტში, ასეთ შემ-
თხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს.

26. სააპელაციო პალატის განმარტებით, ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს შორის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კანონი არ საუბრობს თავდაპირველი მოვალის თანხმობაზე, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ მეორე მოსარჩელეს თავდაპირველი მოვალის ვალდებულება ეკისრა, პირველი მოსარჩელის თანხმობა საჭირო არ იყო, რის გამოც საკითხის სამართლებრივად სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველი მოსარჩელის მიერ გაცემული მინდობილობით მეორე მოსარჩელეს ჰქონდა თუ არა ვალის აღიარების უფლება. მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 22 მაისს დადებული შეთანხმებით (სანოტარო აქტის №150524800), მეორე მოსარჩელემ თავდაპირველი მოვალის ადგილი დაიკავა.

27. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნები – ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუს ა.მ-ას მიერ 2015 წლის 3 დეკემბერს გაცემული №151315408 სააღსრულებო ფურცელი და მოპასუხეს დაეკისროს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ მიღებული 6000 აშშ დოლარის გადახდა, გამომდინარეობდა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნიდან და პირველი მოთხოვნის უარყოფა, მოცემულ შემთხვევაში, განაპირობებდა მისგან გამომდინარე სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმასაც.

28. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

29. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

29.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, როგორც სამართლებრივი, ისე – ფაქტობრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით. იგი გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს და მტკიცებულებებს მცდარი (არასწორი) შეფასება მიეცა, ხოლო მთელ რიგ მნიშვნელოვან გარემოებებზე გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას;

29.2. იძულების ან მოტყუების ფაქტები ხშირ შემთხვევაში არ დასტურდება პირდაპირი მტკიცებულებებით, ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირი მტკიცებულებებით. საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით ირკვევა, რომ უძრავ ქონებაზე არსებული

შეზღუდვა ძალაში იყო მხოლოდ შეთანხმების მოქმედების პერიოდში ანუ 23 მაისამდე. 23 მაისიდან კი მოპასუხეს არ ეზღუდებოდა საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა სადავო უძრავი ქონება. სასამართლოს პასუხგაუცემელი დარჩა შეკითხვა, თუ რატომ დადგა ვალის აღიარების საკითხი დღის წესრიგში 22 მაისს და არა – ნებისმიერ სხვა დროს;

29.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული შეთანხმების დარღვევა მოსარჩელებს უფლებას აძლევდა მისი შესრულება მოეთხოვათ და შესაბამისი პრეტენზიით სასამართლოსთვის მიემართათ, თუნდაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. თუმცა, მუქარა 22 მაისს განხორციელდა იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ 23 მაისს მოპასუხეს უკვე შეეძლო აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისება და მოსარჩელეს ფიზიკურად არ რჩებოდა დრო და საშუალება განეხორციელებინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ქმედებები. კერძოდ, მას რამდენიმე საათის განმავლობაში უნდა მოეძებნა ადვოკატი, რომელიც მოამზადებდა სარჩელს ან უკიდურეს შემთხვევაში განცხადებას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეს რომ მოეხერხებინა 23 მაისს, დილის 9 საათზე სასამართლოში უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების შეტანა, კანონის თანახმად, მისი განხილვა მოხდებოდა 24 საათის განმავლობაში და ისიც სავარაუდო შედეგით. მოპასუხეს კი შეეძლო ასევე დილის 9 საათზე მიემართა საჯარო რეესტრისთვის და კანონით გათვალისწინებული დაჩქარებული წესით რამდენიმე საათში გაესხვისებინა ქონება. აღნიშნული საფრთხე რეალური იყო მოპასუხის ბოლო ქმედებების გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ თავდაპირველმა მოვალემ თბილისში დაბრუნებისთანავე, კერძოდ, 25 მაისს განცხადებით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო ივნისში სარჩელით მიმართა სასამართლოს;

29.4. 2015 წლის 19 მაისს მეორე მოსარჩელემ ისევ არ იცოდა ძმის ვალის შესახებ, როგორც ეს არ იცოდა 22 მაისს. იგი „ფაქტის“ წინაშე დააყენეს. აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს დაიჯერებდა თუ არ დაიჯერებდა იგი ვალის არსებობას. მეორე მოსარჩელე რეალურად იდგა უძრავი ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე. სასამართლოს პასუხგაუცემელი დარჩა შეკითხვა, რატომ დადგა ვალის აღიარების საკითხი დღის წესრიგში 22 მაისს, როცა თავდაპირველი მოვალე თბილისში არ იმყოფებოდა და მასთან სატელეფონო კავშირი შეუძლებელი იყო და არა თუნდაც 19 მაისს; რატომ არ აღიარა ეს ვალი თავად თავდაპირველმა მოვალემ, რომელსაც პირვე-

ლი მოსარჩელისაგან ისეთივე სახის რწმუნებულება ჰქონდა, როგორიც – მეორე მოსარჩელეს;

29.5. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ მეორე მოსარჩელეს აღიარებინეს ძმის ვალი, რომელიც მოპასუხის მტკიცებით, ზეპირი ფორმით იყო დადებული. ამავე დროს, მოპასუხემ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში განაცხადა, რომ ეს ვალი წარმოშობილი იყო ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულების გამოკვლევისას დადგინდა, რომ ამ ვალის არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი ვერ იქნებოდა 2728 აშშ დოლარზე მეტი. ხელშეკრულება წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის ჩანაცვლება ამ შემთხვევაში სხვა მტკიცებულებით არ შეიძლება. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევის დროს მათემატიკურად დადგინდა, რომ დათვლის იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომლითაც მოპასუხემ ისარგებლა, 40 000 აშშ დოლარის ვალი ბუნებაში ვერ იარსებებდა. სასამართლომ პასუხგაუცემელი დატოვა მხარის პირდაპირი შეკითხვა: იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მეორე მოსარჩელეს აჩვენებდა ამ ხელშეკრულებას, აღიარებდა თუ არა ეს უკანასკნელი დავალიანებას 40 000 აშშ დოლარის ოდენობით ან რატომ ჩაინერა ვალის აღიარების შეთანხმებაში, რომ ვალი იყო ზეპირი და არ მოხდა მითითება აღნიშნულ ხელშეკრულებაზე;

29.6. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ პალატას ვერ წარუდგინდა რაიმე მტკიცებულება, რაც გარიგების მოტყუებით დადების ფაქტს დაადასტურებდა, ხოლო მხოლოდ მოსარჩელებისა და თავდაპირველი მოვალის განმარტებას ვერ გაიზიარებდა. აღნიშნულით სასამართლომ უგულებელყო საპროცესო კანონმდებლობის ის დებულება, რომლის თანახმად, მხარეთა ახსნა-განმარტება წარმოადგენს მტკიცებულებას;

29.7. თავდაპირველ მოვალეს წარმოადგენდა ი. გ-ი და სსკ-ის 203-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში საჭირო სწორედ მისი თანხმობა არ იყო, ხოლო პირველი მოსარჩელე არა თუ არ იყო თავდაპირველი მოვალე, არამედ იგი საერთოდ არ იყო რაიმე გარიგების მონაწილე მხარე. სააპელაციო პალატამ ამ შემთხვევაში თვითონ შექმნა „ფაქტობრივი გარემოება“ და შემდეგ მას კანონი მოარგო. ვალის აღიარების შეთანხმებით პირველი მოსარჩელე აღმოჩნდა დაზარალებულის მდგომარეობაში, ვინაიდან მეორე მოსარჩელეს მოპასუხისთვის ვალის გასტუმრების შემთხვევაში შეუძლია სწორედ მას წაუყენოს პრეტენზია და მოსთხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ვინაიდან სააპელაციო პალატის მოსაზრების გათვალისწინებით, ვალის ამღიარებელი და თავდაპირველი

მოვალე წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღიარებულ ვალს დაფარავს თავდაპირველი მოვალე, მას მოთხოვნის უფლება უჩნდება პირველი მოსარჩელის მიმართ. ამ გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატა ქმნის საშიშ პრეცედენტს, როდესაც ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერი პირის სახელით უნებართვოდ აღიაროს დავალიანება და მოთხოვნის უფლება გაიჩინოს ამ პირის მიმართ. სააპელაციო პალატის ლოგიკას თუ მივყევით, მეორე მოსარჩელეს იმავე წარმატებით შეუძლია აღიაროს ვალი სააპელაციო პალატის მოსამართლეთა სახელით და არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, ჰქონდათ თუ არა პატივცემულ მოსამართლეებს ეს ვალი, ან ჰქონდა თუ არა მეორე მოსარჩელეს მათი სახელით ამ ვალის აღიარების უფლება. სააპელაციო პალატის მიერ სსკ-ის 203-ე მუხლის განმარტება იმ შემთხვევაში იქნებოდა მართებული, თუ მეორე მოსარჩელე პირველი მოსარჩელის სახელით აღიარებდა პირველი მოსარჩელის დავალიანებას მოპასუხის მიმართ;

29.8. სასამართლომ არასწორად შეაფასა პირველი მოსარჩელის მიერ 2015 წლის 11 მაისს გაცემული რწმუნებულების ფარგლები, კერძოდ, მეორე მოსარჩელეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა პირველი მოსარჩელის სახელით მოპასუხის წინაშე ვალის (ვალდებულების) აღიარების უფლებამოსილება, თუ ამის შესახებ პირდაპირ იქნებოდა აღნიშნული („აღიაროს“, „გადაიხადოს“) რწმუნებულებაში. ეს უკანასკნელი კი ასეთ ჩანაწერს არ შეიცავს.

29.9. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ მოახერხა სასამართლოსთვის წარედგინა იძულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გამოკვეთილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 22 მაისს გაფორმდა სამი შეთანხმება: ერთით – მოპასუხემ მეორე მოსარჩელისაგან მიიღო 30 000 აშშ დოლარი და დაუბრუნა ერთი საცხოვრებელი ბინა; მეორით – მეორემ მოსარჩელემ პირველი მოსარჩელის სახელით აღიარა თავდაპირველი მოვალის დავალიანება და დაიბრუნა მეორე ბინა; მესამით – მეორე მოსარჩელემ თავისი სახელით აღიარა მის მიერვე შექმნილი პირველი მოსარჩელის დავალიანება და იპოთეკით დატვირთა საკუთარი ბინა. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ჰქონდა იძულებას, გაუგებარია ვალის აღიარება პირველი მოსარჩელის სახელით. საქმე ისაა, რომ, როდესაც მოპასუხემ ერთი ბინა დაუბრუნა მეორე მოსარჩელეს, ამის მერე წამოჭრა საკითხი ვალის არსებობის შესახებ. იძულების საგანს წარმოადგენდა სწორედ მუქარა, რომ პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინა არ დაბრუნებოდა. სწორედ ამიტომ აღიარა მეორე მოსარჩელემ ვალი პირველი მოსარჩელის სახელით. ეს აისახა შეთანხმებაში ანუ

პირველ მოსარჩელეს დაუბრუნდა პირობადადებული საკუთრება და ამის შემდეგ მეორე მოსარჩელემ უკვე საკუთარი სახელით აღიარა თავდაპირველი მოვალის დავალიანება. სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა ამ საკითხზე, თუმცა, ეს მტკიცებულებები დაწვრილებით იქნა გამოკვლეული;

29.10. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მოსარჩელე მხარეს არ წარუდგენია მტკიცებულება საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად. მოსარჩელე მხარემ წარადგინა: ა) რწმუნებულება, რომლის თანახმად, მეორე მოსარჩელეს უფლება არ ჰქონდა პირველი მოსარჩელის სახელით რაიმე ფინანსური ვალდებულება ელიარებინა, რასაც სააპელაციო პალატამ უმართებულოდ მოარგო სსკ-ის 203-ე მუხლი; ბ) ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ არსებული შეზღუდვა ძალაში იყო მხოლოდ 23 მაისამდე და ამის შემდეგ მოპასუხე მოახერხებდა ამ ფართების გასხვისებას; გ) ხელშეკრულება მოპასუხის მიმართ თავდაპირველი მოვალის დავალიანების არსებობის შესახებ (ეს ხელშეკრულება თავად მოპასუხემ წარმოადგინა), საიდანაც არ დასტურდება ვალის არსებობა და შეთანხმება, სადაც მითითებულია, რომ მეორე მოსარჩელემ აღიარა ძმის ზეპირი დავალიანება; დ) შეთანხმებანი, რომელთა თანმიმდევრულად გამოკვლევის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ პირველი მოსარჩელის სახელით ვალის აღიარება მოხდა მხოლოდ ერთადერთი მიზეზით – დაკარგვას გადაერჩინათ ოჯახის კუთვნილი უძრავი ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ ეს საცხოვრებელი ბინა მესაკუთრეს არ დაუბრუნდებოდა.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

32. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

33. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას [სსსკ-ის 410-ე მუხლი].

34. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

35. მოსარჩელები 2015 წლის 22 მაისის გარიგებების ნამდვილობას სადავოდ ხდიან ორი დამოუკიდებელი საფუძვლით: ა) გარიგებები დადებულია მოტყუებით [სსკ-ის 81.1. მუხლი: თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა ამკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა]; ბ) გარიგებები დადებულია იძულების შედეგად [სსკ-ის 85-ე მუხლი: გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან], რაც გამორიცხავს ნამდვილი ნების არსებობას. ამდენად, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ სახეზეა საცილო გარიგებები, რომელთა ბათილობა დამოკიდებულია შეცილების უფლების განხორციელებაზე.

36. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საცილო გარიგებების ნამდვილობის სადავოობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განხორციელება. სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელებს დაცული აქვთ შეცილების ერთწლიანი ვადა [სსკ-ის 84-ე მუხლი: მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. სსკ-ის 89-ე მუხლი: იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტი-

დან]. კერძოდ, სადავო გარიგებები დადებულია 2015 წლის 22 მაისს [იხ. წინამდებარე განჩინების მე-7-მე-9 პუნქტები], ხოლო სარჩელი აღძრულია 2015 წლის 22 ივნისს [იხ. სარჩელი] შეცილების ერთწლიან ვადაში. შეცილების ვადის შემოწმების შემდეგ, საკასაციო პალატა იმსჯელებს მოსარჩელეთა მიერ მითითებული ბათილობის წინაპირობების საფუძვლიანობაზე.

37. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სამოქალაქო – სამართლებრივი დავის მართებულად გადწყვეტის მიზნით, მნიშვნელოვანია, შეფასდეს სარჩელისა და შესაგებლის არსებითობა, რაც სასამართლოს მხრიდან არ მოითხოვს მტკიცებით სტადიაზე გადასვლას და გულისხმობს მითითებული პროცესუალური დოკუმენტების (სარჩელისა და შესაგებლის) შეფასებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე (იხ. სუსგ №ას-1062-1022-2016, 19 თებერვალი, 2018 წელი). კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ სარჩელში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნის სსკ-ის 81-ე მუხლის შემადგენლობას და არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ სახეზე იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელეთა მოტყუება. სასამართლოს შეფასებით, არადამაჯერებელია მეორე მოსარჩელის მიერ 40 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების აღება საკუთარი ძმის სანაცვლოდ, მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განცხადების საფუძველზე, იმაზე მითითებით, რომ მეორე მოსარჩელე ძმას ვერ დაუკავშირდა მისი ვალდებულებების გადამოწმების მიზნით ამ უკანასკნელის მონასტერში (იხ. წინამდებარე განჩინების 11.8 და 11.13 პუნქტები) ან საზღვარგარეთ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-20 პუნქტი) ყოფნის გამო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა მოსარჩელეს დაცული აქვს გარიგების ბათილად ცნობისათვის კანონით დადგენილი შეცილების ვადა, მას აქვს ისეთი ფაქტების მითითების ვალდებულება, რომლებიც წარმოქმნის გარიგების მოტყუებით დადების ვარაუდის საფუძველს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანა წარმოქმნილი პრეზუმფციის გასაქარწყლებლად და იმის სამტკიცებლად, რომ გარიგება მოტყუებით არ დადებულია. წინამდებარე საქმეში, მოსარჩელეებმა ვერ მიუთითეს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც მოპასუხის მხრიდან მათი მოტყუების ან მათი ნდობით ბოროტად სარგებლობის ვარაუდს შექმნიდა.

38. ზემოაღნიშნულ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს საკასაციო საჩივარში კასატორების მითითება, რომლითაც ისინი თვითონვე არარელევანტურად მიიჩნევენ მოტყუების საფუძველით შეცილებას. კერძოდ, საკასაციო საჩივრის თანახმად, „2015 წლის 19 მა-

ისს ლ. გ-მა ისევე არ იცოდა ძმის ვალის შესახებ, როგორც ეს არ იცოდა 22 მაისს. იგი „ფაქტის“ წინაშე დააყენეს. აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს დაიჯერებდა თუ არ დაიჯერებდა ლ. გავაშედი ვალის არსებობას. იგი რეალურად იდგა უძრავი ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე“. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მეორე მოსარჩელისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, იყო თუ არა მოტყუება სახეზე, რადგან რომც სცოდნოდა, რომ მის ძმას ვალი არ ჰქონდა, იგი მაინც დადებდა სადავო გარიგებებს იძულების (მუქარის) გამო.

39. არაერთ საქმეში საკასაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შესაბამისად, მოტყუების საფუძველით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას ნების გამომვლენში ისეთი შეცდომის გამოწვევა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამომვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი (იხ. სუსგ №ას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წელი; №ას-1052-972-2017, 21 ნოემბერი, 2017 წელი). გარიგების ბათილად ცნობისთვის საკმარისია მოტყუების ობიექტური ფაქტის არსებობა, რაც გამოიხატება ხელშეკრულების მეორე მხარისთვის არასწორი ან არასრული ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებაში. სამართლებრივად მნიშვნელობის მქონეა იმ სახის გასაკიცხი მოქმედებაც, რაც გარიგების დადების საფუძველი გახდა, როცა აშკარაა, რომ ამგვარი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა (იხ. სუსგ №ას-1052-972-2017, 21 ნოემბერი, 2017 წელი).

40. განსახილველ შემთხვევაში, კასატორები თავად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სადავო გარიგებები მოტყუების გარეშეც დაიდებოდა ანუ მეორე მოსარჩელე სადავო გარიგებებს დადებდა იმისდა მიუხედავად, ადგილი ექნებოდა თუ არა მოპასუხის მიერ იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ მის ძმას გააჩნდა მოპასუხის მიმართ დავალიანება, რის გამოც სახეზე არ გვაქვს სსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა – თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუე-

ბის გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. განსახილველ შემთხვევაში მოტყუება შთანთქმულია იძულების ელემენტით, რადგან მოტყუებას ადგილი რომც არ ჰქონოდა, გარიგებები მაინც დაიდებოდა იძულების შედეგად. ამდენად, გარიგებების ბათილობის ფაქტობრივი საფუძველია არა მოტყუება, არამედ იძულება, მისი არსებობის დადასტურების შემთხვევაში.

41. როგორც ზემოთ აღინიშნა, კასატორები ხელშეკრულებების ნამდვილობას სადავოდ ხდიან მეორე საფუძვლითაც. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ სადავო გარიგებები დადებულია მეორე მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების შედეგად. მათი განცხადებით, იძულება გამოიხატებოდა მუქარაში, რომ პირველი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინა არ დაბრუნდებოდა. საკასაციო საჩივრის ავტორები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ უძრავ ქონებაზე არსებული შეზღუდვა ძალაში იყო მხოლოდ შეთანხმების მოქმედების პერიოდში ანუ 23 მაისამდე; 23 მაისიდან კი მოპასუხეს არ ეზღუდებოდა საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა სადავო უძრავი ქონება; მოსარჩელეს ფიზიკურად არ რჩებოდა დრო და საშუალება განეხორციელებინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ქმედებები; აღნიშნული საფრთხე რეალური იყო მოპასუხის ბოლო ქმედებების გათვალისწინებით.

42. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება 2015 წლის 22 მაისის გარიგებების იძულების საფუძველზე დადების ფაქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელებმა ვერც სარჩელში მიუთითეს ისეთ ფაქტებზე, რომლითაც სასამართლოს, შეექმნებოდა რა სადავო გარიგებების იძულებით დადების ვარაუდის საფუძველი, შეეძლო მტკიცების ტვირთი შეებრუნებინა (იმის გათვალისწინებით, რომ მათ დაცული ჰქონდათ შეცილების ერთნაირი ვადა) და მოპასუხისთვის დაეკისრებინა პრეზუმირებული ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება. მოსარჩელეთა მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მეორე მოსარჩელემ უძრავი ქონების რაიმე სახით დატვირთვის ან/და განკარგვის შეზღუდვის მოხსნამდე, 22 მაისს იკისრა თანხის დაბრუნების ვალდებულება, არ იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ აღნიშნული ვალდებულება მან აიღო ქონების გასხვისების მუქარის გამო. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ არ დასტურდება აღნიშნული „მუქარის“ როგორც ფაქტი, ასევე მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათი [სსკ-ის 88-ე მუხლი: 85-87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინა-

აღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებია. საკასაციო პალატა მიუთითებს მეორე მოსარჩელეს, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელსა და მოპასუხეს შორის სანოტარო წესით შედგენილ 2015 წლის 19 მაისის შეთანხმებაზე, რომლის თანახმად, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში არ მოხდებოდა უძრავი ქონების რაიმე სახით დატვირთვა ან/და განკარგვა. შესაბამისად, მეორე მოსარჩელისთვის ცნობილი იყო და, ამავე დროს, მოსალოდნელიც, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პერიოდის შემდეგ, მოპასუხეს, როგორც მესაკუთრეს, შეეძლო საკუთარი კანონიერი უფლებების სრულად განხორციელება, მათ შორის, ქონების განკარგვა. შესაბამისად, კიდევაც რომ დასტურდებოდა მოპასუხის მხრიდან უძრავი ქონების გასხვისების უფლების გამოყენებაზე მითითება, ეს მაინც ვერ ჩაითვლებოდა „მუქარად“ მისი არამართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელისთვის არახელსაყრელი გარიგების დადების მხოლოდ ფაქტი ვერ გახდება ამ გარიგების იძულებით დადებულად მიჩნევის საფუძველი. სსკ-ის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, გარიგების დადება არის იძულების (მუქარის) მიზანი, გამომდინარე აქედან, შედეგიც და არა – პირიქით. თავად გარიგების დადების მხოლოდ ფაქტი არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მეორე მოსარჩელემ იძულების (მუქარის) საფუძველზე გამოავლინა გარიგების დადების ნება.

43. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორთა პრეტენზია სადავო გარიგებების იძულებით (მუქარით) დადების თაობაზე.

44. საკასაციო საჩივრის ავტორები სადავოდ ხდიან ასევე მეორე მოსარჩელის უფლებამოსილებას და საქმეში არსებული 2015 წლის 11 მაისის რწმუნებულების საფუძველზე აცხადებენ, რომ მეორე მოსარჩელეს არ ჰქონდა პირველი მოსარჩელის სახელით რაიმე ფინანსური ვალდებულების აღების უფლება.

45. იმისათვის, რათა შეფასდეს სადავო რწმუნებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლების შესაბამისობა მეორე მოსარჩელის მიერ პირველი მოსარჩელის სახელით დადებულ გარიგებასთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეთა შორის.

46. დადგენილია, რომ 2015 წლის 22 მაისს, ერთი მხრივ, პირველი მოსარჩელის წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე შეთანხმდნენ 2015 წლის 21 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. ხელშეკრულების გაუქმებით ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... ნას-

ყიდობის საგანი საკუთრებაში დაუბრუნდა გამყიდველს, ხოლო მყიდველს დაუბრუნდა ნასყიდობის საგნის ღირებულება 30 000 აშშ დოლარი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტი).

47. დადგენილია ასევე, რომ 2015 წლის 22 მაისს მხარეები (პირველი მოსარჩელის წარმომადგენელი მეორე მოსარჩელე და მოპასუხე) შეთანხმდნენ 2015 წლის 21 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის მეორე ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. ხელშეკრულების გაუქმებით ქ. თბილისში, ... მდებარე, ს/კ ... ნასყიდობის საგანი საკუთრებაში დაუბრუნდა პირველ მოსარჩელეს. შეთანხმების მე-5 პუნქტის თანახმად, „ამ შეთანხმების გაფორმების დღეს, გამყიდველი ჯ. გ-ის [პირველი მოსარჩელის] წარმომადგენელმა, მოქ: ლ. გ-მა [მეორე მოსარჩელემ], ნასყიდობის საგნის ღირებულება 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარიდან, 6 000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარი დაუბრუნა მყიდველს ნაღდი ანგარიშსწორებით წინასწარ, ხოლო დარჩენილი 34 000 (ოცდათოთხმეტი ათას) აშშ დოლარს გადაუხდის 2016 წლის 19 დეკემბრამდე, ცალკე შედგენილი გრაფიკის მიხედვით“ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი).

48. მაშასადამე, 2015 წლის 22 მაისს გამყიდველმა (მეორე მოსარჩელემ, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელმა) და მყიდველმა (მოპასუხემ) ორ უძრავ ნივთზე: ს/კ ... და ს/კ ... დადეს ორი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. უძრავი ნივთის – ს/კ ... ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შედეგად, ნასყიდობის საგანი საკუთრებაში დაუბრუნდა გამყიდველს, ხოლო ნასყიდობის საგნის ღირებულება – მყიდველს. სხვაგვარად რომ ითქვას, მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად (ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად), დაუბრუნდათ მიღებული შესრულება და სარგებელი ანუ, მათ ერთმანეთს დაუბრუნეს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

49. იგივე შეიძლება ითქვას უძრავი ნივთის – ს/კ ... ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შეთანხმებაზეც, რომლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებიც აქვთ მოსარჩელეებს შედავებული. აღნიშნული შეთანხმებით, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, ორმხრივი რესტიტუციისას მყიდველმა შეასრულა მიღებული დაბრუნების (უკუქცევის) ვალდებულება, ხოლო გამყიდველმა – ნაწილობრივ, 6000 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში.

50. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო შეთანხმებით, პირველმა მოსარჩელემ და მოპასუხემ უარი თქვეს ხელშეკრულებაზე და შესაბამისი თანმდევი უკუქცევითი ვალდებულებები შეასრულეს (გამყიდველმა აღნიშნული ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა და ნაწილის შესრულების ვალდებულება სამომავლოდ იკისრა).

51. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელეთა მითითებას, რომ სადავო ხელშეკრულებით მეორე მოსარჩელემ პირველი მოსარჩელის სახელით იკისრა თავდაპირველი მოვალის ვალდებულება, სასამართლო დასახელებული წერილობითი დოკუმენტის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების შინაარსი არ იძლევა მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ, 2015 წლის 22 მაისის შეთანხმების მე-3 პუნქტი [„ამ შეთანხმებით, გაუქმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნასყიდობის საგანი, რომელიც გადაეცა კ. შ-ას [მოპასუხეს], როგორც მყიდველს და ამავე დროს, მყიდველსა და გამყიდველს შორის ზეპირი შეთანხმებით, გადაეცა როგორც კრედიტორს, კრედიტორის წინაშე პირდაპირი მოვალის, ი. გ-ის [თავდაპირველი მოვალის] მიერ შესასრულებელი ფულადი ვალდებულებების სანაცვლოდ, რომელიც წარმოიშვა კრედიტორს კ. შ-ას [მოპასუხეს] და პირდაპირ მოვალეს, ი. გ-ს [თავდაპირველ მოვალეს] შორის ზეპირი ფორმით არსებული სესხით და შეადგენდა 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარს“] არის ბუნდოვანი, გრამატიკულად გაუმართავი და დაუსრულებელი წინადადება, რომლის საფუძველზე სასამართლო ვერ გააკეთებს სამართლებრივ შეფასებას, თუმცა, ამავე შეთანხმების მე-4 პუნქტთან [გამყიდველმა ჯ. გ-მა [პირველმა მოსარჩელემ], როგორც მესამე პირმა, პირდაპირი მოვალის ი. გ-ის [თავდაპირველი მოვალის] ფულადი ვალდებულებების სანაცვლოდ ნატურით აუნაზღაურა ვალი კ. შ-ას [მოპასუხეს]] ერთობლიობაში განხილვის შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პუნქტებში ასახულია მხარეთა შორის წარსულში უკვე მომხდარი ფაქტი იმის შესახებ, რომ პირველმა მოსარჩელემ აუნაზღაურა მოპასუხეს თავდაპირველი მოვალის ფულადი ვალდებულებები ნატურით. სადავო პუნქტებიდან არ ირკვევა, რომ აღნიშნული შეთანხმებით მეორე მოსარჩელემ, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელმა, იკისრა თავდაპირველი მოვალის ფულადი ვალდებულებები.

52. მოცემული გარიგების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ასევე მოსარჩელეთა მითითება, რომ სადავო ხელშეკრულების მე-5 პუნქტით აღიარებულ ვალდებულებას საფუძვლად უდევს თავად მხარეებს შორის 2015 წლის 19 მაისის დადებული წერილობითი შეთანხმებით ბათილად მიჩნეული ნასყიდობის ხელშეკრულება და, რომ ნასყიდობის ღირებულება მოპასუხეს არ გადაუხდია, არამედ ხელშეკრულება გაფორმდა იმ მიზნით, რომ მოპასუხეს ბანკიდან აეღო სესხი (იხ. დაზუსტებული სარჩელი). უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2015 წლის 21 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით

ბის ბათილად აღიარება არ წარმოადგენს განსახილველი დავის საგანს. ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელეთა აპელირება 2015 წლის 19 მაისის წერილობით შეთანხმებაზე, კერძოდ, მასში მითითებულ ჩანაწერზე იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება დაიდო არა ნასყიდობის ნების/მიზნის გამოხატვით, არამედ – იმ მიზნით, რომ მოპასუხემ უზრუნველყო სს „ს. ბ-იდან“ 30 000 აშშ დოლარის სესხად გამოტანა, არ წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველს, ვინაიდან აღნიშნულის აღიარების შემდგომ, მხარეებმა კი არ გააუქმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ – მოცემული შეთანხმების საფუძველზე საჯარო რეესტრში დაარეგისტრირეს შეზღუდვა, რომლის თანახმად, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში მესაკუთრეს არ ჰქონდა უფლება უძრავი ქონება რაიმე სახით დაეტვირთა ან/და განეკარგა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 და მე-5 პუნქტები). ამდენად, ამ შეთანხმების საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაუქმებულა, არ გაბათილებულა მხარეების მიერ და, მაშასადამე, ნამდვილია. აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად ვერ ჩაითვლება ვერც ნასყიდობის ღირებულების გადაუხდელობის ფაქტობრივი გარემოების არსებობის შემთხვევაშიც, მსგავს ვითარებაში მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისგან ვალდებულების შესრულება და არა – ხელშეკრულების ბათილად აღიარება.

53. ხელშეკრულების სახისა და მისი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის შემდეგ, საკასაციო პალატა მიუბრუნდება სადავო რწმუნებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლების შესაბამისობის შემოწმებას ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებასთან. სასამართლო განმარტავს, რომ წარმოდგენილი პირის (პირველი მოსარჩელის) შეცილების გამო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის დადასტურების შემთხვევაში სახეზე იქნება მეორე მოსარჩელის მიერ პირველი მოსარჩელის სახელით დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. [სსკ-ის 103.1. მუხლი: გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. სსკ-ის 111.1. მუხლი: თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე].

54. საკასაციო სასამართლო საქმეში განთავსებული 2015 წლის 11 მაისის რწმუნებულების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორთა ზემოაღნიშნული პრეტენზია უსაფუძვლოა. სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულებით (სანოტარო მოქმედების რე-

გისტრაციის ნომერი №150475761) ირკვევა, რომ პირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს მიანიჭა უფლებამოსილება მართოს და განკარგოს მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც არ უნდა შესდგებოდეს იგი. ამის შესაბამისად, დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება, კერძოდ: გაყიდოს, გააჩუქოს, მიიღოს საჩუქრად, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, გაცვალოს, გააქირავოს, დააგირავოს და მიიღოს გირაოდ, სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთოს იპოთეკით შენობა თუ სხვა ქონება. ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს. ყველა შემთხვევაში განსაზღვროს ხელშეკრულების თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულების მიხედვით. ანარმოს ყველა გარიგების გაანგარიშება.

55. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა (ვარგისიანობა) დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (მათ შორის ცალმხრივ გარიგებებში) ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, ამკარა გახდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული გარეგნულად გამოხატული აზრის განსხვავებულად გაგება. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება, რომელსაც 52-ე მუხლი განამტკიცებს (იხ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჭანტურია, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011, გვ. 320).

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – ნების გამოვლენის განმარტებისას გონივრული განსჯის კრიტერიუმით და არა მარტოოდენ გარიგების ტექსტით ხელმძღვანელობა [სსკ-ის 52-ე მუხლი: ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან], ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, გარიგების განმარტებისას მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მიზნის (ნების) დასადგენად.

57. გონივრული განსჯის კრიტერიუმით ნების გამოვლენის განმარტების შედეგად, უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-განკარგვის, მათ შორის, გაყიდვის უფლებამოსილება იძლევა იმ დასკვნის გა-

მოტანის საფუძველს, რომ მეორე მოსარჩელეს ჰქონდა ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების უფლებამოსილებაც, მით უმეტეს, რომ აღნიშნული შეთანხმების ის პუნქტი, რომლის თანახმად, ნასყიდობის საგანი გამყიდველს დაუბრუნდა საკუთრებაში, პირველ მოსარჩელეს ანუ გამყიდველს სადავოდ არ გაუხდია. სადავოდ არის გამხდარი გამყიდველის მიერ შესასრულებელი, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი უკუქცევითი ვალდებულება, რომელიც მიღებული ნასყიდობის თანხის დაბრუნებაში გამოიხატება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სადავო რწმუნებულების საფუძველზე, გამყიდველის ნებას შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნასყიდობის საგნის უკან საკუთრებაში მიღება, უნდა დავასკვნათ, რომ მის ნებას შეესაბამება ნასყიდობის თანხის დაბრუნების საპირისპირო ვალდებულების წარმოშობაც. სხვაგვარი განმარტება, არალოგიკური, არათანმიმდევრული და, ამავე დროს, უსამართლო იქნებოდა. ამდენად, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა შესაბამისი შესრულების უკუქცევითი ვალდებულების აღებით (რაც თანხის დაბრუნებაში გამოიხატებოდა), შეესაბამებოდა გამყიდველის (პირველი მოსარჩელის) ნებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა პრეტენზია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის თაობაზე უსაფუძვლოა.

58. რაც შეეხება შეთანხმებას ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების შესახებ და მასთან დაკავშირებულ კასატორთა პრეტენზიას სსკ-ის 203-ე მუხლის არასწორი განმარტების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული შეთანხმება წარმოადგენს ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას [სსკ-ის 203-ე მუხლი: მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი. სსკ-ის 204-ე მუხლი: თუ ვალის გადაკისრებაზე მესამე პირი და მოვალე შეთანხმდნენ, მისი გადაკისრების ნამდვილობა მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზეა დამოკიდებული. ვალის გადაკისრების ნამდვილობისათვის მოთხოვნის მფლობელის თანხმობა საჭირო არ არის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში].

59. განსახილველ შემთხვევაში მეორე მოსარჩელემ იკისრა პირველი მოსარჩელის მიერ აღებული ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, რისთვისაც მას, სსკ-ის 203-ე მუხლიდან გამომდინარე, არ სჭირდებოდა პირველი მოსარჩელის თანხმობა.

60. რაც შეეხება მოსარჩელეთა პრეტენზიას, რომ თავდაპირველ მოვალეს არ გააჩნდა ფულადი ვალდებულება მოპასუხის მიმართ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის შემოწმება მოცემული დავის ფარგლებში დაუშვებელია. გარდა იმისა, რომ სადავოდ გამხდარი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2015 წლის 22 მაისის შეთანხმება სასამართლოს მიერ არ არის შეფასებული ვალის გადაკისრების ხელშეკრულებად, დავის საგანს არ წარმოადგენს ფულადი ვალდებულების არარსებობის დადასტურება და არც დავის მხარეებად, მოსარჩელისა და მოპასუხის სტატუსით, გვევლინებიან თავდაპირველი მოვალე და მოპასუხე.

61. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ზემოაღნიშნული შეთანხმების მე-4 პუნქტი [გამყიდველმა ჯ. გ-მა [პირველმა მოსარჩელემ], როგორც მესამე პირმა, პირდაპირი მოვალის ი. გ-ის [თავდაპირველი მოვალის] ფულადი ვალდებულებების სანაცვლოდ ნატურით აუნაზღაურა ვალი კ. შ-ას [მოპასუხეს], რომელიც უთითებს თავდაპირველი მოვალის მიერ შესასრულებელ ფულად ვალდებულებაზე და რომლის იძულებით ან მოტყუებით დადების ფაქტი ვერ დამტკიცეს მოსარჩელებმა, საკმარისი მტკიცებულებაა მოპასუხის მტკიცების ტვირთის განსახორციელებლად. დასახელებული შეთანხმება იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ თავდაპირველ მოვალეს ნამდვილად ჰქონდა შესასრულებელი ფულადი ვალდებულება მოპასუხის მიმართ. პრეზუმირებული ფაქტის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე კი, მისი უარყოფა ეკისრება მხარეს, რომლის წინააღმდეგაც ეს ვარაუდი მოქმედებს.

62. სამართალწარმოებაში პრეზუმფციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა, ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება, უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება, პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს

მხარეს, არამედ – წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილია დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის შესახებ, განსაზღვრულია კანონით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი, სასამართლო პრაქტიკით.

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პრეზუმფცია (ალბათობა), როგორც ლოგიკური სუბსტანცია, წარმოიშობა, თუ ის ბუნებრივ, ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებაზე მიუთითებს (იხ. სუსგ №ას-1062-1022-2016, 19 თებერვალი, 2018 წელი).

64. იმ პირობებში, როდესაც მხარეებმა წერილობით დაადასტურეს თავდაპირველი მოვალის ფულადი ვალდებულების არსებობა, ლოგიკურად იგულისხმება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების შედგენისას მოსარჩელეებმა გამოიჩინეს სათანადო წინდახედულება და გულისხმობა და მასში ასახეს გადამოწმებული და სინამდვილესთან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოება.

65. ამდენად, კასატორების პრეტენზია გარიგებების ბათილობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის თაობაზე დაუსაბუთებელია, შესაბამისად, მათგან გამომდინარე კასატორთა სხვა სასარჩელო მოთხოვნები, როგორიცაა იპოთეკის ხელშეკრულებისა და სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის 6000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, ასევე, უსაფუძვლოა და მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

66. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

67. რაც შეეხება კასატორთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.

გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო სასამართლოში მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2017 წლის 14 ნოემბრის განცხადება, კანცელარიის მიღების ბარათი), მთლიანობაში „7“ ფურცლად.

68. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორების მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. გ-ისა და ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. კასატორებს დაუბრუნდეთ საკასაციო სასამართლოში მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2017 წლის 14 ნოემბრის განცხადება, კანცელარიის მიღების ბარათი), მთლიანობაში „7“ ფურცლად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თვალთმაქცური გარიგება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-84-84-2018

22 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნო-
ბა, ხელშეკრულებების შესახებ და იპოთეკის ხელშეკრულებად მიჩ-
ნევა, უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრისთვის დაბრუ-
ნება, კრედიტის თანხის შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 28 დეკემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელ-
შეკრულების მიხედვით, ი. კ-ქმ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან
„კასატორი“) გაყიდა, ხოლო ქ. ბ-მა (შემდგომში – „პირველი მოპა-
სუხე“) იყიდა გორის რაიონის სოფელ ... მდებარე 45 174 კვ.მ. უძრა-
ვი ქონება, ს.კ. ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“ ან „სადა-
ვო მიწის ნაკვეთი“). ნასყიდობის საგანი გაიყიდა 3000 აშშ დოლა-
რად. ხელშეკრულება დამოწმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სა-
აგენტოს მიერ.

2. 2014 წლის 27 მაისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლების მიხედვით, პირველმა მოპასუხემ გაყიდა, ხოლო ა. გ-მა (შემ-
დგომში – „მეორე მოპასუხე“) იყიდა სადავო უძრავი ქონება. ნას-
ყიდობის საგანი გაიყიდა 3000 აშშ დოლარად. ხელშეკრულება და-
მონმდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

3. 2014 წლის 02 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახ-
მად, სადავო უძრავი ქონება ირიცხება მეორე მოპასუხის საკუთ-
რებად.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების
მიმართ და მოითხოვა მასსა და პირველ მოპასუხეს შორის 2012
წლის 28 დეკემბერს და მოპასუხეებს შორის 2014 წლის 27 მაისს
დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებების, რო-
გორც თვალთმაქცური გარიგებების, ბათილად ცნობა და მათი შეს-
ახებ და იპოთეკის ხელშეკრულებებზე მიჩნევა; ასევე, სადავო უძ-
რავი ქონების მოსარჩელის საკუთრებაში დაბრუნება და მეორე მო-

პასუხისთვის დასაბრუნებელი კრედიტის თანხის – 10 000 აშშ დოლარის 7 000 ლარით შემცირება.

5. მოსარჩელის განმარტებით, პირველი მოპასუხისგან სესხის სახით მიიღო 3000 აშშ დოლარი, ყოველთვიური 8% სარგებლით. სესხის უზრუნველყოფა მოხდა სადავო უძრავი ქონებით. იგი პირველ მოპასუხეს უხდიდა შეთანხმებულ სარგებელს, თუმცა, ვინაიდან ერთიანად ვერ შეძლო სესხის დაბრუნება, ამ უკანასკნელმა მოუძებნა ახალი გამსესხებელი – მეორე მოპასუხე, რომელმაც გადაფარა პირველი მოპასუხის მიმართ არსებული დავალიანება და 2014 წლის 27 მაისიდან უკვე მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის წარმოიშვა სასესხო ურთიერთობა. სესხის უზრუნველყოფა კვლავ სადავო უძრავი ქონებით მოხდა. მეორე მოპასუხესთან შეთანხმებით მისთვის მოსარჩელეს 2016 წლის თებერვლის ბოლოს 5000 აშშ დოლარში უნდა გადაეხადა 10 000 აშშ დოლარი, თუმცა იმის გამო, რომ ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა, დასაფარი კრედიტის თანხა 17 500 ლარიდან გაიზარდა 24 500 ლარამდე. შედეგად, გადასახდელი თანხის სხვაობამ შეადგინა 7000 ლარი, რის გამოც შეთანხმებული 10 000 აშშ დოლარის გადახდა ვერ შეძლო. მოსარჩელემ, ასევე, განმარტა, რომ მოპასუხეებთან ნაცვლად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებისა, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულებები.

6. პირველმა მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, თუმცა ამავე დროს მიუთითა, რომ მოსარჩელე თავის შვილთან ერთად თვითონ მივიდა პირველ მოპასუხესთან და შესთავაზა, რომ მისგან სესხად აღებულ 3000 აშშ დოლარს გადაუხდიდა მეორე მოპასუხე და სწორედ ამ უკანასკნელის სახელზე უნდა გადაეფორმებინა სადავო მიწის ნაკვეთი. რაც შეეხება მეორე მოპასუხესთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, განმარტა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადებას ესწრებოდა მოსარჩელე და მისი შვილი. მისი თქმით, ორივე ხელშეკრულების დადების ინიციატორი იყო თავად მოსარჩელე.

7. პირველმა მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით უარყო მასსა და მოსარჩელეს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. მისი განმარტებით, მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ამასთან, ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთი თვის განმავლობაში თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში, პირველი მოპასუხე მოსარჩელეს დაუბრუნებდა მის ნაკვეთს (იხ. 22.11.2016წ. სხდომის ოქმი).

8. მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო ნაწილობრივ, თუმცა შესაგებელში არ მიუთითებია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მი-

ცემული ახსნა-განმარტებით უარყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. მისი განმარტებით, ნასყიდობის საფასური 5000 აშშ დოლარი გადასცა მოსარჩელის შვილს, იუსტიციის სახლში. თანხის გადაცემას ესწრებოდა თავად მოსარჩელეც. პირველი მოპასუხე დაიბარეს იმიტომ, რომ მასზე იყო ნაკვეთი გაფორმებული (იხ. 22.11.2016წ. სხდომის ოქმი).

9. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

13. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე და პირველი მოპასუხე, ასევე, მოპასუხეები გარიგების სხვა შინაარსზე იყვნენ შეთანხმებულები. ამასთან, ვინაიდან გარიგების მოჩვენებითობა და თვალთმაქცურობა არ დასტურდებოდა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული გარიგების მიმართ, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა შორის დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა აღნიშნული მოთხოვნის იურიდიული ინტერესი.

14. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა რეალურ ნებას არა ნასყიდობის, არამედ სესხის ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა. მისი განმარტებით, მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებას, ასევე, სესხის ძირითადი თანხის ან სარგებლის გადახდის ფაქტს.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგებების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური ხასიათი საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რაც სარჩელის და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

17. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. მოპასუხეთა მიერ წარდგენილი შესაგებლები ქმნიდნენ სარჩელის დაკმაყოფილების კანონიერ საფუძვლებს. სადავო გარიგებების თვალთმაქცურობა თავად მოპასუხეებმა დაადასტურეს;

17.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა პირველი მოპასუხის შესაგებელი, რომლითაც იგი დაეთანხმა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მან, ასევე, სასამართლო სხდომაზე აღიარა სესხის ნაწილი;

17.3. სასამართლომ, ასევე, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მეორე მოპასუხის განმარტებას, რომლის თანახმად მან 5000 აშშ დოლარი გადასცა მოსარჩელის შვილს იუსტიციის სახლში. ამასთან, მისი თქმით, ნაკვეთი ამ უკანასკნელისგან იყიდა, ხოლო პირველი მოპასუხე იმიტომ მიიყვანეს, რომ ნაკვეთი მის სახელზე იყო გაფორმებული. თუკი პირველი მოპასუხე წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს, მეორე მოპასუხემ რატომ გადაუხადა თანხა მოსარჩელის შვილს და არა მას.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 08 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

20. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 28 დეკემბერს, ასევე, მოპასუხეთა შორის 2014 წლის 27 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები წარმოადგენს თუ არა თვალთმაქცურ გარიგებებს.

21. კასატორი დავობს, რომ სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა მოპასუხეთა მიერ შესაგებლებში და სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებებს.

22. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს, ასევე, მოპასუხეებს შორის დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებებს და მხარეთა რეალურ მიზანს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების დადება წარმოადგენდა.

23. თვალთმაქცური გარიგების ფაქტობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

24. დასახელებული სამართლებრივი ნორმის მიხედვით, გარიგების მოჩვენებით ხასიათს განაპირობებს მხარეთა განზრახვა, გარიგების დადებით მიაღწიონ მიზანს, რომელიც არ შეესაბამება ამ გარიგების შინაარსიდან გამომდინარე იურიდიულ შედეგს. მოჩვენებითი გარიგების დროს ორივე მხარე მოქმედებს საერთო მიზნით და ურთიერთშეთანხმებით, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა. მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი.

25. რაც შეეხება თვალთმაქცურ გარიგებას, უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაში/გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება – ერთი თვალთმაქცური და მეორე, რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია (იხ. სუსგ საქმე №ას-1142-1088-2014, 23 იანვარი, 2015 წელი; №ას-487-461-2015, 17 ივნისი, 2015 წელი).

26. თვალთმაქცური გარიგების დროს უნდა დადასტურდეს გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ სხვა გარიგების დადების სურ-

ვილზე და ამ დაფარული გარიგებისთვის აუცილებელი ყველა წინაპირობის არსებობაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს იმ ფაქტობრივი შემადგენლობის დადასტურება, რაც თვალთმაქცური გარიგების ყველა წინაპირობას მოიცავს.

27. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 28 დეკემბერს დაიდო სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსარჩელის მტკიცებით, მხარეთა შორის რეალურად დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ხოლო სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას. პირველმა მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით მართალია სარჩელი არ ცნო, თუმცა მიუთითა, რომ მოსარჩელე თავის შვილთან ერთად მივიდა მასთან და შესთავაზა, რომ მისგან სესხად აღებულ 3000 აშშ დოლარს გადაუხდიდა მეორე მოპასუხე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი მოპასუხის აღნიშნული განმარტება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად [ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას], წარმოადგენს აღიარებას და ადასტურებს ზემოაღნიშნული გარიგების თვალთმაქცურობის ფაქტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პირველმა მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე უარყო მხარეთა შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი და განმარტა, რომ მათ შორის ადგილი ჰქონდა ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობას (იხ. 22.11.2016წ. სხდომის ოქმი).

28. აღიარების უარყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას. თავის მხრივ, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს გადანყვეტილებაში.

29. მოცემულ შემთხვევაში, პირველ მოპასუხეს არ გაუქარწყლებია მის მიერ შესაგებელში მითითებული აღიარება იმასთან დაკავ-

შირებით, რომ მასსა და მოსარჩელეს შორის 2012 წლის 28 დეკემბერს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. მას, არათუ არ დაუდასტურებია, არც მიუთითებია იმ გარემოებაზე, რომ მისი აღიარება იყო შეცდომის ან ფსიქიკური/ფიზიკური ზემოქმედების შედეგი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე, პირველი მოპასუხის აღიარებას საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც მხარეებს სურდათ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დაფარვა. აღნიშნულ გარემოებაზე, ასევე, ირიბად მიუთითებს პირველი მოპასუხის განმარტება, რომ მხარეთა შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მას მოსარჩელისთვის უნდა დაებრუნებინა სადავო მინის ნაკვეთი. პირველმა მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის პირობებში, რამ განაპირობა მხარეთა შორის ასეთ პირობაზე შეთანხმება.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 28 დეკემბერს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას და, შესაბამისად, ბათილია. მხარეებს რეალურად სურდათ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება.

31. რაც შეეხება მოპასუხეთა შორის 2014 წლის 27 მაისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული ხელშეკრულებაც წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას და რეალურად მასსა და მეორე მოპასუხეს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ნასესხები თანხით დაიფარა 28.12.2012წ. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირველი მოპასუხის მიმართ არსებული დავალიანება და სადავო უძრავი ქონება იმავე მიზნით გადაფორმდა მეორე მოპასუხეზე.

32. მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო ნაწილობრივ, თუმცა არ მიუთითებია კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. იგი არ შედავებია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

33. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კვალიფიციური შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე

მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტორზე გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

35. ამდენად, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისთვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. ამასთან, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისთვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტორზე გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტორივი გარემოებები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად (იხ. სუსგ საქმე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი, § 201).

36. მეორე მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით, ერთი მხრივ, უარყო მასსა და მოსარჩელეს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, ხოლო, მეორე მხრივ, განმარტა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის საფასური გადასცა მოსარჩელის შვილს, პირველი მოპასუხე კი დაიბარეს იმიტომ, რომ მასზე იყო სადავო მიწის ნაკვეთი გაფორმებული (იხ. 22.11.2016წ. სხდომის ოქმი). ამით მეორე მოპასუხემ დაადასტურა, რომ მან ხელშეკრულების დადებამდე იცოდა, გამსხვიებლის მესაკუთრედ არყოფნის ფაქტი. ამასთან, მეორე მოპასუხემ ლოგიკურად და დამაჯერებლად ვერ ახსნა ის გარემოება, რატომ გადასცა ნასყიდობის საფასური მოსარჩელის შვილს და არა პირველ მოპასუხეს/გამყიდველს და იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის მონაცემებით სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მეორე მოპასუხე წარმოადგენდა, რა მიზნით ხორციელდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მოსარჩელესთან და მის შვილთან კომუნიკაცია. თავის მხრივ, პირველმა მოპასუხემაც დაადასტურა, რომ მან თანხა მიიღო მოსარჩელისა და მისი შვილისგან (იხ. 22.11.2016წ. სხდომის ოქმი) და განმარტა, რომ ორივე ხელშეკრულების დადების ინიციატივა თავად მოსარჩელისგან მოდიოდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეორე მო-

პასუხე ამჟამად არ სარგებლობს სადავო უძრავი ქონებით. ხოლო, მოსარჩელის განმარტებით, სწორედ ის უვლის მიწის ნაკვეთს.

37. საკასაციო სასამართლო მეორე მოპასუხის შედაგებას ვერ მიიჩნევს კვალიფიციურ შედაგებად, ვინაიდან იგი არათუ უარყოფს, არამედ ირიბად ადასტურებს კიდეც სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც საკასაციო სასამართლოს უქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ მოპასუხეებს შორის 2014 წლის 27 მაისს დადებული ხელშეკრულების რეალური მიზანი არ ყოფილა უძრავი ქონების გასხვისება/შეძენა. აღნიშნული დასაბუთებული ვარაუდის გაქარწლება მოპასუხეთა ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც მათ სათანადოდ ვერ განახორციელებს.

38. ამდენად, მეორე მოპასუხეს მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საპირწონედ დასაბუთებული შედაგება არ წარუდგენია. ერთი მხრივ, შეუდაგებელი, ხოლო, მეორე მხრივ, არაკვალიფიციურად შედაგებული ფაქტობრივი გარემოებები კი, სასამართლოს აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხეებს შორის დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც მხარეებს სურდათ მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის არსებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დაფარვა. შესაბამისად, აღნიშნული გარიგებაც ბათილია.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს, ასევე, მოპასუხეებს შორის დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად [პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში], სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

40. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარიგების თვალთმაქცურობის დადგენის შემთხვევაში, გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესაბამისად, სადავო გარიგებების ბათილობის გამო, მათზე უნდა გავრცელდეს სესხისა და იპოთეკისთვის დადგენილი წესები (სსკ-ის 623-ე და 289-ე მუხლები). თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაფარული გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობა. დაფარული გარიგება უნდა იყოს მართლზომიერი და ამ საფუძველით ნამდვილი. ამდენად, უნდა დადასტურდეს დაფარული გარიგების ნამ-

დვილობის აუცილებელი ყველა წინაპირობის არსებობა.

41. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. იმავე კოდექსის 623-624-ე მუხლების მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც.

42. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება და ხელშემკერელ მხარეთა უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების საგნის მოვალისთვის რეალურად გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა. ამასთან, კანონი არ ადგენს გარიგების ფორმის შეზღუდვას და უშვებს სესხის ხელშეკრულების, როგორც წერილობითი, ასევე, ზეპირი ფორმით დადების შესაძლებლობას. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულების არსებითი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემა, ასევე, მსესხებლის ნება, იკისროს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება.

43. განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მეორე მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა 5000 აშშ დოლარი (მეორე მოპასუხის განმარტებით თანხა გადასცა მოსარჩელის შვილს და თანხის გადაცემას თავად მოსარჩელეც ესწრებოდა). შესაბამისად, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა და სამოქალაქო კოდექსი მისი ნამდვილობისთვის არ ითვალისწინებს სავალდებულო წერილობით ფორმას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2014 წლის 27 მაისს მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული დაფარული გარიგება, 5000 აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულება ნამდვილია.

44. რაც შეეხება იპოთეკას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). იმავე კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იპოთეკა იურიდიულ ძალას

იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311¹ მუხლით დადგენილი წესით, შესაბამისად, წერილობით ფორმით [311¹-ე მუხლის პირველი ნაწილი: ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება].

45. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება მიჩნეულ იქნა თვალთმაქცურ, ბათილ გარიგებად. ამასთან, დადგინდა, რომ რეალურად დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის. თვალთმაქცური გარიგება დადებული იყო წერილობითი ფორმით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებაც ნამდვილია, თუმცა მისი ძალაში შესვლისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უნდა მოხდეს იპოთეკის მეორე მოპასუხის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

46. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, ასევე, წარმოადგენდა მეორე მოპასუხისათვის დასაბრუნებელი კრედიტის თანხის 10 000 აშშ დოლარის 7 000 ლარით შემცირება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში სახეზეა სარჩელის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სსსკ-ის XLIX თავი შეიცავს. იმავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სსსკ-ის XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით. იმავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. ამასთან, იმავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

49. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით არ მიუთითებია კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, კერძოდ – რას ეყრდნობოდა მხარეთა ამგვარი შეთანხმება და საიდან გამომდინარეობდა დასაბრუნებელი თანხის ოდენობა, აღნიშნული კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია.

50. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

51. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება; კერძოდ, სარჩელი უნ-

და დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად უნდა იქნას ცნობილი მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 28 დეკემბრის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მოპასუხეებს შორის 2014 წლის 27 მაისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო უძრავი ქონება უნდა აღირიცხოს მოსარჩელის საკუთრებად; ამასთან, სადავო უძრავი ქონება უნდა დაიტვირთოს იპოთეკით მეორე მოპასუხის სასარგებლოდ, მასსა და მოსარჩელეს შორის 5000 აშშ დოლარის ოდენობით არსებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად; სასარჩელო მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის დასაბრუნებელი კრედიტის 10000 აშშ დოლარის 7000 ლარით შემცირების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი და ამ ნაწილში გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

53. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

54. წინამდებარე გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამასთან, სადავო უძრავი ქონება აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებად. შესაბამისად, არ არსებობს გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი, რომლითაც სადავო უძრავ ქონებას დაედო ყადაღა.

55. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

56. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

57. წინამდებარე საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 3000 აშშ დოლარს (უძრავი

ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საფასური შეადგენდა 3000 აშშ დოლარს), შესაბამისად, სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იყო 90 აშშ დოლარის (3000 აშშ დოლარის 3%) ეკვივალენტი ლარში.

58. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დავის საგნის ღირებულება შეადგენდა კვლავ 3000 აშშ დოლარს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იყო 120 აშშ დოლარის (3000 აშშ დოლარის 4%), ხოლო საკასაციო სასამართლოში კი 150 აშშ დოლარის (3000 აშშ დოლარის 5%) ეკვივალენტი ლარში.

59. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, მოპასუხეებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ჯამში 360 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187.2, 372-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

ბ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინება და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნას ცნობილი ი. კ-ძესა და ქ. ბ-ს შორის 2012 წლის 28 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ქ. ბ-სა და ა. გ-ს შორის 2014 წლის 27 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და გორის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 45174.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: ...) აღირიცხოს ი. კ-ძის საკუთრებად;
5. გორის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 45174.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: ...) დაიტვირთოს იპოთეკით ა. გ-ის სასარგებლოდ, ი. კ-ძესა და ა. გ-ს შორის 5000 აშშ დოლარის ოდენობით არსებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად;
6. ი. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა ა. გ-ძე დასაბრუნებელი კრედიტის 10000 აშშ დოლარის 7000 ლარით შემცირების შესახებ დარჩეს განუხილველი და ამ ნაწილში გაუქმდეს გორის რაიონული სა-

სამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება;

7. ა. გ-სა (პ/ნ: ...) და ქ. ბ-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150) დაეკისროთ 360 (სამას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

8. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს ძალაში;

9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეცდომით დაღებული გარიგება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1577-2018

6 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეძე**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 4 ნოემბერს ნ. ნ-ასა (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) და კ. ქ-ს (შემდგომში – „მოპასუხე“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება“, „ნასყიდობის ხელშეკრულება“ ან „სადავო ხელშეკრულება“) მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისში, ... №6, მე-3 სართული, ფართი 72.64 კვ.მ., ს/კ № ...

2. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ინდ. მეწარმე მ. მ-ის მიერ 2016 წლის 31 ოქტომბერს შესრულებულ აზომვით ნახაზზე მითითებული 3.16 კვ.მ. ფართი; მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული აზომვითი ნახაზის მიხედვით უძრავი ნივთი გაიმიჯნებოდა ორ ნაწილად, კერძოდ, 3.16 კვ.მ. ფარ-

თზე დარეგისტრირდებოდა მოპასუხის საკუთრების უფლება, ხოლო 69.48 კვ.მ. ფართზე – მოსარჩელის საკუთრების უფლება. ნასყიდობის საგნის საფასურად განისაზღვრა 3 500 აშშ დოლარი. ხელშეკრულება შედგენილ იქნა ქართულ და რუსულ ენებზე.

3. ხელშეკრულების საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად დარეგისტრირდა. აღნიშნულის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ორი ერთეულის გაერთიანების შედეგად წარმოშობილი 84,36 კვ.მ. ფართი აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად.

4. 2016 წლის 23 დეკემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა კ. ქ-მა ნასყიდობის საფასური – 3500 აშშ დოლარი ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსა.

5. მოსარჩელეს ეცნობა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების შესახებ. მან თანხის მიღებაზე უარი განაცხადა.

6. 2016 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ნივთის, მდებარე ქ. თბილისში, ..., სართული 3, ფართი – 3.16 კვ.მ., საკადასტრო კოდი: № ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ნივთი“ ან „ლოჯია“), მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვა.

7. მოსარჩელის განმარტებით:

7.1. ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობით დაიდო, რომ მოპასუხე მოსარჩელეს ლოჯიის მოპასუხისთვის მიყიდვის სანაცვლოდ უფრო დიდი ფართის დახურულ აივანს აუშენებდა. თუმცა, როგორც მოსარჩელემ გაარკვია, აივნის აშენება შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს და არც იარსებებს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ნებართვა;

7.2. შედეგად, მოპასუხემ საკუთრებაში მიიღო მოსარჩელის ლოჯია, ხოლო ლოჯიის მოსაზღვრედ მდებარე მოსარჩელის სამზარეულო ფანჯრის გარეშე დარჩა. 3-მეტრიანი ლოჯიის დაკარგვით მოსარჩელე კარგავს ფანჯარას ეზოში, საიდანაც ჰაერი შედის მოსარჩელის პატარა, 4-მეტრიან სამზარეულოსა და მთელ ბინაში;

7.3. მხარეთა შორის არ დადებულა ნასყიდობის ხელშეკრულება კლასიკური გაგებით. ასეთი ტიპის გარიგება მოსარჩელის ნებას არ შეესაბამებოდა და დადებულია მისი მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შედეგად;

7.4. მოსარჩელეს არ სურს ლოჯიის დაკარგვა 3 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ, რომელიც მოპასუხეს მისთვის არ გადაუხდია. ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი „რომელიც

მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი“ წარმოადგენს ტყუილს. აღნიშნულ თანხას ის არ მიიღებს, რადგან ასეთი გარიგების დადება არ შეესაბამებოდა მის რეალურ ნებას. იგი პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და უჭაეროდ და უფანჯროდ ცხოვრება მის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის.

8. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

8.1. სადავო ფართი მოსარჩელის ბინის ნაწილია, რომელიც მოპასუხის ბინას ემიჯნება. არასწორია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების პირობას ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მოსარჩელისთვის დიდი ფართის დახურული აივნის აშენება წარმოადგენდა. დასახელებული პირობა ხელშეკრულებაში მითითებული არ არის;

8.2. მხარეთა შორის ნასყიდობის ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები წინასწარ იყო შეთანხმებული. გამყიდველის მიერ ხელშეკრულების შინაარსი სრულად იყო გააზრებული. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გარიგების მხარეები დაეთანხმნენ ხელშეკრულების პირობებს;

8.3. ლოჯიის ფანჯარა არ არის ერთადერთი ფანჯარა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინისთვის. ამავე დროს, მოსარჩელე ლოჯიის ფანჯრით არ სარგებლობს. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მას სრულად ჰქონდა გააზრებული, თუ რა ფართს გადასცემდა მოპასუხეს საკუთრებაში.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელე აღიარებულ იქნა სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

13. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მხარეთა შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

14. სააპელაციო პალატის მითითებით, სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა ის გარემოება, რომ მას სურდა სხვა გარიგება დაედო და არა – ის, რომელზე-

დაც მან თანხმობა გამოთქვა. მოსარჩელე სარჩელში უთითებდა, რომ მოპასუხე მხარემ იგი დაითანხმა არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე იმ პირობით, რომ სამაგიეროდ დახურულ ლოჯიას აუშენებდა; რომ არა ასეთი პირობა, გარიგება მხარეებს შორის არ დაიდებოდა. ამდენად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად მოსარჩელე იმ გარემოებაზე უთითებდა, რომ გარიგების დადების სანაცვლოდ დახურული ლოჯიის აშენების შესახებ მოპასუხე მხარის დაპირების საფუძველზე შექმნილი მოლოდინის გარეშე, იგი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სადავო ფართზე ნასყიდობის ხელშეკრულებას არ გააფორმებდა.

15. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, მხარეები ინდ. მენარმე მ. მ-ის (31.10.2016წ.) მიერ შესრულებულ აზომვით ნახაზზე მითითებული 3.16 კვ.მ. ფართის ნასყიდობაზე შეთანხმდნენ. ამავე გარიგების თანახმად, მხარეები აღნიშნული აზომვითი ნახაზის მიხედვით ფართის ორ ნაწილად გამიჯვნასა და 3.16 კვ.მ. ფართის მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვაზე შეთანხმდნენ. სასამართლოს მითითებით, ზემოთ აღნიშნული პირობის გარდა, მხარეებს შორის გაფორმებული გარიგება დამატებით სხვა რაიმე პირობას არ შეიცავს. შესაბამისად, იმ მოცემულობაში, როდესაც გარიგება გაფორმებულია მხარეთათვის გასაგებ ენაზე (ქართულ და რუსულ ენებზე), მასში მითითებულია პირობა აზომვითი ნახაზის მიხედვით ფართის გამიჯვნასა და შემდგომ რეგისტრაციაზე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის მსჯელობა, რომ გარიგების ფარგლებში მას უფრო დიდი ფართის დახურული ტიპის აივნის მიღების მოლოდინი ჰქონდა.

16. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 72-ე, 73-ე და 81.1. მუხლებით და განმარტა, რომ როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძველად დაედო, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ხოლო შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაჰენტი კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორ-

მაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულყოფილად უნდა ყოფილიყო გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები.

17. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე მხარემ თავად დაადასტურა, რომ მას ბინის ნაწილის გაყიდვა არ დასჭირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავად შეძლებდა აივნისთვის საჭირო ნებართვების მოპოვებასა და მერიის შესაბამისი სამსახურში ამ პირობების შეთანხმებას. ამდენად, მოსარჩელე მხარე იმთავითვე აცნობიერებდა, რომ უფრო დიდი ფართის აივნის მოსაწყობად სავალდებულო წინაპირობას შესაბამისი სამსახურებიდან ნებართვის მიღება წარმოადგენდა. შესაბამისად, მხარე საკუთარი ახსნა-განმარტებითვე გამოორიცხავდა მოპასუხე მხარის მხრიდან მოტყუების ფაქტს, რამეთუ თავად ადასტურებდა, რომ გარიგების დადების ეტაპზე მისთვის ცნობილი იყო დიდი აივნის მოსაწყობად როგორც ნებართვის სავალდებულობის, ისე – ამ ნებართვის არარსებობის შესახებ.

18. რაც შეეხება შეცდომას ნების გამოვლენაში, აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ნების გამომვლენი შეცდომას უშვებს ნების გარეგნულ ჩამოყალიბებაში. ასეთი შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეიცავს იმ ნიშნებს და შინაარსს, რომელიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა, ანუ იგი არ შეესაბამება გამომვლენის რეალურ ნება-სურვილს. როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამომვლენი (მექანიკურად) წერილობით ან ზეპირად უშვებს არსებით შეცდომას.

19. სააპელაციო პალატის მითითებით, სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მისი საგანი არის შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში (error in negotio). გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც დადებული გარიგება მთელი თავისი შინაარსით შესაძლებელია შეფასდეს სხვა სახის გარიგებად, ვიდრე ის გარიგება, რომელიც ერთ ან ორივე მხარეს სურდა. მაგალითად, მხარეები დაებნ სასყიდლიან გარიგებას უსასყიდლოს ნაცვლად, ნასყიდობის ხელშეკრულებას სამისდღეშიო ხელშეკრულების ნაცვლად, თხოვებას ჩუქების ნაცვლად (<http://www.gccc.ge>, მუხლი-73).

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მითითების მიხედვით ის შეცდა არა გარიგების ტიპის არჩევაში, ანუ მაგალითად მას ნასყიდობის ნაცვლად სურდა სხვა გარიგების დადება, არამედ ის შეცდა გარიგების პირობაში, კერძოდ, მას ეგონა,

რომ გარიგებას დებდა იმ პირობით, რომ უძრავი ნივთის (3.16 კვ.მ.) სანაცვლოდ ნივთის ღირებულებასთან ერთად დამატებით დიდი ფართის აივანსაც მიიღებდა. ვინაიდან მოსარჩელისთვის იმთავითვე ცნობილი იყო აივნის მიშენებისთვის საჭირო დოკუმენტების სავალდებულოობის შესახებ, რომელიც გარიგების მონაწილეებს არ გააჩნდათ, ამასთან, გარიგებიდან არ დგინდებოდა და მოპასუხე მხარე უარყოფდა, გარიგებაში მითითებული პირობის გარდა, დამატებით რაიმე პირობაზე შეთანხმების ფაქტს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხოლოდ „მოლოდინი“ გარიგების საფუძველზე დიდი ფართის აივნის მიღების შესახებ არ აკმაყოფილებდა სსკ-ის 73-ე მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლის არსებობაც შეცდომის საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობას იწვევს.

21. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

22. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძველებს:

22.1. მოსარჩელემ მოპასუხეს სამზარეულოს სადავო 3.16 კვ.მ. ფართი მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით მიჰყიდა, რომ მოპასუხე მას სამზარეულოს მოუწყობდა ღია აივანზე, სადაც იქნებოდა უკეთესი განიავების პირობები, ხოლო მოპასუხემ ფართი იყიდა არა გამოყენების, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მესამე პირებმა არ განახორციელონ შემდგომში მისი ნებართვის გარეშე მიშენება;

22.2. მოსარჩელემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საკუთარი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო. იგი დაავადებულია მენიერის დაავადებით, რასაც თან ახლავს სმენაჩლუნგობა, ქრონიკული ჰიპერტენზია, ყურებში ხმაური, შეტევების 8-9 საათი პირლენება, გულისწასვლა, ოფლიანობა, სისუსტე იმ დონემდეც, რომ არ შესწევს უნარი გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ყოველივე ამის პროვოცირებას კი უჰაერობა ახდენს. სწორედ ამიტომ მოსარჩელისთვის მისაღები გახდა პირობა, რომ ლოჯიის გაყიდვის შემთხვევაში მიიღებდა იმავე ფართის უფრო განიავებულ და ნათელ სამზარეულოს;

22.3. მოსარჩელის ქმედება მისი უკიდურესად მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ხოლო მოპასუხეს ფართი იმისათვის სჭირდება, რომ მომავალში შეზღუდოს სხვა პირთა მოქმედება შენობის ფასადზე მიშენების კუთხით, რომელსაც კანონი ისედაც ზღუდავს;

22.4. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ნებისმიერი ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის შინაარსის წაკითხვაც მხარეებს შეუძლიათ, პოტენციურად კანონიერია და დავასაც აზრი ეკარგე-

ბა. ხელშეკრულება სადავო სწორედ იმიტომ გახდა, რომ არ ითვალისწინებდა დათქმას დახურული აივნის მოწყობის შესახებ, რაც სასამართლომ, პირიქით, მოსარჩელის საწინააღმდეგოდ გამოიყენა და ამით უხეშად დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი;

22.5. მოპასუხე შესყიდული ფართის ამოშენებას აპირებს და არც პირობას ასრულებს. შესაბამისად, მოსარჩელეს ის მცირე განათებაც მოესპობა, რომელიც მის სამზარეულოს ლოჯიაში გამავალი ფანჯრიდან აქვს და პრაქტიკულად დახურულ სივრცეში მოუწევს სადილის გამზადება, რაც მის ჯანმრთელობას უპირობოდ შეუქმნის საფრთხეს. სასამართლომ უგულვებელყო ადამიანის ჯანმრთელობის პრიორიტეტული მნიშვნელობა სხვა დანარჩენ ფასეულობებთან შედარებით და მშრალად დადგენილი ფაქტების შეფასებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოსარჩელეს მოუსპო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის არათუ გაუმჯობესების, არამედ – არსებულის შენარჩუნების შესაძლებლობა;

22.6. მონმე ლ. ს-ის ჩვენებით დადასტურდა ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ შეთავაზებული ბინის რეკონსტრუქცია არათუ გაუმჯობესებს არსებული სამზარეულოს ინსოლაციას, არამედ გამოიწვევს მის დაბნელებას და ინსოლირების შესაძლებლობა გაუარესდება.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 მარტის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

25. საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანს წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველზე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობაზე უარის თქმის კანონიერება.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას

(ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 9 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, §187).

27. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი; №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი).

28. წინამდებარე საქმეზე სარჩელში ასახული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის შეცდომით დადებული გარიგების შემადგენლობას. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობიდან გამომდინარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი [პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში], 979.1. მუხლი [უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით], 59.2. მუხლი [საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ] და 72-ე მუხლი [გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე].

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნების გამოვლენის ფორმებს გარიგებებში უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვთ, რადგან არსებობს გამოხატული ნების მიმართ კონტრაჰენტის ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი. ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ უფლებებით აღიჭურვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან. შესაბამისად, სანინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება მის ნამდვილ ნებას შეესაბამება. ეს პრეზუმფცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება ისეთ პირობებში გამოვლინდა, რომლებიც ნამდვილი ნებისადმი გამოვლენილი ნების შესაბამისობას გამოორიცხავს. ასეთ შემთხვევაში, ნების გამომვლენი დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანამდევი შედეგებისგან (შედ. იხ. სუსგ №ას-620-592-2016, 6 მარტი, 2017 წელი).

30. სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სამართლებრივი წესრიგი ვერ დაუშვებდა ვარაუდს, რომ ნამდვილი და გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ შეესაბამება. ეს საფრთხეს შეუქმნიდა ბაზრის სამართლებრივ სტაბილურობას. ამის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში. თუმცა, ბუნებრივია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ნებისით თუ უნებლიეთ უშვებენ შეცდომებს. ბაზრის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ყველა სახის შეცდომა ვერ წარმოშობს შეცდილების საფუძველს (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 1-146, თბილისი, 2017, გვ. 410, 411), ამიტომ კანონი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძველად მიიჩნევს მხოლოდ არსებით შეცდომას (იხ. ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 366).

31. შეცდომით დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნისას სასამართლო, უპირველესად, ამოწმებს მოსარჩელის მიერ შეცდილების კანონით დადგენილ ვადაში განხორციელების ფაქტს.

32. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, შეცდილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცდილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამარ-

თლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს (იხ. ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 397). უცილო (არარა) გარიგებების „ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ბედის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 269-270).

33. შეცილების კანონით დადგენილ ვადაში განხორციელება სამართლის მხრიდან სავალდებულო შემონიშნებას დაქვემდებარებული საკითხია. იგი სამართლის თეორიაში ე.წ. სასამართლო შესაგებლის სახელით არის ცნობილი. შეცილების სამართლებრივი ბუნება კარგად ჩანს მისი ხანდაზმულობის სამართლებრივ ინსტიტუტთან შედარებისას. შეცილება და ხანდაზმულობა განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია და მასზე მითითება მოპასუხის ვალდებულებაა, განსხვავებით შეცილების ინსტიტუტისგან. საცილო გარიგებებში, შეცილების ვადა სარჩელის მატერიალური დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების წინაპირობაა, რომლის შეცილების განხორციელება ვადაში მუხლის ნორმატიული შემადგენლობის კომპონენტია. არ აქვს მნიშვნელობა, მოპასუხე უთითებს თუ არა მოსარჩელის მიერ გამოყენებულ გარიგების შეცილების ვადაზე, მოსამართლემ თავად უნდა გამოარკვიოს, თუ როდის და რა მეთოდით გახდა საცილო მოსარჩელემ სადავო გარიგება. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ არ გამოიყენა შეცილების ვადა, იმისდა მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა ამ გარემოებაზე, სარჩელი არ უნდა დაკმაყო-

ფილდეს, განსხვავებით ხანდაზმულობის ინსტიტუტისგან, როცა ხანდაზმული სარჩელის დაკმაყოფილებაც არის შესაძლებელი, თუკი მოპასუხე არ უთითებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე (იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი; სუსგ №ას-548-511-2017, 31 ივლისი, 2017 წელი).

34. შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევაში, შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში [სსკ-ის 79.1. მუხლი].

35. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 4 ნოემბერს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტი), ხოლო სარჩელი აღძრულია 2016 წლის 18 ნოემბერს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი), შეცილების ერთთვიან ვადაში. ამდენად, მოსარჩელის მიერ შეცილების ვადა დაცულია.

36. აღნიშნულის შემონმების შემდეგ საკასაციო პალატა იმსჯელებს სადავო გარიგების ბათილობის საკითხზე.

37. სსკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

38. შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა (იხ. Heinrichs, in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 119 Rn. 7. მითითებულია სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, წიგნი I, მუხ. 1-146, თბილისი, 2017, გვ. 411). სხვაგვარად, შეცდომა არის პირის მცდარი წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე.

39. შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატვის უკან არ დგას ნამდვილი ნება, ე.ი. ნება და მისი გამოვლენა არ ემთხვევა ერთმანეთს (იხ. Flume Werner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl. Bd. II, Rechtsgeschäft. Berlin, Springer. 1979. § 21, 2. მითითებულია: ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 366).

40. როდესაც ინდივიდი გამოხატავს თავისი რეალური ნებისაგან განსხვავებულ ნებას, აუცილებელია მისი ჭეშმარიტი ნების მხედველობაში მიღება. არაერთი ბათილობისა თუ საცილობის საფუძველი სწორედ ნებისა და მისი გამოხატვის განსხვავებიდან გამომდინარეობს (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 239).

41. შეცდომა უნდა იყოს ნების გამოვლენის განმსაზღვრელი ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის „სუბიექტურ“ შეც-

დომასა და მისი ნების გამოვლენას შორის. ამასთან ეს შეცდომა „ობიექტურად“ არსებითი უნდა იყოს.

42. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს არსებითი შეცდომის სხვადასხვა სახეებს. სსკ-ის 73-ე მუხლის შესაბამისად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა: ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა; ბ) პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად. გარდა აღნიშნულისა, არსებითად შეიძლება მიჩნეულ იქნას შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში [მუხლი 74], უფლებაში [მუხლი 75] ან გარიგების მოტივში [მუხლი 76].

43. შეცდომის არსებითად მიჩნევისათვის აუცილებელია სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება, მაგალითად, უნდა დადგინდეს, თუ „რა ზომებს მიიღებდა მსგავს ვითარებაში გონიერი ადამიანი, რომ სცოდნოდა საქმის ქეშმარიტი მდგომარეობის შესახებ“ (იხ. ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2002, გვ. 224; ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 366, 367). შეცდომა არსებითია იმ შემთხვევაში, „თუკი პირი ასეთ სიტუაციაში საერთოდ არ დადებდა გარიგებას, ან დადებდა მას სრულიად განსხვავებული პირობებით“ (იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2002, გვ. 224). ზოგადი თვალსაზრისით, შეცდომა არსებითად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ასევე მაშინ, როდესაც ზოგადი საბაზრო შეხედულებითა და ნების გამომვლენის გადმოსახედიდან არასასურველ სამართლებრივ ბოჭვაში დარჩენა მიუღებელია (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხ. 1-146, თბილისი, 2017, გვ. 412).

44. წინამდებარე საქმეში წარდგენილი სარჩელის თანახმად, მოსარჩელის რეალური ნება იყო მისი საცხოვრებელი ბინის ფართის ნაწილის (ლოჯიის) იმ პირობით გასხვისება, რომ მოპასუხე მას სანაცვლოდ უფრო დიდი ფართის დახურულ აივანს აუშენებდა [სსკ-ის 319.1. მუხლის პირველი და მე-2 წინადადება: კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას].

45. მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, ზემოაღნიშნული პირობა მხარეებმა ხელშეკრულების დადებამდე ზეპირად შეათანხმეს და

მოსარჩელისთვის, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდისთვის, მას გარიგების დასადებად განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა: მოსარჩელე დაავადებულია მენიერის დაავადებით, რომელსაც ახასიათებს ხშირი თავბრუსხვევები და გონების დაკარგვა. ამ მოვლენების ინტენსივობა ხშირდება დახურულ და ცუდად განიავებად სივრცეში. სადავო ლოჯია ემიჯნება მოსარჩელის ამჟამინდელ სამზარეულოს და მისი ფანჯარა არის სამზარეულოს ინსოლაციისა და განიავების ერთადერთი საშუალება. ვინაიდან ეს საშუალება არასაკმარისია, მოსარჩელის სურვილი იყო სამზარეულოს მოწყობა მისი ბინის საძინებელთან არსებული ღია აივნის ამოშენების გზით შექმნილ ფართში. მოპასუხეს რომ არ დაერწმუნებინა მოსარჩელე ლოჯიის გადაცემის სანაცვლოდ დახურული აივნის მოწყობაში, ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა, რადგან მოსარჩელის სამზარეულო ვენტილაციის სისტემის გარეშეა. ამასთან, მოპასუხის საკუთრებაში ლოჯიის გადასვლის შედეგად სამზარეულოსთან დამაკავშირებელი ფანჯრის ამოშენებისა და მის ნაცვლად 35-სანტიმეტრიანი ფრამუგის მოწყობის პირობებში, მოსარჩელის მდგომარეობა ადრე არსებულზე მეტად უარესდება და მის სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს.

46. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია და მოპასუხის მიერ სადავოდ არ გამხდარა, რომ მოსარჩელეს (რომელიც დაბადებულია 1946 წელს), მეუღლე 2016 წელს გარდაეცვალა და აღნიშნულის შემდეგ მარტო ცხოვრობს სადავო ბინაში.

47. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია და საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 24 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) დასტურდება, რომ მოსარჩელე დაავადებულია არტერიული ჰიპერტენზიით, გიდ. გულის უკმარისობით, მენიერის დაავადებით, ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობით, საშვილოსნოს ექსტერპაცია დანამატებთან ერთად (საშვილოსნოს ადენოკარცინომა 2009), პოსტოპერაციული თეთრი ხაზის თიაქარი. მოკლე ანამნეზის მიხედვით, პაციენტს 1977 წელს დაუდგინდა მენიერის დაავადება. 1995 წლიდან არის პირველი ჯგუფის ინვალიდი. ამჟამად უჩივის ზოგად სისუსტეს, სმენის მკვეთრ დაქვეითებას, მუდმივი ხასიათის ხმაურს ყურებში, ხშირ თავბრუსხვევის შეტევებს, რომლის პროვოცირებას ახდენს უჰაერობა, მძაფრი სუნები, ნერვული გადაძაბვა. შეტევისას მკვეთრად ვარდება წნევა, 8-9 საათის განმავლობაში აღენიშნება ლებინება, ოფლიანობა, ძლიერი სისუსტის გამო არ შესწევს ძალა სასწრაფო ბრიგადის გამოძახების. რაც შეეხება მისი დაავადებიდან გამომდინარე სამკურნალო და პრომით რეკომენდაციებს, მითითებულია:

მედიკამენტოზური მკურნალობა, არ არის რეკომენდირებული უკანონო სივრცეში ყოფნა.

48. საქმის მასალებში არსებული ინდ. მენარმე მ. მ-ის მიერ 2016 წლის 31 ოქტომბერს შესრულებული აზომვითი ნახაზით, ასევე სხვა მტკიცებულებებით (ფოტოსურათებით, კონსტრუქციული დასკვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3543567 გადანყვეტილებით, ნახაზით, შეთანხმებით) დასტურდება, რომ ბინის რეკონსტრუქციის შედეგად გაუარესდება მოსარჩელის სამზარეულოს განიავების შესაძლებლობა და, ამასთან, ასეთი რეკონსტრუქცია გამოიწვევს მის დაბნელებას.

49. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს მოსარჩელის ახსნა-განმარტებაში მითითებულ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მოსარჩელის ნამდვილი ნების დასადგენად, ამიტომ საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ამ მტკიცებულებების შეუფასებლობა საპროცესო შეცდომას წარმოადგენდა.

50. მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ნათელი ხდება, რომ ლოჯიის გასხვისება მოსარჩელის საცხოვრებელ პირობებს აუარესებს, რაც მისი მართხელობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა მოსარჩელის სიცოცხლისათვის საშიშვლო აღმოჩნდეს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ქცევა არ შეესაბამება ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტს. ამავდროულად ნათელია, რომ ღია აივნის ფართში სამზარეულოს მოწყობით მოსარჩელის მდგომარეობა არსებულთან შედარებით გაუმჯობესდებოდა – ის ცუდად განათებული და განიავებული სამზარეულოს ნაცვლად უფრო ნათელ და კარგად განიავებულ სამზარეულოს მიიღებდა, რაც შესაძლებელია ყოფილიყო სწორედ მისი ნამდვილი ნება. აღნიშნული ქმნის საკმარის საფუძველს იმ პრეზუმფციის გასაქარწყლებლად, რომ მოსარჩელის რეალური ნება მართლაც იყო ლოჯიის გასხვისება ღია აივნის ფართში სამზარეულოს გადატანის გარეშე, ისე, როგორც ეს აისახა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

51. მოსარჩელის რეალური ნების კვლევის კონტექსტში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, აგრეთვე, ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერისა ნასყიდობის ღირებულების გადახდის შესახებ, მოსარჩელეს სინამდვილეში ნასყიდობის საფასური არ მიუღია. დადგენილია, რომ ნასყიდობის საფასური მოპასუხემ სარჩელის აღძვრის შემდეგ ნოტარი-

უსის სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსა, ხოლო მის მიღებაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები).

52. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პრეზუმფციის გაქარწყლების შემდეგ, რომ მოსარჩელის რეალური ნება მართლაც იყო ნასყიდობის ტიპური ხელშეკრულების დადება, მოპასუხის მხარეს ინაცვლებს იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ლოჯიკის გასხვისება ისე, როგორც ეს აისახა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებაში, შეესაბამებოდა მხარეთა რეალურ ნებას.

53. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი დავის მართებულად გადაწყვეტის მიზნით, მნიშვნელოვანია შეფასდეს სარჩელისა და შესაგებლის არსებითობა, რაც გულისხმობს მითითებული პროცესუალური დოკუმენტების შეფასებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე (იხ. სუსგ №ას-1062-1022-2016, 19 თებერვალი, 2018 წელი).

54. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით [სსსკ-ის 201.4. მუხლი].

55. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული (კვალიფიციური) შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება (იხ. სუსგ №ას-201-2019, 8 მაისი, 2019 წელი).

56. საკასაციო პალატა შესაგებლის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილია ზოგადი და არა – კვალიფიციური შედაგება სარჩელში მითითებული ფაქტების საწინააღმდეგოდ.

57. მოპასუხის შესაგებელი არსებითად ეფუძნება მხოლოდ იმას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გარიგების მხარეები დაეთანხმნენ ხელშეკრულების პირობებს – რაც არასაკმარისია ისეთ ვითარებაში, როდესაც სარჩელში მითითებული და მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტები აქარწყლებს ვარაუდს,

რომ მოსარჩელის მიერ გამოხატული ნება მის ნამდვილ ნებას შეესაბამებოდა.

58. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელისათვის იმთავითვე ცნობილი იყო დახურული აივნის მოსაწყობად არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ნებართვის სავალდებულობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ასეთი ნებართვის არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ასეთი ცოდნა შეცდომას გამორიცხავს, რადგან მოსარჩელის ახსნა-განმარტების თანახმად, მას სწორედ მოპასუხისგან ჰქონდა ასეთი ნებართვის მისაღებად შესაბამისი მოქმედებების განხორციელების მოლოდინი. მისი განცხადებით, ბინის ნაწილის გაყიდვა არ დასჭირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავად შეძლებდა ღია აივნის ამოშენებისათვის საჭირო ნებართვების მოპოვებასა და მერიის შესაბამის სამსახურში სათანადო პირობების შეთანხმებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი).

59. საკასაციო სასამართლო კვალიფიციურად არ მიიჩნევს, აგრეთვე, მოპასუხის მითითებას, რომ ლოჯიის გასხვისებით მოსარჩელის სამზარეულოს ინსოლაციისა და განიავეების პირობები არ უარესდება, რადგან აღნიშნული მითითება არ ეფუძნება და, იმავედროულად, ეწინააღმდეგება კიდევ საქმეში მის მიერვე წარდგენილ სხვა მტკიცებულებებს.

60. არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა [სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი].

61. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს სურდა დაედო არა ნასყიდობის ხელშეკრულება მისი კლასიკური მნიშვნელობით [სსკ-ის 477.1. მუხლი: ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი], არამედ სსკ-ის 319-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში – შერეული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა როგორც ნასყიდობის, ისე ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს. მხოლოდ ასეთი ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიზანს.

62. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დაშვებული შეცდომა არსებითია, ხოლო დადებული ხელშეკრულება აღნიშნული შეცდომის შედეგია. ეს კი საკასაციო სასამართლოს აძლევს დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ სადავო ხელშეკრულება სსკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბათილ გარიგებას წარმოადგენს, რაც სსკ-ის 976.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა

და 979.1. მუხლის თანახმად, ინვესსიის მოსარჩელის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას.

63. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი [გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული].

64. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

65. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. ბათილად უნდა იქნას ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელე აღიარებულ უნდა იქნას სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ.

66. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 280 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (დავის საგნის ფასია 3500 აშშ დოლარი (სსსკ-ის 41.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელის შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვრება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით). შესაბამისად, მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისთვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (3%), ხოლო საკასაციო სასამართლოში – 175 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (5%). ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტში მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 280 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი).

67. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები] და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2016 წლის 4 ნოემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება; შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (თარგმანი რუსულიდან); ფოტო მონტაჟი ახლო ხედიდან; ფოტო მონტაჟი შორი ხედიდან; კონსტრუქციული დასკვნა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3543567 გადაწყვეტილება; ნახაზი №3; შეთანხმება; 2016 წლის 2 ნოემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2017 წლის 12 დეკემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2016 წლის 28 დეკემბრის წერილი; 2017 წლის 24 ოქტომბრის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 2009 წლის 12 მარტის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 2014 წლის 24 ივლისის დასკვნა; 2017 წლის 3 აგვისტოს დასკვნა; 2013 წლის 22 ივლისის კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგები; 2018 წლის 8 ნოემბრის გამოკვლევის შედეგები; საპენსიო მოწმობა; საგაზეთო სტატიის ასლები; 2020 წლის 4 თებერვლის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; აუდიოგრამა), მთლიანობაში „39“ ფურცლად.

68. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა დარჩეს ძალაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ნ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნას ცნობილი ნ. ნ-ასა და კ. ქ-ს შორის 2016 წლის 4 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება;
5. ნ. ნ-ა ცნობილ იქნას უძრავი ნივთის, რომლის რეკვიზიტებია – ქ. თბილისი, ..., სართული 3, ფართი – 3.16 კვ.მ., საკადასტრო კოდი: № ..., მესაკუთრედ;
6. კ. ქ-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150) დაეკისროს 280 (ორას ოთხმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
7. ნ. ნ-ას დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2016 წლის 4 ნოემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება; შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (თარგმანი რუსულიდან); ფოტო მონტაჟი ახლო ხედიდან; ფოტო მონტაჟი შორი ხედიდან; კონსტრუქციული დასკვნა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3543567 გადაწყვეტილება; ნახაზი №3; შეთანხმება; 2016 წლის 2 ნოემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2017 წლის 12 დეკემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2016 წლის 28 დეკემბრის წერილი; 2017 წლის 24 ოქტომბრის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 2009 წლის 12 მარტის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 2014 წლის 24 ივლისის დასკვნა; 2017 წლის 3 აგვისტოს დასკვნა; 2013 წლის 22 ივლისის კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგები; 2018 წლის 8 ნოემბრის გამოკვლევის შედეგები; საპენსიო მოწმობა; საგაზეთო სტატიის ასლები; 2020 წლის 4 თებერვლის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; აუდიოგრამა), მთლიანობაში „39“ ფურცლად;
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს ძალაში;
9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოტყუებით დადებული გარიგება

შეცდომის ვადა

განმარტება

საქართველოს სახელმწიფო

№ 598-2019

06 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის გადახდის დაკისრება (ძირითად სარჩელ-
ში), ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის გადახდის დაკის-
რება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს-ს რ-სა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „შეგებებული სარ-
ჩელით მოპასუხე“) და საქართველოში შპს „ა-ის“ (შემდგომში – „მო-
პასუხე“, „შეგებებული სარჩელით მოსარჩელე“, „აპელანტი“) ან „კა-
სატორი“) წარმომადგენლობას (შემდგომში – „მოპასუხის წარმო-
მადგენლობა“) შორის 2013 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა დავა-
ლიანების აღიარებისა და დაფარვის შესახებ ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად, გადამხდელი კის-
რულობს ვალდებულებას დაფაროს 2013 წლის 04 ოქტომბრის მდგო-
მარეობით სატვირთო გადაზიდვებიდან და მასთან დაკავშირებუ-
ლი მომსახურებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიმართ წარმო-
შობილი დავალიანება 587 067,01 ლარი ეტაპობრივად, 10 თვის ვა-
დაში, ამ ხელშეკრულებითა და დანართით დადგენილი წესითა და
პირობებით; იმავე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განისაზღვრა
პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათ-
ვალისწინებულ ვადებში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემ-
თხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სრული სახელშეკ-
რულებო თანხის 0,1%-ის.

3. მოსარჩელესა და მოპასუხის წარმომადგენლობას შორის 2014
წლის 06 იანვარს გაფორმდა შეთანხმება 04.10.2013წ. ხელშეკრუ-
ლებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შეთანხმებით ცვლილება შე-
ვიდა ხელშეკრულების 1.1. პუნქტში, კერძოდ, მოპასუხის წარმო-
მადგენლობამ იკისრა ვალდებულება, 2013 წლის 18 დეკემბრის

მდგომარეობით მოსარჩელის მიმართ წარმოშობილი დავალიანება – 782 189,96 ლარის ოდენობით (დავალიანების აღიარებისა და დაფარვის ხელშეკრულებიდან დარჩენილი გადასახდელი თანხა 410 946,9 ლარი, სარკინიგზო მომსახურებიდან წარმოშობილი დავალიანება 367 243,05 ლარი და 4 000 ლარი სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა) დაეფარა ეტაპობრივად, 12 თვის ვადაში, ამ ხელშეკრულებითა და დანართით დადგენილი წესითა და პირობებით; იმავე შეთანხმებით ცვლილება შევიდა 04.10.2013წ. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში და პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

4. მოსარჩელესა და მოპასუხის წარმომადგენლობას შორის 2014 წლის 24 ივნისს კვლავ გაფორმდა შეთანხმება 04.10.2013წ. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, ცვლილება შევიდა ხელშეკრულების 3.1. პუნქტში და პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გრაფიკით გათვალისწინებულ თითოეულ ჯერზე გადასახდელი დავალიანების 0,1%-ის ოდენობით.

5. 2013 წლის 07 აგვისტოდან 2014 წლის 24 აპრილის ჩათვლით მოპასუხის წარმომადგენლობის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილ იქნა 656 950,29 ლარი.

6. მოსარჩელესა და შპს „გ-ლ ტ-სს“ (მფლობელი) შორის 2011 წლის 24 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სარკინიგზო კოდექსის, რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების წესებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, განხორციელდებოდა №-ის-რული გადამყვანით რკინიგზის სადგური „... ..“ მე- ლიანდაგთან დაკავშირებული მფლობელის კუთვნილი რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მომსახურება, რომელსაც გზის ლოკომოტივი ემსახურებოდა. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით ვაგონების რაოდენობა თითოეულ ჯგუფში, რომლებიც ერთდროულად გადაეცემოდა მფლობელს, განისაზღვრა 20 ვაგონის ოდენობით; ხოლო, ხელშეკრულების მე-14 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით ვაგონები გადაეცემოდა: „ა-ის რ-ის“ დ-ს შპს „დ-სს“, შპს „ს-ტს“ .

7. მოპასუხის წარმომადგენლობამ 2013 წლის 01 აგვისტოს წერილობით მიმართა მოსარჩელეს და სთხოვა, რომ იგი მოსარჩელესა და შპს „გ-ლ ტ-სს“ შორის სადგურ „... ..“ დადებული მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულებაში ვაგონების მიმღებ მხარედ გაეთვალისწინებინათ, რათა მასზეც გავრცელებულიყო

ხელშეკრულების პირობები. 2013 წლის 01 აგვისტოს მოსარჩელეს ანალოგიური შინაარსის წერილით მიმართა შპს „გ-ლ ტ-მა“.

8. მოსარჩელესა და შპს „გ-ლ ტ-სს“ შორის 2013 წლის 01 აგვისტოს გაფორმდა შეთანხმება 24.01.2011წ. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულების მე-14 პუნქტს (რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მისასვლელ ლიანდაგზე ვაგონების მიწოდება-გამოტანას სხვა ორგანიზაციებისთვის) დაემატა – მოპასუხის წარმომადგენლობა.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის აღიარებული დავალიანების – 521 459,96 ლარის გადახდის დაკისრება; ასევე, 2014 წლის 31 დეკემბრამდე დარიცხული პირგასამტეხლოს – 76 720,03 ლარისა და 2015 წლის პირველი იანვრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს სახით 521,46 ლარის გადახდის დაკისრება.

10. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის წარმომადგენლობამ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 2014 წლის 25 აპრილის შემდეგ შეწყვიტა დავალიანების დაფარვა. შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 598 180 ლარს, საიდანაც 521 459,96 ლარი წარმომადგენს დავალიანების ძირითად თანხას, ხოლო 76 720,03 ლარი პირგასამტეხლოს.

11. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

12. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა:

- ბათილად იქნეს ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხის წარმომადგენლობას შორის 04.10.2013წ., 06.01.2014წ. და 24.06.2014წ. დადებული ხელშეკრულებები, ასევე, მოპასუხის წარმომადგენლობის მიერ მოსარჩელისათვის 2013 წლის 08 აგვისტოდან 2014 წლის 24 აპრილის ჩათვლით ანგარიშსწორებით (გადახდით) აღიარებული ვალი;

- მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ მოსარჩელისათვის უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის – 656 950,29 ლარის დაბრუნება;

- მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისროს კანონით გათვალისწინებული პროცენტის გადახდა, რაც 2013 წლის 08 აგვისტოდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 327 707,05 ლარს, ხოლო 2018 წლის პირველი იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 6 618,77 ლარს;

– მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, დაეკისროს 11 608,13 ლარის გადახდა.

13. შეგებებული სარჩელით ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

13.1. მოპასუხის კუთვნილი ტვირთი – 6412 ტონა რკინიგზის რელსები, უკრაინიდან საქართველოში, ფოთის ნავსადგურში ტრანსპორტირებულ იქნა საერთაშორისო გადაზიდვაში ფირმა შპს „პ-ს ჯ-ას“ მიერ. საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვა უნდა განეხორციელებინა მოსარჩელეს. მან ტვირთის ნაწილი მოპასუხის წარმომადგენლობას მიაწოდა სადგურ „....“. აღნიშნული სადგურიდან მოპასუხის წარმომადგენლობამ ტვირთის დროულად გატანა ვერ მოახერხა, რის გამოც დაერიცხა ე.წ. 24 საათზე მეტი მომსახურების საფასური. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოსარჩელესა და შპს „პ-ს ჯ-ას“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს სადგურ „....“ ტვირთი უნდა მიეტანა დაცლის ფრონტამდე – შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩიხში. ზემოაღნიშნულ გადაზიდვებთან დაკავშირებული მომსახურების საფასური გადაიხადა შპს „პ-ს ჯ-ამ“, თუმცა მოსარჩელემ ეს ინფორმაცია მოპასუხის წარმომადგენლობას დაუმალა. მოატყუა, თითქოს სადგურ „....“ ტვირთი ამ უკანასკნელს უნდა მიეღო და გაეტანა;

13.2. მოპასუხის წარმომადგენლობამ 2013 წლის 08 აგვისტოდან დაიწყო დარიცხული თანხის გადახდა და 2014 წლის 24 აპრილის ჩათვლით ჯამში მოსარჩელეს გადაურიცხა 656 950,29 ლარი, ხოლო 04.10.2013წ. მხარეთა შორის დაიდო ვალის აღიარების ხელშეკრულება. მისთვის ზემოაღნიშნული გარემოება ცნობილი რომ ყოფილიყო, მოსარჩელეს არც თანხას გადაუხდიდა და მასთან არც 04.10.2013წ., 06.01.2014წ. და 24.06.2014წ. ხელშეკრულებებს გააფორმებდა. ამდენად, ხელშეკრულებები მოტყუების გარეშე არ დაიდებოდა;

13.3. სადგურ „....“ ტვირთის გასატანად მოპასუხის წარმომადგენლობამ საკუთარი ლოკომოტივი მოხსნა მარაბდა-კარნახის რკინიგზის მშენებლობიდან და სამი თვის განმავლობაში ახორციელებდა ტვირთის გადაზიდვას მარაბდა-კარნახის სხვადასხვა მონაკვეთზე. აღნიშნულის გამო, მას მიადგა ზიანი – 11 608,13 ლარის ოდენობით.

14. მოსარჩელემ/შეგებებული სარჩელით მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა: 521 459,96 ლარის გადახდა; პირგასამტეხლოს – 76 720,03 ლარის გა-

დახდა; ასევე, პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 521,46 ლარის ოდენობით 2015 წლის 01 იანვრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

18. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

19. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე, 84-ე მუხლებით და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მოპასუხის მხრიდან მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადის დარღვევის თაობაზე.

20. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმეში წარდგენილია სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების ორი სამახსოვრო ბარათი – 2013 წლის 01 სექტემბრის №... და 2013 წლის 21 სექტემბრის №... სამახსოვრო ბარათები, რომლებშიც რკინიგზის სადგურის გასწვრივ მითითებულია – სადგური „... ..“, ხოლო ჩიხის გასწვრივ – შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ი. აღნიშნული სამახსოვრო ბარათების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული პერიოდისათვის მოპასუხისათვის ცნობილი იყო შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ის შესახებ.

21. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების მე-6-8 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელესა და შპს „გ-ლ ტ-ს“ შორის 2011 წლის 24 იანვარს დადებულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები სწორედ სადავო გადაზიდვებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, დასაბუთებულია ვარაუდი, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო გადაზიდვის ნებართვაში მისასვლელი ლიანდაგის მითითების შესახებ, რამაც საბოლოოდ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა განაპირობა.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელი გარიგებების ბათილად ცნობის შესახებ აღძრულია შეცილების ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

23. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317, 327-ე, 341-ე მუხლებით და მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 521 459,96 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

24. სააპელაციო პალატის განმარტებით, ვინაიდან არ არსებობს ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილად ცნობის წინაპირობა, ასევე, არ არსებობს მოპასუხისათვის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის – 656 950,29 ლარის, დაბრუნების საფუძველი.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტს სადავოდ არ გაუზღია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში (შეგებებული სარჩელის მოთხოვნა), შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

26. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

27. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველზე:

27.1. გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან. მსგავსი კატეგორიის საქმეებზე პრაქტიკა ასეთია: თუ მოტყუების საფუძველზე შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოება, არამედ როგორც დაუშვებელი, არაკეთილსინდისიერი და გასაკიცხი მოქმედება. შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლებით დადგენილი წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად ნების გამოვლენა შეცდომებულია თუ არა ერთი წლის ვადაში;

27.2. სასამართლომ მოსარჩელის ქმედებას არ მისცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია. მოცემულ შემთხვევაში დავის განსწავლადგენს მოსარჩელის მიერ მოპასუხის სამეურნეო ბრუნვიდან უკანონოდ, მოტყუების საფუძველზე ამოღებული 656 950,12 ლარის პროცენტით უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით. ამ თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებას მოსარჩელე ვერ შეძლებდა მოპასუხის წარმომადგენლობის მოტყუების გარეშე, რაც გამოიხატა ამ უკანასკნელის დარწმუნებაში, რომ ხელშეკრულების თანახმად, ტვირთის „... ..“ სადგურიდან შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ში მიტანა არა მოსარჩელეს, არამედ ტვირ-

თმომღებს (მოპასუხის წარმომადგენლობა) ეკისრებოდა. მართალია, სასამართლომ ვერ უარყო მოპასუხის წარმომადგენლობის მოტყუების ფაქტი, თუმცა გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 84-ე მუხლი და ამ მუხლის რეგულაცია გააგრძელა ისეთი სპეციალური ნორმებით რეგულირებულ ურთიერთობებზე, როგორიც არის დელიქტი და უსაფუძვლო გამდიდრება. ფაქტია, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელის არამართლზომიერი ქმედების შედეგად მოპასუხე დაზარალდა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარჩელე უსაფუძვლოდ გამდიდრდა დაზარალებულის ხარჯზე. სასამართლოს სწორედ ამ საკითხებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება და მიეცა ადეკვატური სამართლებრივი შეფასება (სსკ-ის 408-ე, 976-991-ე მუხლები);

27.3. სასამართლო შეეცადა დაესაბუთებინა, რომ მოპასუხის წარმომადგენლობის დირექტორმა, ვიდრე ის მოსარჩელის ვალს გადახდით აღიარებდა, ხოლო 04.10.2013წ. ვალის აღიარების, 06.01.2014წ. ვალის გრაფიკით გადახდისა და 24.06.2014წ. პირგასამტეხლოს ხელშეკრულებებს ხელს მოაწერდა, იცოდა, რომ ტვირთის მინოდება შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ი უნდა მომხდარიყო, რასაც არც მოპასუხე უარყოფს. მოტყუებულმა მოპასუხემ იცოდა (მოსარჩელემ დაარწმუნა), რომ ტვირთი „...“ სადგურიდან თვითონ (ტვირთმომღებს) უნდა წაეღო დაცლის ფრონტზე და აღნიშნული ხელშეკრულებით მოსარჩელეს არ ევალებოდა. თუმცა, მან არ იცოდა რომ ტვირთის დაცლის ფრონტზე მიტანა დამატებითი მომსახურების ხელშეკრულებით მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა. საქმის მასალებში არის აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები – ტვირთის მიღება-ჩაბარების 14 ყალბი აქტი (რომლის თანახმად, მოსარჩელემ 64 ვაგონი ტვირთმომღებს საკუთარი ლოკომოტივით (თბომავლით) მიაწოდა შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ში) და 8 ერთეული გადაზიდვის ნებართვა, ანუ გადაზიდვასთან დაკავშირებული ის ერთადერთი მტკიცებულება, საიდანაც ჩანს როგორც ტვირთის მიტანის ადგილი, ისე ექსპედიტორის მიერ ამ მომსახურებაში გადახდილი საფასური. მოსარჩელემ, მიუხედავად არაერთი წერილობითი თხოვნისა, მოპასუხეს დაუმალა და არ მიაწოდა აღნიშნული დოკუმენტები. ეს დოკუმენტები მოპასუხეს ექსპედიტორმაც დაუმალა. მან სიტყვიერად განუმარტა, რომ ამით მოსარჩელესთან ურთიერთობა გაუფუჭდებოდა;

27.4. საქმეში არსებული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ტვირთის მიღება-ჩაბარების 12 აქტი (შიდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი) გაყალბებულია მოსარჩელის უფლებამოსილი პირების მიერ. მასზე ტვირთმომღების სახელით ხელი აქვს მოწერილი სხვა პირს. აღნიშნული დოკუმენტების სიყალბე, ასევე,

დასტურდება შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ის ხელმძღვანელის წერილით, რომლის თანახმად, ამ ჩიხში რელსებით დატვირთული ვაგონები არც 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში და არც მას შემდეგ არ შესულა; ტვირთმიმღების წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით და იმ გარემოებით, რომ ტვირთის მიღებაზე მინდობილობა გაიცა 2013 წლის 03 ოქტომბერს, მანამდე ტვირთის მიღებაზე მინდობილობა არ არსებობდა, ხოლო „რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის წესების“ 358-ე მუხლის თანახმად, ზეპირი ხელშეკრულებით ტვირთის მიღება კატეგორიულად გამორიცხულია. სასამართლოს ზემოაღნიშნული მტკიცებულებები არ შეუფასებია. იგი დაეყრდნო ექსპერტის არაკატეგორიულ დასკვნას და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებისათვის შეფასება არ მიუცია;

27.5. მოპასუხე სადავო გარიგებების შეცილების საფუძველად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ მას დაუმალა არა მართო ტვირთის მიწოდების ადგილი, არამედ ის ფაქტი, რომ სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული ტვირთი დანიშნულების ადგილას მიეტანა. თუმცა, სასამართლომ, ერთი მხრივ, არასწორად შეაფასა და დაადგინა შეცილების საფუძველთან დაკავშირებული გარემოებები, ხოლო, მეორე მხრივ, შეცილების მეორე საფუძველზე საერთოდ არ იმსჯელა;

27.6. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხისათვის 2013 წლის სექტემბერში ცნობილი იყო ინფორმაცია შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ის შესახებ. შეცილების ვადის ათვლის დაწყებისათვის მნიშვნელოვანია არა ის, ზოგადად იცოდა თუ არა მოპასუხემ შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ის არსებობა/არარსებობის შესახებ, არამედ ის გარემოება იცოდა თუ არა მან, რომ ტვირთი შპს „გ-ლ ტ-ის“ ჩ-ში უნდა ყოფილიყო მიტანილი და ტვირთი იქ მოსარჩელეს უნდა მიეტანა.

28. მოპასუხემ 2019 წლის 03 ივლისს მის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე დამატებითი პოზიცია წარმოადგინა და დააზუსტა საკასაციო მოთხოვნა, კერძოდ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების

შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

31. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია შეგვებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნა მოტყუებით დადებული გარიგებ(ებ)ის ბათილობის გამო, ამ გარიგებ(ებ)ის საფუძველზე გადახდილი თანხების, ასევე, ამ თანხების უკანონოდ ფლობიდან გამომდინარე პროცენტის შეგვებული სარჩელით მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ.

32. კასატორის/შეგვებული სარჩელით მოსარჩელის მთავარი პრეტენზიაა, რომ სააპელაციო სასამართლომ მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადის დაუცველობის მოტივით შეგვებული სარჩელი არ დააკმაყოფილა ისე, რომ არ იმსჯელა მისი დაკმაყოფილების სხვა სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, დელიქტზე; თუ მოტყუებით პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოება, არამედ, როგორც დაუშვებელი, არაკეთილსინდისიერი და გასაკიცხი მოქმედებაც. შესაბამისად, უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლებით დადგენილი წესები.

33. საკასაციო სასამართლო იზიარებს ზემოაღნიშნულ პრეტენზიას. სასამართლო განმარტავს, რომ მისი უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოითანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

34. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სა-

სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

35. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად, არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38). კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42).

36. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესოსამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ

რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

37. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

38. ამრიგად, სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შეზღუდული სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონგების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

39. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

40. განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება მოითხოვოს. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებათა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილებაა და ვალდებულებაა (იხ. დამატებით: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132; ბიოლინგი ჰ./ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009, 14; ქოჩაშვილი ქ., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ., 2012, 280; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2011, 39; ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 84).

41. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ ანებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონ-

დიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

42. მართალია, მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადანყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი [ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „ჯურა ნოვიტ ცურია“ (სასამართლომ იცის კანონი)], თუმცა შეჯიბრებითობის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით გარანტირებული პირთა თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებული სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის თაობაზე და მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგინონ საკუთარი პოზიცია.

43. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ძირითად არგუმენტებს (იხ. გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია, მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ. გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine, §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. გადანყვეტილება saqmeze Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდე-

ბათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. გადანყვეტილება საქმეზე *Milatova and others v. The Czech republic*, §59; *Niderost-huber v. Switzerland*, §24; *K.S. v. finland*, § 21).

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოტყუებით დადებული გარიგება საცილო გარიგებების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. საცილო გარიგება დადების მომენტი ნამდვილია, მაგრამ შეცდომების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი ხდება ბათილი. საცილო გარიგების გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები (იხ. ლადო ქანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 54, ველი 12, თბილისი, 2017წ.).

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტების თანახმად, რომელიც მან იძულებით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებულ გადანყვეტილებაში გააკეთა, თუმცა სრულად ვრცელდება მოტყუებით დადებულ გარიგებებზეც, „იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, §212, §213).

46. ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მსჯელობის შესაბამისად, „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლების ნესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცდომებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთნაირი ვადის გასვლის შემდეგაც“ (იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252).

47. აღნიშნული მსჯელობა გაზიარებულია საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებითაც, რომლის თანახმად, კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე მოტყუება, უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, §212, §213).

48. ამდენად, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიმართ განხორციელებული შესაძლო მოტყუების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სახზე იქნება დელიქტის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა – მოსარჩელის საკუთრების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნული სამართლებრივი საფუძველით კი სააპელაციო სასამართლოს შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტები საერთოდ არ გამოუკვლევიან, რის გამოც არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა.

49. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევს საკასაციო საჩივარში მითითებული სხვა პრეტენზიების შემოწმებას.

50. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

51. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადან-

ყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს შეგებებულ სარჩელში მითითებული, მოპასუხის (მოპასუხის წარმომადგენლობის) მოტყუებასთან დაკავშირებული ფაქტები. მხოლოდ ამ გარემოებების გამოკვლევის შემდგომ არის შესაძლებელი დელიქტურ ზიანზე მსჯელობა.

52. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეჯამების ვადა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-679-2021

18 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ-ის“ მიერ (შემდეგში – მოსარჩელე ან კასატორი) 2018 წლის 23 ოქტომბერს სარჩელი აღიძრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდეგში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ 1 074 000 აშშ ეკვივალენტი ლარის, ასევე 903737 აშშ ეკვივალენტი ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ.

2. მოსარჩელემ მიუთითა, რომ დაფუძნდა 1997 წელს. თავდაპირველად, მოსარჩელე კომპანიას ჰყავდა ხუთი პარტნიორი. მოგვიანებით, პარტნიორებმა გაასხვისეს თავიანთი კუთვნილი წილები და 2006 წლის ნოემბრის თვიდან მოსარჩელე კომპანიის საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1. კ. ჯ-ია – 60% წილი; 2. ვ. პ-ი – 40% წილი. საზოგადოების დირექტორს წარმოადგენდა კ. ჯ-ია.

3. 2005 წლიდან მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, რ-ის ტერიტორიაზე (ნაკვ: 65/5); 537 კვ.მ.; ს/კ:...), სადაც განლაგებული იყო ავტოგასამართი სადგური (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება).

4. 2007 წელს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, გაფრთხილებისა და საფუძვლის გარეშე, დაანგრია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგური. ამ ქმედების კანონიერების დადგენის მიზნით, მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლობა შეხვდა იმდროინდელ თბილისის მერიის ხელმძღვანელ პირებს. შეხვედრაზე მერიის წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს, რომ აღნიშნული ტერიტორია მერიას სჭირდებოდა თავისი მიზნებისათვის და მოსარჩელე კომპანიისათვის შემოთავაზებული იქნებოდა ალტერნატიული ფართი. ვინაიდან შემოთავაზებულ ფარ-

თებზე შეუძლებელი იყო იმავე სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, მოლაპარაკება რ-ზე არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლო ფართის გადმოცემასთან დაკავშირებით გაჭიანურდა და უშედეგოდ დამთავრდა.

5. 2008 წლის დასაწყისში დააკავეს კ. ჯ-ა და მისი მეგობარი ი. ხ-ი გამოგონილი ნარკოდანაშაულის ბრალდებით. 2008 წლის 19 მარტს ორივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა 2 თვის ვადით. მოსარჩელის მოსაზრებით, მათი დაკავება მიზნად ისახავდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იძულებით დათმობას.

6. ზემოთმითითებული პირების დაკავების შემდგომ, პროკურატურის მაღალჩინოსანი პირების მოთხოვნით, კ. ჯ-ას შეუთვალეს, რომ მასთან და ი. ხ-თან საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხდებოდა სადავო უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის დათმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურა გამოიყენებდა ყველა შესაძლებლობას დაკავებულების მიმართ მომხდარიყო ხანგრძლივი ვადით პატიმრობის შეფარდება. ამასთან, გამორიცხული იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება სხვა რაიმე პირობით.

7. ხანგრძლივი უკანონო პატიმრობის თავიდან არიდების მიზნით, კ. ჯ-ა იძულებული გახდა დათანხმებულიყო შემოთავაზებას სიმბოლურ ფასად უძრავი ქონების დათმობაზე. რომ არა კ. ჯ-ას მიმართ განხორციელებული იძულება უკანონო პატიმრობის სახით და ასევე, ამ უკანონო პატიმრობიდან თავის დასახსნელად უალტერნატივო პირობის ქონების დათმობის მოთხოვნა, მოსარჩელე კომპანია, მისი დირექტორის და დამფუძნებლის სახით, ბუნებრივია არ გაასხვისებდა ქონებას. მითუმეტეს, რომ კომპანიას ჰქონდა ბანკის ვალი და ნამდვილად წარმოუდგენელი იყო ამ ვითარებაში ქონების სიმბოლურ ფასად დათმობა.

8. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზემოთმითითებული ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელი იყო კ. ჯ-ას მეუღლეს მ.ჭ-ს მოსარჩელე კომპანიის მეორე პარტნიორისაგან ვ. პ-სგან გამოესყიდა საწარმოს 40%, ვინაიდან ვ. პ., კ. ჯ-ას პატიმრობის მიუხედავად არ თანხმდებოდა ქონების სახელმწიფოზე დათმობას უფასოდ, თუნდაც, კ. ჯ-ას თავისუფლების სანაცვლოდ, ამიტომაც, სირთულით მოხერხდა ვ. პ-თან შეჯერება წილის ნასყიდობის ღირებულებასა და წილის გამოსყიდვაზე 75 000 აშშ დოლარად.

9. ამასთან, ვინაიდან უძრავი ქონების დათმობა მოითხოვდა მოსარჩელე კომპანიის პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებას, 2008 წლის 24 ოქტომბერს ჩატარდა მოსარჩელე კომპანიის

პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმოს 40% წილის მესაკუთრე მ. ჭ-ი და 60% წილის მესაკუთრე კ. ჯ-ას წარმომადგენელი ნ. ჭ-ა. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სადავო უძრავი ქონება გაყიდულიყო ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე – სიმბოლურ ფასად – 100 000 ლარად. ამავე დღეს, მოსარჩელე კომპანიამ მიმართა მოპასუხეს უძრავი ქონების მიყიდვაზე, ხოლო ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოსარჩელე კომპანიის წინადადება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ უძრავი ქონების შეძენა 100 000 ლარად და, განისაზღვრა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

10. 2008 წლის 29 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადავიდა სადავო უძრავი ქონება 100 000 ლარად, მაშინ როდესაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტში უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 1 074 490 აშშ დოლარს. ამავე დღეს, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის უძრავი ქონების გადაცემაზე. აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში.

11. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო უძრავი ქონება თვითმმართველ ერთეულს გადაეცა მხოლოდ კ. ჯ-ასთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების და ხანგრძლივი პატიმრობისაგან თავის დახსნის მიზნით.

12. სადავო უძრავი ქონების ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის შემდგომ, 2008 წლის 04 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც კ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად სასჯელების შეკრების შედეგად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 75 000 ლარის ოდენობით. კ. ჯ-ას, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე დაუდგინდა გამოსაცდელ ვადად. კ. ჯ-ას მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა და კ. ჯ-ა გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. ამავე განაჩენით საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა კ. ჯ-ას მეგობართან, ი. ხ-თან, რომელსაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა 15 000 ლარი. აღნიშნული

5 წელი ი. ხ-ს განესაზღვრა გამოსაცდელ ვადად და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული, კ. ჯ-ასთვის დაკისრებული ჯარიმის – 75 000 ლარის გადახდა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტში, 2008 წლის 3 ნოემბერს. საპროცესო შეთანხმების თანხა გადახდილი იქნა მერიისაგან მიღებული სახსრებით. კ. ჯ-ას და მოსარჩელე კომპანიის მიმართ იძულებას ჰქონდა განგრძობითი ხასიათი და მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებისას არ დასრულებულა. იძულება გრძელდებოდა 2012 წლის ოქტომბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლამდე. მხოლოდ ამის შემდგომ, მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა კ. ჯ-იამ კომპანიის და მისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით. ქ. თბილისში, რ-ის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ირიცხებოდა 2011 წლის 07 ივლისამდე. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის დადგენილებით განისაზღვრა ააიპ თბილისის განვითარების ფონდისათვის აღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა. 2011 წლის 07 ივლისს აღნიშნული დადგენილება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და სადავო უძრავი ქონება დარეგისტრირდა ააიპ თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში.

13. 05.09.2011 წელს სხვა უძრავ ნივთებთან გაერთიანების შედეგად აღნიშნული უძრავი ქონება შეერწყა სხვა მიწის ნაკვეთებს და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულია ახალი უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით 70048 კვ.მ. უძრავი ქონების გაერთიანების შედეგად, 70048 კვ.მ.-ზე რეგისტრირებულია ა(ი)პ თბილისის განვითარების ფონდის საკუთრება, საკადასტრო კოდით ... ამ მიწის ნაკვეთზე კი რეგისტრირებულია უზუფრუქტურის შპს „ნ. ხ-ს“ უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით სადავო უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია და მოსარჩელეს ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით.

14. ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ შპს „ა. კ-ის“ შემფასებლის მოსაზრებით ქ. თბილისში, რ-ის ტერიტორიაზე მდებარე 537 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ.:...) საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეადგენდა 1 074 000 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის აღნიშნული უძრავი ქონების გადაცემა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა მხოლოდ 100 000 ლარად.

15. მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მიუთითებს 2008 წლის 29 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდო-

ბის ხელშეკრულების ბათილობაზე, ასევე, მის ამორალურობაზე, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმდა იძულებით, მოსარჩელე კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, უკანონო ხანგრძლივი პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით.

16. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 1074000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად, მოსარჩელემ მიუთითა სსკ-ის 54-ე მუხლი, 976.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1-ე მუხლი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსკ-ის 978-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე. განსახილველ შემთხვევაში რადგან შეუძლებელია მოპასუხისათვის გადაცემული ქონების მოსარჩელისათვის ნატურით დაბრუნება, ამიტომაც ანაზღაურება უნდა მოხდეს თანხის დაკისრებით.

17. სადავო უძრავი ქონების რეალური ღირებულების – 1 074 000 აშშ დოლარის საბანკო დანესებულებაში დეპოზიტის სახით (ანაზღაურება) განთავსების შემთხვევაში, 2008 წლის 01 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, ძირითად თანხას საპროცენტო სარგებელი დაერიცხებოდა 903 737 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული საპროცენტო სარგებელი არის ის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც განიცადა მოსარჩელემ. მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად მოსარჩელემ მიუთითა სსკ-ის 411-ე მუხლის დანაწესზე.

18. მოპასუხემ 2018 წლის 16 ნოემბერს წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი ასევე, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი, კერძოდ, მოპასუხემ მიუთითა, რომ კ. ჯ-ას მიმართ იძულების დასადასტურებლად, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება. მოპასუხის მითითებით, იძულება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და შესაბამისად, ასეთი ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება შეიძლება იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც საქმეში წარმოდგენილი არ არის. რაც შეეხება სარჩელზე თანდართულ განაჩენს, იგი არ ეხება ამ ურთიერთობებს და მასზე მითითება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მოპასუხის განმარტებით, იძულებით დადებული გარიგების წარმოადგენს საცილოდ ბათილ გარიგებას და მის ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა სსკ-ის 54-ე მუხლი, არამედ სსკ-ის 85-89-ე მუხლები. მოპასუხემ მიუთითა, რომ სსკ-ის

89-ე მუხლის თანახმად, საცილოდ ბათილი გარიგების შეცდომების ვადა არის ერთი წელი იძულების დამთავრების მომენტიდან. შესაბამისად, იძულების დამთავრების მომენტად, 2012 წლის 01 ოქტომბრის მიწნევის შემთხვევაშიც კი, გასულია გარიგების შეცდომების ვადა, ვინაიდან სარჩელზე თანდართული საჩივრით დასტურდება, რომ საჩივარი შედგენილია 2014 წლის 17 დეკემბერს. მოპასუხის მითითებით არ არის გასაზიარებელი მოსარჩელე მხარის დასაბუთება ხელშეკრულების ამორალურობასთან დაკავშირებით.

19. მოპასუხემ სადავო გახადა, როგორც გარიგების შეცდომების 1 წლიანი ვადის დაცულობა, ასევე, სარჩელის ხანდაზმულობა. მოპასუხის მითითებით, როგორც მოსარჩელე აღნიშნავს 2008 წლიდან ანუ, იძულების ფაქტის განხორციელებიდან სარჩელის შემოტანამდე, თითქმის 10 წელია გასული.

20. მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში კი, მოპასუხემ აღნიშნა, რომ 903 737 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის ოდენობით თანხის დაკისრების შესახებ მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წლიურ საანაბრე პროცენტს, რომლის გამოყენება მიუღებელი შემოსავლის დასაბუთებისთვის შესაძლებელია ფულადი ვალდებულების არსებობისას. ხოლო, განსახილველი დავის საგნის პირობებში (მით უფრო, რომ სადავოა უძრავი ქონების ღირებულება), მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს ანაცდური მოგების მიღების რეალური შესაძლებლობა, რაც სარჩელით და თანდართული დოკუმენტაციით ვერ დგინდება.

21. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სასამართლოში წარადგინა წერილობითი განცხადება დამატებითი ფაქტობრივი გარემოების შესახებ, რომელშიც აღნიშნა, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 1 074 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება. მოსარჩელე კომპანიას მერიისაგან (მოპასუხისაგან) მიიღებული აქვს ნასყიდობის ფასი – 100 000 ლარი, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრისას, მოსარჩელეს აღნიშნული გარემოება არ გაუთვალისწინებია

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 074 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით 903 737 აშშ დოლარის მოპასუხე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

23. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა

სააპელაციო საჩივრით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად უარყოფა.

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და სარჩელი მოპასუხისათვის 1 074 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, უარყოფილი იქნა.

25. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე კომპანია დაფუძნებულია 1997 წლის 26 სექტემბერს (რეგისტრაციის №7/4-885).

26. ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, დამტკიცდა მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიმღები რაიონული კომისიის 2000 წლის 10 თებერვლის აქტი რ-ის ტერიტორიაზე მდებარე მოსარჩელის დროებითი ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

27. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება მოსარჩელის რეგისტრაციის მონაცემებში, კერძოდ, ჯ. ა-ქმ კუთვნილი წილი – 20% და ტ. გ-ქმ კუთვნილი წილი – 5% სრულად გაასხვისეს ამავე საზოგადოების პარტნიორ – კ. ჯ-აზე, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის 10% მფლობელმა პარტნიორმა ც. ს-ქმ კუთვნილი წილი სრულად გაასხვისა ამავე საზოგადოების პარტნიორ – ვ. პ-ს სასარგებლოდ. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საზოგადოების წესდებაში.

28. საბოლოოდ, დამფუძნებელ-პარტნიორთა შემადგენლობა და წილობრივი მონაწილეობა საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად: 1. კ. ჯ-ა 60%; 2. ვ. პ-ი – 40%. საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/დირექტორს წარმოადგენდა – კ. ჯ-ა.

29. 2008 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო მოსარჩელე კომპანიის სახელზე.

30. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ კ. ჯ-ა, 2008 წლის 17 მარტს, დაკავებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა – პატიმრობა.

31. ვ. პ-სა და მ. ჭ-ს შორის, 2008 წლის 25 სექტემბერს, გაფორ-

მეზული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ვ. პ-მა, მოსარჩელის საწესდებო კაპიტალში კუთნილი 40%-იანი წილი მიჰყიდა მ. ჭ-ს. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ ნასყიდობის საგნის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა – 75 000 აშშ დოლარს.

32. მ. ჭ-ი და კ. ჯ-ა 2015 წლის 21 ივნისიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში.

33. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა მიმართა ქ. თბილისის მერიას კომპანიის საკუთრებაში რიცხული სადავო უძრავი ქონების 100 000 ლარად ქ. თბილისის მერიისთვის მიყიდვის თაობაზე. ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოსარჩელე კომპანიის წინადადება და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ შესყიდულ იქნა კომპანიის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონება. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა – 100 000 ლარით.

34. ქ. თბილისში, რ-ის ტერიტორიაზე არსებული 537 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 152.5 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობის შესყიდვისათვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის „გასხვისებული ქონების ქალაქის საკუთრებაში დაბრუნების“ პროგრამით გამოყოფილი ასიგნებიდან.

35. დადგენილია, რომ 2008 წლის 29 ოქტომბერს, ქ. თბილისის მერიას და მოსარჩელეს კომპანიას შორის დაიდო სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე კომპანიამ ქ. თბილისის მერიას 100 000 ლარად მიჰყიდა სადავო უძრავი ქონება.

36. 2008 წლის 29 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც სადავო უძრავი ქონება გადაეცა ქ. თბილისის მერიას (ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეული), რომელიც 2008 წლის 30 ოქტომბერს, საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე.

37. დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 04 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და განსასჯელს შორის 2008 წლის 04 ნოემბრის საპროცესო შეთანხმება დაზუსტებული პირობებით. კ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 75 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ზემოაღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ, კონსტანტინე. ჯ-ას სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 75 000 ლარის ოდენობით. კ. ჯ-იას თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება დაპატიმრება გაუქმდა და გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან.

38. კ. ჯ-ამ 2014 წლის 17 დეკემბერს საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მიუთითა თანამდებობის პირების – გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის და თბილისის მერიის თანამშრომელთა მიერ, სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე და 332-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაზე. ამავე საჩივრის საფუძველზე, კ. ჯ-ამ მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, წინასწარი გამოძიების დაწყება აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის ფაქტზე და საქართველოს სსსკ-ს 56-ე მუხლის შესაბამისად, მისი დაზარალებულად ცნობა.

39. დადგენილია, რომ სადავო უძრავ ნივთზე, სხვადასხვა პერიოდში საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო შემდეგი სახით:

40. – 06.07.2005წ.-30.10.2008 წლამდე რეგისტრირებული იყო – მოსარჩელის საკუთრების უფლება;

41. – 30.10./008წ.-13.06.2011წლამდე პერიოდში აღნიშნულ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო – ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება;

42. – 13.06.2011წ.-07.07.2011 წლამდე პერიოდში რეგისტრირებული იყო ასევე, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება;

43. – 07.07.2011წ.-05.09.2011 წლამდე პერიოდში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრების უფლება;

44. ხოლო, 2011 წლის 5 სექტემბერს ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი სხვა უძრავ ნივთებთან ფორმირების (გაერთიანების) შედეგად უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მიმდინარე პერიოდ-

ზე რეგისტრირებულია ახალი უძრავი ნივთი დაზუსტებული ფართობით – 70048.00 კვ.მ.

45. მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა 2018 წლის 23 ოქტომბერს.

46. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

47. დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 29 ოქტომბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 477-ე მუხლი).

48. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის მე-3 ფაქტობრივ გარემოებაში მითითებული გარემოება, რომ „2007 წლის დასაწყისში თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყოველგვარი გაფრთხილებისა და საფუძვლის გარეშე მოხდა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ავტოსადგურის დაანგრევა“ საქმეში წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულებით არ დადასტურდა. მოსარჩელის განმარტებით, კ. ჯ-ა შეხვდა იმდროინდელ თბილისის მერიის ხელმძღვანელ პირებს და მათ შორის საუბარი ალტერნატიული ფართის შეთავაზებაზეც კი ყოფილა.

49. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული პერიოდი ეხება კ.ჯ-ას დაკავებამდე 1 წლით ადრე პერიოდს. შესაბამისად, თუკი სასამართლო მიიჩნევდა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა და კ.ჯ-ამ მოლაპარაკებები გამართა თბილისის მერიის თანამშრომლებთან, ადასტურებს, რომ იმ მომენტისთვის მის მიმართ რაიმე სახის იძულებასა თუ მუქარას ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, ალტერნატიული ფართის შეთავაზებაზეც კი მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

50. დადგენილი იქნა, რომ არც მითითებულ პერიოდში და არც მოგვიანებით, კ.ჯ-ასა თუ მოსარჩელე კომპანიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ მისი ქონების დაზიანების გამო, რაიმე სახის პრეტენზია არ წარუდგენია.

51. ის გარემოება, რომ კ. ჯ-ას მიმართ 2007 წლიდან დაიწყო იძულება, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა.

52. დადგენილია, რომ 2008 წლის 17 მარტს ნარკოდანამაჟულისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებული იქნა კ. ჯ-ა და როგორც მოსარჩელე უთითებს, მისი მეგობარი ი. ხ-ი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ ი.ხ-ს რაიმე შემხებლობა მოსარჩელე კომპანიასთან ან სადავო უძრავ ქონებასთან გააჩნდა.

53. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაუდასტურებელ გარემოებად მიიჩნია მოსარჩელის მითითება, რომ კ. ჯ-ამ ჯარიმის

თანხა გადაიხადა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსათვის უცნობია, კ. ჯ-ას დაკავება თუ მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, როგორ და რა გავლენას ახდენდა 2008 წლის 29 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებასთან.

54. ამასთან, მსგავსი სახის ქმედებები მოსარჩელე კომპანიის პარტნიორის – ვ. პ-ს მიმართაც კი არ განხორციელებულა, რომლის თანხმობასა თუ უარის თქმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 2008 წლის 29 ოქტომბრის ხელშეკრულების დადებაზე, რადგან საწარმოს 40% ნილის მესაკუთრეს წარმოადგენდა.

55. დადგენილია, რომ 2008 წლის 04 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმეზე კ. ჯ-ასთან და ი. ხ-თან შედგა საპროცესო შეთანხმება და იმავე დღეს მათ დატოვეს სასჯელალსრულების დაწესებულება. პირობითი გამოსაცდელი ვადის გარდა, მათ სასჯელის სახედ და ზომად ასევე, განესაზღვრათ ჯარიმა 75 000 ლარისა და 15 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის თანხა კ. ჯ-ას მიერ გადახდილი იქნა 2008 წლის 03 ნოემბერს, ხოლო ი. ხ-თან მიმართებაში კი, მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის. ამასთან, 2008 წლის 28 ოქტომბრის ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით შესყიდვისათვის დაფინანსების წყარო განისაზღვრა ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის „გასხვისებული ქონების ქალაქის საკუთრებაში დაბრუნების“ პროგრამით გამოყოფილი ასიგნებიდან, თუმცა, კონკრეტულად როდის გადაეცა ნასყიდობის თანხა კ. ჯ-ას ანუ, უსწრებდა თუ არა მითითებული თანხის გადაცემა საპროცესო შეთანხმების დადებას, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება. თუმცა, აღნიშნული სადავო გარემოება რომც დასტურდებოდა, ნასყიდობის საგნის ღირებულება მეტია, ვიდრე კ. ჯ-ას მიერ გადახდილი ჯარიმის ოდენობა, რასაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება ეწოდოს ნასყიდობის თანხის „სიმბოლურ ფასი“ და ასევე, ვერ ჩაითვლება, რომ ფორმალურად იყო მხარეთა შორის შეთანხმება 100 000 ლარზე, რადგან არც მითითებული თანხის ოდენობა და ასევე, არც მასზე მეტი თანხა არ ყოფილა ჯარიმის სახით გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში. სააპელაციო სასამართლომ დაუდასტურებელ ფაქტად მიიჩნია, რომ სწორედ მოპასუხის გადარიცხული თანხებიდან მოხდა ჯარიმის გადახდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასტურდება, რომ გარიგების დროს მითითებული ნასყიდობის ფასი არ იყო სიმბოლური ხასიათს.

56. მოსარჩელის მითითებასთან დაკავშირებით, რომ კ. ჯ-ას მიმართ განხორციელდა იძულების ფაქტი, რამაც შედეგად წარმოშ-

ვა ხელშეკრულების დადება, თუმცა, მანამდე ამ უკანასკნელის მეუღლემ ვ. პ-სგან 75 000 აშშ დოლარად გამოისყიდა საწარმოს დარჩენილი 40%, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე კომპანია დაფუძნდა 1997 წელს და 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით მას მხოლოდ 2 მოწილე ჰყავდა – კ. ჯ-ა – 60%, რომელიც ასევე იყო საწარმოდ დირექტორი და ვ. პ-ი – 40%. მოსარჩელის მითითებით, „ვინაიდან პ., ჯ-ას პატიმრობის მიუხედავად არ თანხმდებოდა ქონების სახელმწიფოზე დათმობას უფასოდ, თუნდაც ჯ-ას თავისუფლების სანაცვლოდ, ამიტომ დიდი სირთულით მოხდა ვ. პ-თან შეჯერება ამ თანხაზე და წილის გამოსყიდვა“. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვ. პ-ს არაფერი ემუქრებოდა და არც კ. ჯ-ას სანაცვლოდ სურდა ქონების დათმობა, მის მეუღლეს 75 000 აშშ დოლარად მიჰყიდა თავის საკუთრებაში არსებული 40%. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოსარჩელე კომპანიას სხვა რაიმე უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნდა საკუთრებაში, შესაბამისად, სადავო უძრავი ქონების 40%-ის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 75 000 აშშ დოლარს 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2008 წლის სექტემბრიდან 29 ოქტომბრის ანუ, ხელშეკრულების დადებამდე პერიოდში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არცერთი მხარის მიერ არ ჩატარებულა რაიმე სახის გარიგება ან/და არ შეცვლილა იმგვარად ვითარება, რომ უძრავი ქონების ფასი ან გაზრდილიყო ან შემცირებულიყო.

57. საქმეში წარმოდგენილი თავად კ. ჯ-ას სანოტარო განცხადებით დგინდება, რომ 2005 წლის 18 ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელე კომპანიის საწესდებო კაპიტალის მის საკუთრებაში არსებული 60% იყო 1200 ლარი, ხოლო ვ. პ-ის საწესდებო კაპიტალი 40% იყო – 800 ლარი.

58. ამდენად, 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით, არსებული მონაცემების გადაანგარიშებით, მოსარჩელე კომპანიის 100%-იანი წილის ღირებულების მაქსიმუმი ფასი 187 000 აშშ დოლარს წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის დროს მხარეები თავად განსაზღვრავენ გასაყიდი საგნის ღირებულებას, 2008 წლის 29 ოქტომბერს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება 100 000 ლარზე, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია „სიმბოლურ ფასად“, მით უმეტეს, რომ 2005 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მოსარჩელე კომპანიის კაპიტალის (მათ შორის, სადავო უძრავი ქონების ჩათვლით არსებული კაპიტალი) ჯამური ღირებულება 2 000 ლარს შეადგენდა.

59. რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას, რომ მოსარჩელე კომ-

პანიას ჰქონდა ვალი და წარმოუდგენელი იყო ასეთ სიმბოლურ ფასად ქონების გასხვისება, სააპელაციო სასამართლომ აღმიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით მოსარჩელეს ჰქონდა რაიმე სახის დავალიანება. ამასთან, არც ის დგინდება, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სწორედ კ. ჯ-ას მოუწია საწარმოს ვალდებულებების შესრულება, დავალიანებების გასტუმრება და ა.შ. რითაც ზიანი განიცადა.

60. რაც შეეხება იძულებას, სარჩელში აღნიშნულია, რომ სადავო ხელშეკრულება გაფორმდა იძულებით, მოსარჩელე კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელე კომპანიის დირექტორის კ. ჯ-ას ხანგრძლივი უკანონო პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით. რომ არა ეს იძულება, იგი სადავო ქონებას არ გაასხვისებდა.

61. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. ამავე კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. სსკ-ის 87-ე მუხლის მიხედვით იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. კანონმდებელი 85-ე მუხლში დაუშვებელი ზემოქმედების ხერხებად ძალადობასა და მუქარას აღიარებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, მუქარა (ფსიქიკური იძულება) წარმოადგენს სამომავლო საფრთხის შესახებ შეტყობინებას, რომლის რეალიზებასაც დამუქრებელი საკუთარ ნება-სურვილზე დამოკიდებულად წარმოაჩენს, რათა ამგვარად მუქარის ადრესატის ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინოს და შესაბამისი გარიგების დადებაზე დაიყოლიოს. გარიგების იძულების გამოყენებით დადებულად ცნობისთვის მნიშვნელობა არ აქვს იძულების განმახორციელებელი პირის სურვილს ან შესაძლებლობას, რეალურად განახორციელოს მუქარა, მთავარია, აღნიშნულს ადრესატი რეალური საფრთხის შემცველად და შესრულებად აღიქვამდეს. შესაბამისად, როდესაც მხარის მიერ იძულების მოტივით გარიგების ბათილად ცნობაა მოთხოვნილი, სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენს, ის თუ რამდენად განხორციელდა იძულება, განხორ-

ციელებულ იძულებასა და სადავო გარიგების დადებას შორის არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი და იძულების ფაქტი რა ფაქტობრივი გარემოებებით ან/და მტკიცებულებებით დასტურდება (იხ. სუსგ-ები 29.04.2015წ. №ას-132-124-2015; 27.05.2013წ. №ას-170-163-2013).

62. სსკ-ის 86-ე მუხლის დანაწესის თანახმად, გარიგების ბათილად ცნობას საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება და ამასთან, მითითებული ნორმის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილებანი უნდა იქნეს მიღებული. კანონი ასევე, ითვალისწინებს, რომ შესაძლებელია, ხელშეკრულების იძულებით დადების ფაქტი განპირობებული იყოს გარიგების მხარის ახლობლის ან ოჯახის წევრის მიმართ არსებული საფრთხის გამო.

63. პირზე იძულების, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიური იძულების, განხორციელებისას იძულების ფაქტის დადასტურება პირდაპირი მტკიცებულებებით ძალიან რთულია და ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მხარის ობიექტური შესაძლებლობა, სამართლოს იძულების დასადატურებლად არაპირდაპირი მტკიცებულებები წარმოუდგინოს. იძულების განმახორციელებელი პირი ყოველთვის მოქმედებს გააზრებულად და ფრთხილად მისთვის საინტერესო მიზნის მიღწევის პროცესში, რის გამოც, ძალიან რთულია საჭირო მტკიცებულებების მოპოვება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ისეთ შემთხვევებში, როცა გარიგების დადების წინ განვითარებული მოვლენები აშკარად ქმნის მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ძალადობის ან მუქარის რწმენას, მტკიცებულებები გონივრულობისა და ჯეროვანების პრინციპიდან გამომდინარე შეფასდეს.

64. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების/მუქარის შესაძლო რეალიზაციით გამოწვეული შიში აიძულებს პირს სხვისი ნების შესატყვისი ნება გამოავლინოს. იძულების ფაქტის განხორციელებულად მიჩნევისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, თავად იძულების ობიექტი პირის სუბიექტური დამოკიდებულება იძულების (მუქარის) ფაქტის მიმართ და არა მუქარის განმახორციელებელი პირის განზრახვის რეალურობა, სისრულეში მოიყვანოს მუქარის შინაარსი. გარიგების დადება უშუალოდ მუქარის სამართლებრივ პროდუქტს/შედეგს უნდა წარმოადგენდეს. თავის მხრივ, იძულება როგორც ასეთი, არის არა ფაქ-

ტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხი. სსკ-ის 85-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ. სუსგ №ას-89-83-2015, 23.10.2015 წელი).

65. ამდენად, ამ საფუძვლით გარიგების საცილობისას, ამა თუ იმ კონტრაქტენტი მხარის მიმართ გარიგების დადების იძულების საკითხი სასამართლომ უნდა შეაფასოს სამართლებრივად. სამართლებრივი შეფასების პროცესში პირზე განხორციელებული ზემოქმედების სსკ-ის 85-ე მუხლის კონტექსტით იძულებად შეფასებისთვის, განმსაზღვრელია იძულების ფაქტზე მიმთითებელი პირის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სამართალწარმოების პროცესში გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები, რამდენად ქმნის იძულების რაიმე ფორმის გამოყენების გარეშე, ხელშეკრულების დაუდებლობაზე დასაბუთებულ ვარაუდს (იხ. სუსგ №ას-1475-2018; 30 აპრილი, 2020 წელი).

66. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმისთვის, რომ სა მოქალაქო დავის დროს დადგინდეს, იძულებას ჰქონდა თუ არა ადგილი, საჭიროა შეფასდეს საქმეში არსებული გარემოებები, ხოლო ეს გარემოებები ქმნის თუ არა იძულების ფაქტს, ეს უკვე სამართლებრივი შეფასების კატეგორიაა და ამისთვის სავალდებულო წესით არ არის საჭირო სისხლის სამართლის საქმეზე იყოს დადგენილი განაჩენი, რადგან აღნიშნულს არც მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა თვალისწინებს და არც სასამართლო პრაქტიკითაა დადგენილი.

67. იძულების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ნების გამოხატველს გაცნობიერებული აქვს რეალური მდგომარეობა და არ სურს გარიგების დადება, მისი თავისუფალი ნება იმდენად არის შეზღუდული, რომ საბოლოო ჯამში, თანხმდება მასზე, ფორმალურად საკუთარი გადაწყვეტილებით ანუ, იგი იძულებულია მეორე მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდეს მისი ნებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, იძულება წარმოადგენს ნების გამოხატვის პროცესში აშკარა ჩარევას. იძულებით დადებული გარიგებაც, მოტყუებით და შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, არის მხოლოდ საცილო და არა ავტომატურად ბათილი გარიგება, რაც ნიშნავს, რომ მისი ბათილობისთვის აუცილებელი პირობაა მონაწილე მხარის მიერ მისი შეცილება.

68. თუკი პირმა იძულებით დადებული გარიგება კანონით დად-

გენილ 1 წლიან ვადაში საცილო არ გახადა, ასეთი გარიგება ნამდვილ გარიგებად იქცევა, ხოლო შეცილების უფლების მქონე პირი კი, შეცილების უფლებას კარგავს.

69. იმისთვის, რომ იძულებით დადებული გარიგება გახდეს საცილო, აუცილებელია, რომ იძულებასა და ნების გამოხატვას შორის არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, კერძოდ, უნდა არსებობდეს იძულებითი ქმედება, ასევე, უნდა არსებობდეს რეალურად გამოვლენილი ნება და ეს ნება არ უნდა ემთხვეოდეს პირის შინაგან ნებას. უნდა დადასტურდეს ის გარემოება, რომ მაიძულებლის განხორციელებული ქმედების შედეგად მოხდა ნების გამოხატვა და სწორედ მაიძულებლის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ აიძულა პირი ნება გამოეცხადებინა იმგვარად, რომ თანხმობა განეცხადებინა გარიგებაზე და რომ არა ეს იძულება, ხელშეკრულება ვერ/არ დაიდებოდა.

70. სსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. ზემოაღნიშნული ნორმით კანონმდებელმა განსაზღვრა შეცილების ვადა – 1 წელი იძულების დამთავრების მომენტიდან.

71. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შეცილება და ხანდაზმულობა განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია და მასზე მითითება მოპასუხის ვალდებულებაა, განსხვავებით შეცილების ინსტიტუტისგან.

72. საცილო გარიგებებში, შეცილების ვადა სარჩელის მატერიალური დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების წინაპირობაა, რომლის გამორკვევა საკუთრივ მოსამართლის ვალდებულებას წარმოადგენს, რადგან შეცილების განხორციელება ვადაში მუხლის ნორმატიული შემადგენლობის კომპონენტია. არ აქვს მნიშვნელობა, მოპასუხე უთითებს თუ არა მოსარჩელის მიერ გამოყენებულ, გარიგების შეცილების ვადაზე, მოსამართლემ თავად უნდა გამოარკვიოს, თუ როდის და რა მეთოდით გახადა საცილო მოსარჩელემ სადავო გარიგება. თუკი, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ არ გამოიყენა შეცილების ვადა, იმისდა მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა ამ გარემოებაზე, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, განსხვავებით ხანდაზმულობის ინსტიტუტისგან, როცა ხანდაზმული სარჩელის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, თუკი მოპასუხე არ უთითებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე.

73. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ „იძულება გრძელდებოდა 2012 წლის ოქტომბერში გამართული სა-

პარლამენტო არჩევნების შედეგად პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლამდე. მხოლოდ ამის შემდეგ, მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა კ. ჯ-იამ კომპანიის და მისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და-ნაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით“ (იხ. სარჩელში მითითებული მე-9 ფაქტობრივი გარემოება).

74. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძულება უფლების განგრძობადი დარღვევაა, რაზეც ზემოთ მითითებული სსკ-ის 89-ე მუხლიც მიუთითებს, რადგან კანონი შეცილების ვადის ათვლის საკითხს უკავშირებს იძულების დამთავრების მომენტს. იგივე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი უშვებს, რომ პირის იძულება შეიძლება ნების გამოვლენის შემდეგაც გაგრძელდეს, რადგან შეცილების ვადის ათვლა დამოკიდებული არ არის ნების გამოვლენის მომენტზე. ცხადია, აქ არსებობს განსხვავება ნების გამოვლენისთვის განხორციელებულ იძულებასა და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის, რადგან შედეგის მიღწევის შემდეგ ის პირი, რომელმაც განახორციელა ნების გამოვლენაზე იძულებითი სახის ზემოქმედება, შეიძლება აღარ ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ ამასთან ერთად, კვლავ არსებობდეს ზემოქმედების საფრთხე. ამიტომ, შეცილების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს მხარის პიროვნული გათავისუფლების მომენტიდან, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ აღარ არსებობს რეალური საფრთხე, რომელსაც მისი მოქმედებებზე ზემოქმედება შეუძლია (იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 2016 წლის 1 მარტი).

75. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ერთწლიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამთავდება პირის იძულების მომენტი, უკავშირდება პირის სუბიექტურ აღქმას, რომ მის პიროვნებად ან ქონებას, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აღარ ემუქრებათ საფრთხე, კერძოდ, გადამწყვეტია მომენტი, რომელშიც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღარ იმყოფება იძულებით განპირობებული შედეგის გავლენის ქვეშ. აღნიშნული იძულებული პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული და არა იძულების განხორციელების მომენტით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება).

76. ამდენად, იძულებით დადებული გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადა აითვლება არა იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, არამედ იძულების დამთავრების მომენტიდან. განსახილ-

ველ შემთხვევაში, თავად მოსარჩელე სარჩელში უთითებს, რომ „კ. ჯ-ას და მოსარჩელე კომპანიის მიმართ იძულებას ჰქონდა განგრძობადი ხასიათი და მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებისას არ დასრულებულა. იძულება გრძელდებოდა 2012 წლის ოქტომბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლამდე. მხოლოდ ამის შემდგომ, მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა კ. ჯ-ამ კომპანიის და მისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას 2 წელზე მეტი პერიოდის გასვლის შემდეგ – 2014 წლის 17 დეკემბერს, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით“ (იხ. სარჩელის მე-9 ფაქტობრივი გარემოება). ის გარემოება, რომ მისთვის სუბიექტურად სწორედ 2012 წლის ოქტომბრის თვე არის გარდამტეხი და ამ დროიდან, აქვს უკვე შესაძლებლობა რომ განახორციელოს შედაგება იმიტაც დასტურდება, რომ მე-2 სასარჩელო მოთხოვნა სწორედ იმავე პერიოდს უკავშირდება და მისთვის ზიანის მიყენების დაწყების თარიღად 2012 წლის 01 ნოემბერს უთითებს (იხ. სარჩელის მე-12 ფაქტობრივი გარემოება).

77. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ვადის ამოწურვა მოთხოვნას არა მხოლოდ განუხორცილებელს ხდის, არამედ სრულებით აქარწყლებს მას. კ. ჯ-ა, როგორც საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს, ასევე, შემდგომ ეტაპზე სარგებლობდა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მომსახურებით და როგორც ამ უკანასკნელმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, მოსარჩელისთვის ცნობილი იყო ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რაც უკავშირდებოდა ხელშეკრულების გაფორმებასა თუ საპროცესო შეთანხმების დადებას, ასევე განცხადებისა თუ სარჩელის შეტანას.

78. ამდენად, მოსარჩელისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუ საიდან მოხდებოდა შეცილების 1-წლიანი ვადის და ხანდაზმულობის ვადის ათვლა, თუკი, ასეთი საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში. ამასთან, სარჩელში მითითებული ფაქტობრივ გარემოებებში სწორედ იურიდიულ კონსულტაცია მიღებულმა მხარემ დააფიქსირა, რომ მის მიმართ ძალადობა სწორედ 2012 წლის ოქტომბრამდე ხორციელდებოდა, უფრო ზუსტად კი, საპარლამენტო არჩევნებამდე ანუ, 2012 წლის 02 ოქტომბრამდე. შესაბამისად, კანონით დადგენილი შეცილების 1-წლიანი ვადის ათვლა 2012 წლის 03 ოქტომბრიდან უნდა დაიწყოს, რომელიც ამოიწურა 2013 წლის 03 ოქტომბერს.

79. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ასეც რომ არ იყოს და დავეთანხმოთ მოსარჩელეს (იხ. სარჩელის 12-ე ფაქტობრივი გარემოება) და აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყოს 2012 წლის 01

ნოემბრიდან ანუ, იმ თარიღიდან, საიდანაც იგი ქონების იძულებით დათმობის შედეგად ზიანს განიცდის და მიიჩნევს, რომ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა, კანონით დადგენილი 1 წლიანი შეცილების ვადა 2013 წლის 01 ნოემბერს იქნა ამოწურული. არც მითითებული დროისთვის აქვს რაიმე ფორმით მაინც მოსარჩელეს შეცილება განხორციელებული, რათა სასამართლოს ემსჯელა მაინც, იყო თუ არა სახეზე ის შეცილება, რაც შესაძლოა ასეთად მიჩნეულიყო სასამართლოს მიერ.

80. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 28 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე №ას-1404-1622-05 განმარტა, რომ იძულებით დადებული გარიგების შეფასების სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლი, არამედ სსკ-ის-ს 85-ე-89-ე მუხლები.

81. აღნიშნული განსხვავების კონსტანტაცია, სამართლებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია საცილო და უცილოდ ბათილი გარიგების თეორიული წინამძღვრების არსებობის პირობებში, კერძოდ, არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვე ბათილია და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ (განსახილველ შემთხვევაში, იძულების ფაქტის დადგენის შემდეგ). მაშასადამე, გარიგების დადების მომენტი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს იძულების დამთავრების მომენტს, თუმცა, სამართლის თეორიაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული და შემცილებელი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ იძულება გარიგების დადების შემდეგაც გრძელდებოდა, ოღონდ არა თავდაპირველი, არამედ მოდიფიცირებული ფორმით, მაშინ ამ მოდიფიცირებული მუქარის მტკიცების ტვირთი ისევ შემცილებელზე გადადის (სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017 წელი, გვ. 528). სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო ეს გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. კოდექსის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი (საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე №ას-578-544-2010, 04 ოქტომბერი, 2010 წელი). სსკ-ის 54-ე მუხ-

ლი მოთავსებულია გარიგებების ზოგად ნაწილში და ასევე, ზოგადად უთითებს, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. კანონმდებლის მიერ იძულებით დადებული გარიგება სწორედ საცილო გარიგებების თავშია მოთავსებული შეცდომით დადებული გარიგებებთან და მოტყუებით დადებულ გარიგებებთან ერთად. ამდენად, კანონმდებლის მიერ სწორედ ზემოაღნიშნული სამი ტიპის გარიგებაა მიჩნეული საცილო გარიგებად, რომელიც დამოკიდებულია მხარის მიერ მის შეცდომასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად შეცდომით, მოტყუებით თუ იძულებით დადებული გარიგება გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, „არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს“, რადგან შეცდომა, მოტყუება თუ იძულება არ არის ჩვეულებრივად დამახასიათებელი საზოგადოებრივი წესრიგისთვის, თუმცა თავად კანონმდებელმა მხოლოდ და მხოლოდ სწორედ ამ სამ ტიპ გარიგების მხარეებს მიანიჭა უფლება, რომ შედავების შემთხვევაში იგი გაბათილდეს, ხოლო შეუდაველობის შემთხვევაში კი, იგი ისეთივე იურიდიული ძალის მატარებელი გახადოს, როგორც სხვა, კანონის ფარგლებში დადებული გარიგება. ამდენად, კანონმდებელმა ზოგადი ცნებიდან გამოყო გარიგებების ის სახეობები, რომელიც მხოლოდ შეცდომების შემთხვევაში ხდება ბათილი, რითაც მათ მიანიჭა ყველაზე დაბალი ხარისხის დამრღვევობის ხასიათი, რაც შესაძლოა ნაგულისხმევიც კი იყოს სსკ-ის 54-ე მუხლში და სწორედ ამ მუხლიდან ცალკე გამოყო და „გამოიტანა“ საცილო გარიგებათა თავში. ყველა ის გარიგება, რომელიც არ ექცევა საცილო გარიგებათა ფოკუსში, თავისი ხასიათისა თუ მნიშვნელობის გათვალისწინებით შესაძლოა მოექცეს სსკ-ის 54-ე მუხლის სფეროში. ამ შემთხვევაშიც კი, მტკიცების ტვირთია ის, რომ სასამართლოს მიმდინარეობისას დადგინდეს, გარიგების მართლწინააღმდეგობა და ამორალურობა და სსკ-ის 54-ე მუხლი ავტომატურ რეჟიმში არ იკავებს გარიგების ბათილობის საფუძველს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინების მიხედვით, სსკ-ის 54-ე და 85-86 (1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა იყო განხორციელებული, რა დროსაც, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური შემადგენლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

82. სსკ-ის 85-ე მუხლის მიზნებისათვის იძულება, რომელიც მოიცავს ძალადობასა და მუქარას, უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და მასში ყველანაირი სახის ძალადობა და მუქარა უნდა იქნეს

მოაზრებული მისი გამოვლენის ფორმების გათვალისწინებით და არ უნდა განხორციელდეს იძულების დახარისხება იმგვარად, რომ დავის შემთხვევაში, ზოგი მათგანი სსკ-ის 54-ე მუხლით იქნეს გაბათილებული და ზოგი მათგანი კი – ამავე კოდექსის 85-ე მუხლით. კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენდა სსკ-ის 54-ე მუხლში გაერთიანებულიყო მხარეთა შორის დადებული ყველა გარიგება მათი სადავოობის შემთხვევაში.

83. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა იძულებით დადებული გარიგებები ცალკე გამოყო და მათი გაბათილება მიაბა თავად მხარის შედავების 1-ნლიან ვადას.

84. ამდენად, კერძოა და ზოგადი ხასიათის ნორმების კონკურენციისას, სადავო საკითხის მოწესრიგება კერძო ხასიათის ნორმებით ხდება, რომლებიც სპეციალურ, სპეციფიკურ და კონკრეტულ ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს წარმოადგენენ და ნორმის შემფარდებელს ავალდებულებს სწორედ იმგვარად იმოქმედოს, როგორც ეს კერძო ხასიათის ქცევის წესშია მითითებული და მისი სხვაგვარი განმარტება თუ გაერცობა, კონკრეტულ მხარეებთან დაკავშირება ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ ზოგადი ხასიათის ნორმებში გაერთიანება – არ ხდება.

85. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ჯ-ას მიმართ იძულების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ რა სახის იძულება განხორციელდა და ვისი მხრიდან იყო ეს იძულება განხორციელებული, საით იყო ეს იძულება მიმართული, კონკრეტული პირის, მისი ქონებისა თუ მისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ, დადებული გარიგება საცილო გარიგებას წარმოადგენს სსკ-ის 85-89-ე მუხლების შესაბამისად და მითითებული მუხლები, რაიმე გამონაკლისსა თუ დათქმას არ შეიცავენ.

86. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს არ განუხორციელებია სადავოდ გამხდარი უძრავი ქონების ნასყიდობის 2008 წლის 29 ოქტომბრის გარიგების შეცილება. კანონით დადგენილ ერთ წლიან ვადაში შეცილების უფლების გამოუყენებლობამ კი, სამართლებრივი ნამდვილობის ძალა მიანიჭა ნასყიდობის საცილო გარიგებას, რაც თვის მხრივ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილობას.

87. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეცილების გამოუყენებლობის გამო, აღარ არსებობს ამ საცილო გარიგების გაბათილების წინაპირობები და ეს გარიგება ითვლება ნამდვილ გარიგებად.

88. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ არ გამოიყენა შეცილების ვადა, იმისდა მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა ამ გარემოებაზე, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, განსხვა-

ვებით ხანდაზმულობის ინსტიტუტისგან, როცა ხანდაზმული სარჩელის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, თუკი მოპასუხე არ უთითებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე (იხ. სუსგ №ას-15-15- 2016, 2016 წლის 1 მარტი).

89. თუკი იძულებით გარიგების დადებისას შედეგად ზიანი მოჰყვა, უფლებამოსილ პირს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ დელიქტური სამართლით (ლ.ჭანტურია „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 384).

90. დელიქტური ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ხანდაზმულობის სამწლიან ვადას [სსსკ-ის 1008-ე მუხლი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ] და აღნიშნულ ფაქტზე მოპასუხეები შესაგებელში უთითებდნენ.

91. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა არის ის ზიანი, რაც მან განიცადა იძულებით დადებული გარიგების შედეგად. ამდენად, მოთხოვნა წარმოშობილი იქნება სახელშეკრულებო მოთხოვნიდან თუ დელიქტიდან, ორივე შემთხვევაში, ხანდაზმულობის 3 წლიან ვადას აწესებს კანონმდებელი.

92. სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

93. განსახილველ შემთხვევაში, მართალია მხარემ კანონით დადგენილ 1 წლიან ვადაში არ განახორციელა შეცილება იძულებით დადებული გარიგების მიმართ, თუმცა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მას უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსთვის, რაც მხარემ არ განახორციელა.

94. იმის გათვალისწინებით, რომ იძულების დასრულების თარიღად პალატის მიერ 2012 წლის ოქტომბერი იქნა მიჩნეული, კანონით გათვალისწინებული 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა ამოწურულია 2015 წლის 03 ოქტომბრის მდგომარეობით. მითითებულ ვადაში მოსარჩელის მიერ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა. განსახილველი სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია 2018 წლის 23 ოქტომბერს.

95. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის საერთო ვადას 10 წელს, პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან განსახილველ

შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ დადგენილია ხანდაზმულობის კონკრეტული ვადა, პალატა ვერ გამოიყენებდა ხანდაზმულობის საერთო ვადას, რომელიც შეადგენს 10 წელს.

96. სსკ-ის 138-ე მუხლი თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება სსკ-ის 139-ე და 140-ე მუხლები.

97. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა 2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაზე, რომელიც არ იქნა მიჩნეული სსკ-ის 138-ე მუხლის გამოყენების საფუძველად, რაც არის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობა, რადგან მოსარჩელის მიერ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ანუ მოპასუხისთვის თანხის დაკისრება, მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ სარჩელის შეტანით შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, ხოლო საქართველოს პროკურატურაში განცხადების წარდგენა, მიზნად ისახავდა არა თანხების დაკისრებასა და ზიანის ანაზღაურებას, არამედ დამნაშავე პირების დასჯას სისხლის სამართლებრივი წესით, რაც არ შეიძლება გაიგივდეს სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველთან. იმის გათვალისწინებით, რომ განცხადების შეტანის დროსაც კ. ჯ-ა ასევე თავისი ადვოკატით იყო წარმოდგენილი და მას კონსულტაციები ჰქონდა გავლილი, აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარემ ზუსტად იცოდა, თუ რა სურდა და რა სამართლებრივი საშუალებით როგორ იქნებოდა მისი უფლებები რეალიზებული და მოთხოვნები დაკმაყოფილებული. 2014 წლის დეკემბრის თვეში წარდგენილი განცხადება თუ 2018 წლის ოქტომბერში წარდგენილი სარჩელი, არ ყოფილა სპონტანურად წარმოდგენილი, არამედ იყო იურისტებთან კონსულტაციის შედეგი და შესაბამისად, სწორედ იმ შინაარსით უნდა იქნენ ისინი მიღებული და გაგებული, როგორც იქნა წარდგენილი. შესაბამისად, 2014 წლის დეკემბრის განცხადება, სააპელაციო პალატამ არ მიჩნია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობად.

98. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არც უსაფუძვლო გამდიდრება გვაქვს სახეზე, ვინაიდან ფაქტია, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება იქნა დადებული, რომელიც არ შეიცავდა ფიქტიურ თანხის ოდენობას, რად-

გან საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული ფასი იქნა გადახდილი მოპასუხის მიერ მოსარჩელეზე (ქონების ღირებულებაზე ნამსჯელია გადანყვეტილების 8.4. ნაწილში).

99. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რაც შეეხება სადავო ქონების საბაზრო ღირებულებას, შემფასებლის მოსაზრება ქონების საბაზრო ღირებულების თაობაზე იმის გარდა, რომ შემფასებელს საერთოდ არ აქვს მსჯელობა, თუ როგორ გამოიყვანა სადავო ქონების ღირებულება, რა სისტემითა და რა მეთოდით, ასევე, სასამართლოსთვის უცნობია თუ შესაძარი ობიექტები ნამდვილად იყო თუ არა წარმოდგენილი 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით (საგაზეთო ამონარიდებში თარიღი არ იკითხება), ხოლო შესაფასებელი ობიექტის დანიშნულებისა და განვითარების შესაფასებლად წარმოდგენილია ის ობიექტები, რომელიც 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით არც კი არსებობდა, კერძოდ, პრეზიდენტის სასახლე 2004- 2009 წლებში აშენდა (იხ. <https://ka.wikipedia.org>) და 2008 წლის მდგომარეობით იგი დასრულებული სახით არ იყო წარმოდგენილი და ამდენად, იგი ვერ მოახდენდა გავლენას ობიექტის ფასზე და მის შეფასებაზე, ასევე, „თბილისი ჰილსს“ არათუ, 2008 წლის, არამედ იგი 2019-2020 წლებში გაიხსნა, ხოლო შეფასებაში მითითებული ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის სიახლოვეს მდებარეობს კერძო სახლები, ისტორიული ძეგლები, პოლიციის განყოფილება და სხვ. არის ზოგადი შეფასება და თბილისის ყველა უბანში ვხვდებით ასეთ დანესებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ შემფასებლის მიერ ფასის დადგენა ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, დაუსაბუთებლად მიიჩნია. მით უმეტეს, რომ საქმეში თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2005 წლის ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელის საწესდებო კაპიტალი ჯამურად 2000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოსარჩელის 40%-იანი წილი 75000 აშშ დოლარი ღირდა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრებას ადგილი არ ჰქონია.

100. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. კასატორმა მოთხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

101. კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო უძრავი ქონება თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, 2008 წლის 17 მარტს კ. ჯ-ა დააკავეს გამოგონილი ნარკოდანაშაულის ბრალდებით და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა 2 თვის ვადით. მისი დაკა-

ვება მიზნად ისახავდა მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იძულებით დათმობას. დაკავების შემდგომ, პროკურატურის მაღალჩინოსანი პირების მოთხოვნით, კ. ჯ-ას შეუთვალეს, რომ მასთან და მასთან ერთად, დაკავებულ ი. ხ-თან საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე სადავო უძრავი ქონებას სიმბოლურ ფასად ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულს დაუთმობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურა გამოიყენებდა ყველა შესაძლებლობას დაკავებულების მიმართ მომხდარიყო ხანგრძლივი ვადით პატიმრობის შეფარდება. ამასთან, გამორიცხული იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება სხვა რაიმე პირობით. ხანგრძლივი უკანონო პატიმრობის თავიდან არიდების მიზნით, კ.ჯ-ა იძულებული გახდა დათანხმებულიყო შემოთავაზებას სიმბოლურ ფასად უძრავი ქონების დათმობაზე. კომპანიას ჰქონდა ბანკის ვალი და ნამდვილად წარმოუდგენელი იყო, ამ ვითარებაში ქონების სიმბოლურ ფასად დათმობა, რომ არა შექმნილი ვითარება.

102. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 დღეში, კ. ჯ-ამ დატოვა საპატიმრო დანესებულება.

103. სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში, შეადგენდა 1 074 000 (ერთი მილიონ სამოცდათოთხმეტი ათასი) აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულს, უძრავი ქონება გადაეცა 100 000 ლარად. აღნიშნული მიუთითებს 2008 წლის 29 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობაზე, ასევე, მის ამორალურობაზე.

104. კასატორი მიუთითებს, რომ სუს განჩინებაზე №ას-212-201-2017, რომელშიც განმარტებულია, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება, რამდენად შეესაბამება სს.კ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანანესს, როგორიცაა ზნეობის ნორმები.

105. ასეთ ვითარებაში, სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ლეზულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებუ-

ლება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს. ის ფაქტი, რომ სანარმოს დირექტორზე განხორციელდა იძულება, არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ასევე გამოვლენილია გარიგების ბათილობის ისეთი სამართლებრივი წინაპირობა, როგორიცაა გარიგების შინაარსის ამორალურობა, რადგან იძულება, თანაც სახელმწიფოს მხრიდან, თავისთავად ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და მართლსაწინააღმდეგოა.

106. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციას ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სასომხეთის წინააღმდეგ“.

107. კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო თავისი ინიციატივით მსჯელობს, რომ სადავო უძრავი ქონების ღირებულება – 100 000 ლარი არ იყო სიმბოლური და ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა გახლდათ უძრავი ქონების ადექვატური, ასევე თავისი ინიციატივით აფასებს მოსარჩელე კომპანიის სანესდებო კაპიტალის ოდენობას. გადაწყვეტილების 8.11. პუნქტში ეჭვქვეშაა დაყენებული ქონების შემფასებლის დასკვნის მართებულობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაცემული ქონების საბაზრო ღირებულების საფასური არ შეადგენდა 1 074 000 აშშ დოლარს.

108. კასატორი აღნიშნავს, რომ უდავოდ დადასტურებულია, რომ ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ შპს „ა. კ-ის“ შემფასებლის მოსაზრების მიხედვით, სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეადგენდა 1 074 000 (ერთი მილიონ სამოცდათოთხმეტი ათასი) აშშ დოლარს. ამის საპირისპირო მტკიცებულება, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია და არც სადავოდ გაუხდია მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება-

ზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებაზე დაახლოებით 30-ჯერ-40-ჯერ ნაკლები ფასი ადეკვატურია და არ არის სიმბოლური. კასატორის მოსაზრებით, აშკარა დისპროპორცია არსებობს ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებასა და გარიგებით განსაზღვრულ ფასს შორის და სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ ცდილობს დაიცვას მერიის მხარე და გაამართლოს მერიის ქმედებები. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლო, სამართლის ძირითადი პრინციპებისა და სამოქალაქო საპროცესო ნორმების უგულებელყოფით, თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, თავად ითავსებს მხარის ფუნქციას და მხარეთაგან დამოუკიდებლად თავად განსხვავებულად ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს.

109. კასატორი მიუთითებს, რომ რეალურად 100 000 ლარი, რომელიც მოსარჩელემ მიიღო, მოხმარდა კ. ჯ-ასთვის და ი. ხ-ისთვის განაჩენით დაკისრებული ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას, ასევე, შპს კომპანიას მოუწია დღგ-ის თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში. გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლევი და სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების შინაარსი ობიექტურად რამდენად შესაბამება ზნეობის ნორმებს, სწორედ ამით განსხვავდება სსკ-ის 54-ე მუხლში მოცემული გარიგების ბათილობის სამი ალტერნატიული წინაპირობა ერთმანეთისაგან: 1. არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს (ამ შემთხვევაში კანონის კონკრეტული დანაწესის გარდა, მნიშვნელოვანია გარიგების მონაწილეთა ქცევა/ქმედებაში სუბიექტური ელემენტის კვლევა გარიგების შინაარსთან მიმართებით, როგორც ეს მიუთითა კიდევ საკასაციო სასამართლომ საქმეში №ას-1224-1149-2015 /იხ. ამ განჩინების 22-ე პუნქტი/); 2. ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (კონკრეტულ დანაწესზე უნდა იქნეს მითითებული, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეფასდეს გარიგების მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება); 3. ზნეობის ნორმებს (როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შესაფასებელია გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან და არა სუბიექტურად კონტაჰენტთა სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ).

110. კასატორის მოსაზრებით, ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაჰენტთა

ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისდმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, როდესაც იგი არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზეა დადებული.

111. ამასთან, კასატორი მიუთითებს სსკ-ის 978-ე მუხლზე, რომლის თანახმად პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე. მოცემულ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული ქონების მოსარჩელისათვის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია და ანაზღაურება უნდა მოხდეს თანხის დაკისრებით.

112. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, კასატორი აღნიშნავს, რომ მსგავს საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებით (სუსგ-ები №ას-225-215-2016; №ას-761-729-2016) განიმარტა, რომ ვინაიდან სახეზე იყო უცილოდ ბათილი გარიგება, გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა ხანდაზმულობის 3 წლიანი, არამედ საერთო ათწლიანი ვადა. სსკ-ის 54-ე მუხლისა და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადები არ არის განსაზღვრული, ამდენად გამოიყენება საერთო 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც დაცულია მოსარჩელე მხარის მიერ.

113. კასატორი ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხთან მიმართებით აღნიშნავს, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, კ. ჯ-ას მიერ პროკურატურაში წარდგენილი საჩივარი, არ წარმოადგენდა შეცდილებას. კასატორი მიუთითებს, რომ სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. საქართველოს პროკურატურაში საჩივრით მიმართვა იძულებით ჩამორთმე-

ული ქონების გამო, საკუთრების უფლების ხელყოფის დასაცავად წარმოდგენს სამართლებრივად ვარგის საშუალებას. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში განმარტებულია ალტერნატიული მსჯელობა მასზედ, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.

114. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ არც ხანდაზმულობის და არც შეცილების ვადები არ არის გაშვებული და სარჩელი წარმოდგენილია კანონით დადგენილ ვადაში.

115. კასატორი აღნიშნავს, რომ კ. ჯ-ას მიმართ იძულება დაიწყოს უძრავ ქონებაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის დანგრევით და შესაბამისად, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს განმარტებები გადაწყვეტილების 8.2. პუნქტში, სადაც აღნიშნულია რომ ვინაიდან კ. ჯ-ია 2007 წელს, დაკავებამდე 1 წლით ადრე შეხვდა მერიის ხელმძღვანელ პირებს და არსებობდა საუბარი ალტერნატიული ფართის შეთავაზებაზე, 2007 წლიდან იძულება არ მომხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

116. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არა-ქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

117. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს შემდეგ

გარემოებათა გამო:

118. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

119. წინამდებარე განჩინების პპ: 28, 30-32, 34-35 -ით დადგენილია, რომ მოსარჩელე კომპანია დაფუძნდა 1997 წელს. 2006 წლის ნოემბრის თვიდან მოსარჩელე კომპანიის საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1. კ. ჯ-ია – 60% წილი; 2. ვ. პ-ი – 40% წილი. საზოგადოების დირექტორს წარმოადგენდა კ. ჯ-ა.

120. 2005 წლიდან მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, რ-ის ტერიტორიაზე (ნაკვ: 65/5); 537კვ.მ.; ს/კ:...), სადაც განლაგებული იყო ავტოგასამართი სადგური.

121. მოსარჩელე კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელი და იმავედროულად, კომპანიის დირექტორი კ. ჯ-ა, 2015 წლის 21 ივნისიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში მ. ჭ-თან.

122. მოსარჩელე კომპანიის 40%-იანი წილის მფლობელ პარტნიორ ვ. პ-სა და ამავე კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისა და დირექტორის მეუღლეს – მ. ჭ-ს შორის 2008 წლის 25 სექტემბერს, გაფორმდა კომპანიის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ვ. პ-მა კუთვნილი წილი 75000 აშშ დოლარად სრულად მიჰყიდა მ. ჭ-ს.

123. მოსარჩელის წარმომადგენელმა მიმართა ქ. თბილისის მე-რიას, კომპანიის საკუთრებაში რიცხული სადავო უძრავი ქონების 100 000 ლარად ქ. თბილისის მერიისთვის მიყიდვის თაობაზე. ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოსარჩელე კომპანიის წინადადება და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ შესყიდულ იქნა კომპანიის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონება. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა – 100 000 ლარით. 2008 წლის 29 ოქტომბერს, ქ. თბილისის მერიას და მოსარჩელე კომპანიას შორის დაიდო სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე კომპანიამ ქ. თბილისის მე-რიას 100 000 ლარად მიჰყიდა სადავო უძრავი ქონება. გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც სადავო უძრავი ქონება გადაეცა ქ. თბილისის მერიას, რომელიც 2008 წლის 30 ოქტომბერს, საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე.

124. სადავო უძრავ ნივთზე, სხვადასხვა პერიოდში საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო შემდეგი სახით:

125. – 06.07.2005წ.-30.10.2008 წლამდე რეგისტრირებული იყო – მოსარჩელის საკუთრების უფლება;

126. – 30.10/008წ.-13.06.2011წლამდე პერიოდში აღნიშნულ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო – ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება;

127. – 13.06.2011წ.-07.07.2011 წლამდე პერიოდში რეგისტრირებული იყო ასევე, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება;

128. – 07.07.2011წ.-05.09.2011 წლამდე პერიოდში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრების უფლება;

129. 2011 წლის 5 სექტემბერს, ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი სხვა უძრავ ნივთებთან ფორმირების (გაერთიანების) შედეგად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, მიმდინარე პერიოდზე რეგისტრირებულია, როგორც ახალი უძრავი ნივთი, დაზუსტებული ფართობით – 70048.00 კვ.მ.

130. სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 1 074 000 აშშ ეკვივალენტი ლარის ოდენობით თანხის დაკისრების შესახებ, მოსარჩელემ იმ გარემოებებს დააფუძნა, რომ 2008 წლის 29 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილ გარიგებას, როგორც ამორალურობის საფუძველით, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ იგი გაფორმდა იძულებით, მოსარჩელე კომპანიის დირექტორ კ. ჯ-ასათვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და მისი უკანონო, ხანგრძლივი პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეადგენდა 1 074 000 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულთან ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა მხოლოდ 100 000 ლარი (იხ., ამ განჩინების პპ: 11, 14, 15). (საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ასევე მოითხოვდა 903737 აშშ ეკვივალენტი ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას მოპასუხისათვის, რომელიც უარყოფილი იქნა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში).

131. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან

გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანია კასატორის შედავების საფუძვლიანობა.

132. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზიები წარმოდგენილია, სააპელაციო სასამართლოს მიერ როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევის საფუძვლით [სსსკ-ის 102-ე, 103-ე, 105-ე, 407.1 და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი], ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების საფუძვლით.

133. საკასაციო პალატა პირველ რიგში იმსჯელებს კასატორის იმ პრეტენზიებზე, რომელიც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების შესაძლო დარღვევას.

134. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რაც იმაში გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით იმსჯელა და დაადგინა, რომ სადავო უძრავი ქონების ღირებულება – 100 000 ლარი არ იყო სიმბოლური და ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა წარმოადგენდა სადავო ქონების ადეკვატურ ღირებულებას; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 8.11. პუნქტში ექქეშა დაყენებული ქონების შემფასებლის დასკვნის მართებულობა, ასევე სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით შეაფასა მოსარჩელე კომპანიის სანესდებო კაპიტალის ოდენობა.

135. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია, სადავო ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეადგენდა 1 074 000 (ერთი მილიონ სამოცდათოთხმეტი ათასი) აშშ დოლარს. ამის საპირისპირო მტკიცებულება, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია და არც სადავოდ გაუხდია მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებაზე დაახლოებით 30-ჯერ-40-ჯერ ნაკლები ფასი, ადეკვატურია და არ არის სიმბოლური. კასატორის მოსაზრებით, აშკარა დისპროპორცია არსებობს ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებასა და გარიგებით განსაზღვრულ ფასს შორის და სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ ცდილობს დაიცვას მოპასუხე მხარე და გაამართლოს მისი ქმედებები. სააპელაციო სასამართლო, სამართლის ძირითადი პრინციპებისა და სა-

მოქალაქო საპროცესო ნორმების უგულვებელყოფით, თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, თავად ითავსებს მხარის ფუნქციას და მხარეთაგან დამოუკიდებლად თავად განსხვავებულად ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს.

136. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

137. საკასაციოსასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტყმაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

138. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზ-

რუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0- 31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I).

139. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

140. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელი ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

141. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლოსაქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ

დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

142. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

143. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინ-

ნებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

144. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯობებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

145. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. პ. ბოელინგი, ლ. ჭ-ა, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დაწინაურებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამო-

სილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჟ-ა, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

146. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებათა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

147. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

148. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოთხოვნა 1 074 000 აშშ ეკვივალენტი ლარის ოდენობით თანხის დაკისრების შესახებ, იმ გარემოებებს დააფუძნა, რომ 2008 წლის 29 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილ გარიგებას, როგორც ამორალურობის საფუძველით, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ იგი გაფორმდა იძულებით, მოსარჩელე კომპანიის დირექტორ კ. ჯ-ასათვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და მისი უკანონო, ხანგრძლივი პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით. მოსარჩელემ განმარტა, რომ სადავო ქონების საბაზრო ღირებულება 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეადგენდა 1 074 000 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულთან ნასყიდობის საფასურად გა-

ნისაზღვრა მხოლოდ 100 000 ლარი (იხ., ამ განჩინების პპ: 11, 14, 15). მოსარჩელემ ქონების რეალური საბაზრო ღირებულების დასადასტურებლად სარჩელთან ერთად სასამართლოს წარმოდგინა მტკიცებულება – 2008 წლის ოქტომბრის თვეში სადავო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ შპს „ა. კ-ის“ ქონების შეფასება.

149. რაც შეეხება მოპასუხეს, მან წარმოდგენილი მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით უარყო სარჩელის ფაქტობრივი გარემოება კ. ჯ-ას მიმართ იძულების განხორციელების შესახებ იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება (განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და შეეხება მოსარჩელეს) სარჩელს არ ერთვის.

150. იმაგდროულად, მოპასუხემ სადავო გახადა გარიგების შეცვლების 1-წლიანი ვადის დაცულობა (სსკ-ის 89-ე მული), ასევე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელში (ხანდაზმულობა), აღნიშნა, თუკი მოსარჩელე ამტკიცებს, რომ იძულების სავარაუდო ფაქტი განხორციელდა 2008 წელს, ამ ფაქტიდან გასულია თითქმის 10 წელი.

151. რაიმე შედაგებას მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) მოსარჩელის მიერ მითითებულ სადავო უძრავი ქონების საბაზრო ფასთან მიმართებით, არ შეიცავს (იხ., შესაგებელი; დაზუსტებული შესაგებელი). უფრო მეტიც, მოპასუხე დაზუსტებულ შესაგებელში, რომელიც წარმოდგენილია განცხადების სახით, მიუთითებს, რომ მოსარჩელეს მოპასუხისაგან მიღებული 100 000 ლარი, არ გაუთავლისწინებია თანხის დაკისრების შესახებ სარჩელის მოთხოვნის მოცულობის დადგენისას.

152. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამ განჩინების პ-99-ში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სადავო ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შემფასებლის მოსაზრება, იმის გარდა, რომ შემფასებელს საერთოდ არ აქვს მსჯელობა თუ როგორ გამოიყვანა სადავო ქონების ღირებულება, რა სისტემითა და რა მეთოდით, ასევე, სასამართლოსთვის უცნობია თუ შესადარი ობიექტები ნამდვილად იყო თუ არა წარმოდგენილი 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით (საგაზეთო ამონარიდებში თარიღი არ იკითხება), ხოლო შესაფასებელი ობიექტის დანიშნულებისა და განვითარების შესაფასებლად წარმოდგენილია ის ობიექტები, რომელიც 2008 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით არც კი არსებობდა, კერძოდ, პრეზიდენტის სასახლე 2004- 2009 წლებში აშენდა (იხ. <https://ka.wikipedia.org>) და 2008 წლის მდგომარეობით იგი დასრულებული სახით არ იყო წარმოდგენილი და ამდენად, იგი ვერ მოახდენდა გავლენას ობიექტის

ფასზე და მის შეფასებაზე, ასევე, „თბილისი ჰილსს“ არათუ, 2008 წლის, არამედ იგი 2019-2020 წლებში გაიხსნა, ხოლო შეფასებაში მითითებული ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის სიახლოვეს მდებარეობს კერძო სახლები, ისტორიული ძეგლები, პოლიციის განყოფილება და სხვა, არის ზოგადი შეფასება და თბილისის ყველა უბანში ვხვდებით ასეთ დანესებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ შემფასებლის მიერ ფასის დადგენა ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით დაუსაბუთებლად მიიჩნია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, თუ რას შეადგენდა მოსარჩელე კომპანიის კაპიტალი, კერძოდ, ამ განჩინების პ-99-ის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2005 წლის ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელის საწესდებო კაპიტალი ჯამურად 2000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოსარჩელის 40%-იანი წილი 75000 აშშ დოლარი ღირდა.

153. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა. (იხ. დამატებით: თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, ჩს, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკი-

ცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჟ-ა, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჟანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის, თბ., 2004, გვ.64).

154. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

155. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დაფაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

156. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ას-

ლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

157. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

158. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხედეს მოსამართლე, რომელია უდავო და რო-

მელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოინურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი დაა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

159. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მართივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

160. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

161. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ

თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (მდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

162. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (მდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩე-

ლით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

163. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

164. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

165. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ და-

აკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

166. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს საქმეში განთავსებულ მოპასუხის შესაგებელზე. კერძოდ, სარჩელის მე-11 ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც შეეხება შპს „ა. კ-იის“ დასკვნას სადავო უძარვი ქონების ღირებულების 1074000 აშშ დოლარად შეფასების შესახებ, მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა მხოლოდ – არ ვეთანხმები (იხ. შესაგებლის მე-11 ფაქტობრივი გარემოება).

167. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამაფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენიებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. ამდენად, მოსამართლე, ასე უწვევად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც

უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. განსახილველ შემთხვევაში კი, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ ისე იმსჯელა და გააქარწყლა სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება და წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ მოპასუხე მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველ შესაგებელს, ამ გარემოებებზე არ აფუძნებდა.

168. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, გასაზიარებელია წინამდებარე განჩინების პ.135-ში მითითებული კასატორის პრეტენზია, რომ მოპასუხე მხარეს არც სადავოდ გაუზნდია მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე და არც სარჩელში მითითებული სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ოდენობის განმსაზღვრელი, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საპირისპირო მტკიცებულება, არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მოპასუხე დაზუსტებულ შესაგებელში, რომელიც წარმოდგენილია განცხადების სახით, მოპასუხე დამატებით ფაქტობრივ გარემოებად მიუთითებს, რომ მოსარჩელეს მოპასუხისაგან მიღებული 100 000 ლარი, არ გაუთავლისწინებია თანხის დაკისრების შესახებ სასარჩელოს მოთხოვნის მოცულობის დადგენისას.

169. გასაზიარებელია ასევე კასატორის პრეტენზია იმ ნაწილშიც, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევით, ისე, რომ მოპასუხე ამას სადავოდ არ ხდოდა წარმოდგენილი შესაგებლით, თავისი ინიციატივით იმსჯელა და დაადგინა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, წარმოადგენდა სადავო ქონების ადეკვატურ ღირებულებას. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.98, პ.134).

170. კასატორის მატერიალურ სამართლებრივი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 54-ე, 976-ე, 978-ე, 979-ე მუხლები), ასევე არასწორად დაადგინა, მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის თითქოსდა გაშვება. (იხ. საკასაციო საჩივარი).

171. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს, მოსარჩელის მიერ დადებული სადავო გარიგების იურიდიული ძალმოხილება. მოსარჩელის მტკიცებით, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანთა მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მის

მიერ გამოვლენილია იურიდიულად არანამდვილი ნება, შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება სამართლებრივ ლეგიტიმაციას არ ატარებს, რის გამოც, სარჩელით მოთხოვნილია მოპასუხისათვის თანხის გადახდის დაკისრება, რადგან მართლსაწინააღმდეგო განკარგვის შედეგად, საადვო უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვეოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვეოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). სარჩელის ფაბულიდან გამომდინარე (მოსარჩელე მხარე მიუთითებს გარიგების იძულებით დადების გზით ქონების მისი ფაქტობრივი ბატონობიდან გასვლაზე, ამასთან, მიიჩნევს, რომ გარიგება ამორალურიცაა, რადგან იძულება განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან), საკასაციო პალატის შეფასებით, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შეიძლება წარმოადგენდეს, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408.1 მუხლები ან სსკ-ის 976.1 და 979-ე მუხლის მეორე ნაწილი, თავად ქონების განკარგვის მართლზომიერება (ნების გამოვლენის ნამდვილობა) კი, უნდა შემოწმდეს ამავე კოდექსის 54-ე, 85-ე-87-ე მუხლების ფარგლებში.

172. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე დავობს საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ჩამორთმევის ფაქტზე (იხ. ევროკონვენციის დამატებითი ოქმის 1.1. მუხლი). თავად საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევას, კასატორი მხარე უკავშირებს იმ ფაქტორს, რომ გარიგება, რომელიც ქონების გადაცემის საფუძველს წარმოადგენდა, დადებულია იძულების შედეგად, რაც გამორიცხავს ნამდვილი ნების არსებობას და მის ამორალურობაზე და მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე მოტივის დადასტურება განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს და შესაბამისად, განსხვავებულ ფაქტებს ემყარება, ამასთან, სამართლებრივი თვალსაზრისით, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა: თუკი გარიგების ნამდვილობას მისი დადების დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 54-ე

მუხლის კონტექსტში შევამოწმებთ, მაშინ სახეზე უცილოდ ბათილი გარიგება უნდა გვექონდეს, რომელსაც იმთავითვე ფორმალურადაც არ წარმოუშვია სამართლებრივი შედეგები, ხოლო, თუკი ამავე კოდექსის 85-ე და შემდგომი ნორმების ფარგლებში იმსჯელებს სასამართლო, ასეთ შემთხვევაში სახეზე უნდა გვექონდეს საცილო გარიგება, რომელიც ფორმალურად ნამდვილია და თუკი არ იქნება დადგენილ ვადაში შეცილებული, მას კანონიერი ძალა მიენიჭება.

173. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამოწმებენ გადანყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლო უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ან ამ გადანყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადანყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადანყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადანყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

174. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი

გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

175. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (იხ. დამატებით: ქ-ა ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132; ბიოლინგი ჰ.,/ლუტრინგჰაუსი ჰ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009, 14; ქოჩაშვილი ქ., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ., 2012, 280; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2011, 39; ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 84;)

176. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და საავინდიკაციო, საავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და საავინდიკაციო სარჩელთა კონკურენ-

ციას. მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

177. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება, არ არის გადანაცვლებების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელის შემშლელი. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*ius-ra novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). საკასაციო სასამართლოს არა ერთ გადანაცვლებაში იქნა ასახული ხსენებული მიდგომა, თუმცა, შეჯიბრებითობის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით გარანტირებული პირთა თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ ინფომირებული სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის თაობაზე და მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგინონ საკუთარი პოზიცია.

178. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანაცვლებას უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანაცვლებები უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანაცვლება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანაცვლებების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანაცვლება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანაცვლება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასა-

მართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21;

179. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გარიგების ბათილობის ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ განსაზღვრული პირობების დარღვევით დადებულ გარიგებებს ბათილად აღიარებს. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 385-393). ამიტომ გარიგების ბათილობის ცნება და შინაარსი კანონის ნორმებსა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I., მუხლი 54., თბ., 2017, ველი 5.) ბათილია გარიგება, თუ ის არ იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, რადგან მოქმედი კანონმდებლობა გარიგების მონაწილეთა მიერ განხორციელებულ ნების გამოვლენას სამართლებრივად დაუშვებლად მიიჩნევს.

180. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო.

181. „სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაც-

ვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ ინტერესის (სამართლებრივი უსაფრთხოება) სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირებისაგან. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531).

182. კერძოსამართლებრივ გარიგებებში, შემომწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან, შესაძლებელია გარიგების მოტივის ამორალურობა გარიგების ამორალურად მიჩნევისა და დაედოს საფუძვლად. არსებითია არა ის, თუ რამდენად იცოდნენ გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, არამედ ის, თუ რა შინაარსის გარიგება დადეს მათ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩნევად სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლევი და სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების შინაარსი, ობიექტურად რამდენად შეესაბამება ზნეობის ნორმებს, სწორედ ამით განსხვავდება სსკ-ის 54-ე მუხლში მოცემული გარიგების ბათილობის სამი ალტერნატიული წინაპირობა ერთმანეთისაგან: 1. არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს (ამ შემთხვევაში კანონის კონკრეტული დანაწესის გარდა, მნიშვნელოვანია გარიგების მონაწილეთა ქცევა/ქმედებაში სუბიექტური ელემენტის კვლევა გარიგების შინაარსთან მიმართებით) 2. ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (კონკრეტულ დანაწესზე უნდა იქნეს მითითებული, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეფასდეს გარიგების მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება); 3. ზნეობის ნორმებს (როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შესაფასებელია გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან და არა სუბიექტურად კონტაქტურად სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ).

183. სსკ-ის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდღეფინიციური ხასიათისაა და სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებე-

ლია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხ-
ლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო სა-
კითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრა-
ჰენტთა ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესა-
მე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც,
რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება
გარიგებისდმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექ-
ტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების ში-
ნაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამო-
რალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება. სსკ-ის 54-ე მუხლის სა-
ფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემ-
თხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედი-
ტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდ-
რების ნორმების, კერძოდ, სსკ-ის 976.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი-
სა და 979-ე მუხლების საფუძველზე.

184. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათილი გარიგების ერთ-
ერთ სახეს წარმოადგენს საცილო გარიგება. საცილო გარიგება და-
დების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების შედეგად კარგავს
იურიდიულ ძალას, ე.ი ხდება ბათილი. საცილო გარიგება შეცილე-
ბის გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არა-
მედ მისი დადების მომენტიდან. საცილო გარიგების გავრცელებუ-
ლი შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებუ-
ლი გარიგებები. (მდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კო-
მენტარი, წიგნი I, მუხლი 54, ველი12, თბილისი, 2017).

185. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია იმაში მდგომარეობს,
რომ 2008 წლის 29 ოქტომბრის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულე-
ბის დადების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მოპასუხის მიმართ
განხორციელდა იძულება. საკასაციო სასამართლო მოიხმობს სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტი-
ლებას, კერძოდ დიდი პალატამ განმარტა, რომ იძულება არა ფაქ-
ტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. სამოქალაქო
კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულე-
ბით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორ-
მით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანე-
ლობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების და-
დასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც
ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. (იხ:
სუსგ №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017).

186. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექ-
სის 85-ე-87-ე მუხლები, საცილო გარიგების ნაირსახეობას აწესრი-
გებენ, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ

არა იძულების მარეგულირებელი მუხლების წინაპირობები. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან), საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა მოდრეკას. იძულების, მით უფრო ყოფილი ან მოქმედი მაღალჩინოსნების მხრიდან მომდინარე იძულების შემთხვევაში, რთულია პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა და ასეთ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლიობა უნდა გადავხედოთ სასამართლოსათვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა, ამასთანავე, კონტრაჰენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდა იძულება, კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს ფაქტებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი მისი ან მისი ახლობლის მიმართ, რატომ იყო ეს ქმედება რეალური ხასიათის და სხვა. ვიდრე მოპასუხის სტადიას შეამოწმებდეს სასამართლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, სარჩელის ფორმალური გამართულობა ექვემდებარება შეფასებას, თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, ის თავშივე უსაფუძვლოდ მიიჩნევა და სასამართლოს მხრიდან უარყოფას ექვემდებარება.

187. „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცდილობდა თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც [ბ. ზოიძე, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252].

188. აღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას, რომლის თანახმად, კანონით დადგენილ ვადაში შეცდილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველ-

ზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ., §212, §213).

189. ამდენად, მოსარჩელეზე განხორციელებული შესაძლო იძულების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სახეზე იქნება დელიქტის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა – მოსარჩელის საკუთრების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

190. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსხვავებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადისაგან, შეცილების ვადა უნდა შემოწმდეს სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით (სასამართლო შესაგებელი). შეცილების ვადის გასვლის შემდეგ, შეცილების უფლება ქარწყლდება და შეცილების განცხადება სამართლებრივი შედეგის არმქონეა.

191. იძულებით დადებულ გარიგებისას, სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით ექვემდებარება კვლევას, თუ რა ვადაში განხორციელდა შეცილება (სსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან), რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. გარიგების შეცილებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“. უცილო (არარა) გარიგებების „ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტიში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ

მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).

192. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება სააპელაციო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადის არასწორად ათვლას, კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, კ. ჯ-ას მიერ პროკურატურაში წარდგენილი საჩივარი, არ წარმოადგენდა შეცილებას. კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. საქართველოს პროკურატურაში საჩივრით მიმართვა იძულებით ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების უფლების ხელყოფის დასაცავად წარმოადგენს სამართლებრივად ვარგის საშუალებას. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში განმარტებულია ალტერნატიული მსჯელობა მასზე, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ მის მიერ, არც ხანდაზმულობის და არც შეცილების ვადები არ არის გაშვებული და სარჩელი წარმოდგენილია კანონით დადგენილ ვადაში. (იხ. საკასაციო საჩივარი).

193. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხემ წარმოადგინა არა მხოლოდ მოთხოვნის შემწყვეტი, არამედ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელიც (ხანდაზმულობა). სსკ-ის 144.1 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

194. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელის წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), თუმცა, უარს

აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი). მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე ასევე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსკ-ის 369-ე მუხლი) ან შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსკ-ის 361.2 მუხლი, 368-ე მუხლი).

195. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამოორიციხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63.).

196. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემონგება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემონგების ეტაპზე. (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ. 170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ.20).

197. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორ-

ციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

198. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

199. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.

200. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინაარმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (მდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

201. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

„თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

202. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის დანყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება. ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (იხ. დამატებით: ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320).

203. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყევტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობაკი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს.

204. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

205. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნიადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

206. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნიადობის პრინციპების მოთხოვნა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

207. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

208. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელ-

მძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა. მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

209. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოაწილებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეაყვებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“. (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

210. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

211. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექ-

სის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

212. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიების ფარგლებში ამონმებს რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სისწორეს, აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ განსახილველ საქმეზე საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების ფარგლებში უნდა შეამოწმოს მოსარჩელის მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, განსაზღვროს უფლების საკითხი და, მხოლოდ ამის შემდგომ უნდა იმსჯელოს, მოპასუხის შესაგებლის ფარგლებში მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შესაგებლის საფუძვლიანობაზე.

213. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და,

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება და

საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირობითი გარიგება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-526-2019

17 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
მ. ერემაძე (მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება, მიუღებელი შე-
მოსავლის დაკისრება (სარჩელში), გარიგების ბათილად ცნობა (შე-
გებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2015 წლის 6 აპრილს, ერთი მხრივ, სს „ი.ი. პ.თ.თ-ის წარმო-
მადგენლობა საქართველოში“ (შემდგომში „მოპასუხე“) და მეორე
მხრივ, შპს „მ-ს“ (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის დაიდო ნასყი-
დობის ხელშეკრულების გაფორმების დაპირების ხელშეკრულება
(შემდგომში „ხელშეკრულება“ ან „სადავო ხელშეკრულება“) რომ-
ლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოპასუხემ გასცა დაპირება, რომ თუკი გაიმარჯვებდა ქ. ბა-
თუმში, ... ქუჩის მიმდებარედ არსებულ 3845.0 კვ.მ მიწის ნაკვეთ-
ზე (კოდი: ...) გამოცხადებულ აუქციონში, მოქმედი კანონმდებლო-
ბით დადგენილი წესით მიჰყიდდა უძრავ ქონებას მოსარჩელეს და
ქონების ფასი განისაზღვრებოდა აუქციონში დაფიქსირებულ სა-
ბოლოო ფასზე დამატებული 300 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით
ლარში;

მოპასუხეს დაპირებული მოქმედება უნდა შეესრულებინა გა-
ყიდვის უფლების წარმოშობიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;

თუკი მოპასუხე დაარღვევდა დაპირებას და არ მიყიდდა მო-
სარჩელეს უძრავ ქონებას, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო,

300 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

ნასყიდობის ფასი უნდა გადახდილიყო შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში;

თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ჯერ არ იქნებოდა დამდგარი აუქციონიდან წარმოშობილი თანხის გადახდის ვადა, აღნიშნული აისახებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებაში;

ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ახალ მყიდველზე გადავიდოდა ყველა ის უფლება და მოვალეობა, რაც დაკავშირებულია პირობებიანი აუქციონით დადგენილ პირობებთან.

2. 2015 წლის 16 აპრილს მოპასუხესა და აჭარის ა/რ მთავრობას შორის გაფორმდა №17 ნასყიდობის ხელშეკრულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ, რომლის საფუძველზე, მოპასუხემ აჭარის ა/რ მთავრობისაგან 939 000 აშშ დოლარად შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქუჩის მიმდებარედ არსებული 3845 კვ.მ მიწის ნაკვეთი. შეძენილი ქონება 2015 წლის 22 აპრილს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მოპასუხის საკუთრებად.

3. 2015 წლის წლის 23 ივნისის წერილით მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა 2015 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების პირობების შესრულება.

4. მოსარჩელის მოთხოვნა

4.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა 2015 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს, 300 000 აშშ დოლარის, ასევე მიუღებელი შემოსავლის 10 000 000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

5. მოპასუხის პოზიცია

5.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

6. შეგებებული სარჩელის პოზიცია

6.1. მოპასუხემ სარჩელზე წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა 2015 წლის 6 აპრილს დადებული ხელშეკრულების პირობების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება წარმოადგენდა მოპასუხის სამომავლო ქონებას, ამდენად, მხარეები გარიგების არსებით პირობებზე ვერ შეთანხმდებოდნენ. ვერც მოსარჩელე ადასტურებდა, რომ მას გააჩნდა შესაბამისი ფინანსური რესურსი ქონების შესაძენად.

7. შეგებებული სარჩელის მოპასუხის პოზიცია

7.1. მოსარჩელემ წარდგენილი შესაგებლით შეგებებული სარჩელი არ ცნო.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

8.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს, 300 000 აშშ დოლარის გადახდა; სარჩელი მოპასუხისთვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

9.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

9.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

9.3. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება

10.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

11.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

11.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე მუხლებით, ამავე კოდექსის 90-ე-92-ე, 319-ე, 327-ე მუხლებით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 6 აპრილს დადებული ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან იგი არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს

ან ზნეობის ნორმებს.

11.4. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოპასუხე არ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს, ვერ გახდებოდა გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან მხარეები რეალურად შეთანხმდნენ ამ უძრავ ქონებაზე მოპასუხეზე საკუთრების უფლების გადასვლის შემთხვევაში, შემდგომში მისი მოსარჩელეზე გასხვისების თაობაზე. შესაბამისად, სადავო ხელშეკრულება მოპასუხის, როგორც ამ უძრავი ქონების, მესაკუთრის მიერ არ დადებულია. ამასთან, ხელშეკრულებაში მითითებული პირობის დადგომა დაკავშირებული იყო მოპასუხის აუქციონში გამარჯვებაზე, რაც არ წარმოადგენს მხარეთა ნებაზე დამოკიდებულ პირობას. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოცემული გარიგება არც ამ საფუძველითაა ბათილი.

11.5. სასამართლომ ყურადღება მიაქცია სადავო ხელშეკრულების იმ დათქმასაც, რომლის მიხედვით, მოსარჩელეს ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე მოპასუხისთვის უნდა მიემართა შესაბამისი გაყიდვის უფლების წარმოშობიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება ღია აუქციონის წესით დაირეგისტრირა 2015 წლის 22 აპრილს, მოსარჩელეს 2015 წლის 29 აპრილის ჩათვლით ჰქონდა უფლება წაეყენებინა მისთვის მოთხოვნა ზემოაღნიშნული სახით, რაც მან თითქმის ორი თვის შემდეგ განახორციელა. შესაბამისად, მოსარჩელეს გაშვებული აქვს მოთხოვნის წარდგენის ვადა, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გამორიცხავს მის მიერ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებას.

11.6. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 411-ე, 417-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, არ არსებობს მოპასუხისთვის პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საფუძველიც.

12. მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

12.2. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

12.3. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება;

13. პირველი კასატორის (მოპასუხის) საკასაციო საჩივრის

საფუძვლები:

13.1. მხარეთა შორის 2015 წლის 6 აპრილს დადებული სადავო ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან ის უძრავი ქონება, რომელზეც დაიდო აღნიშნული ხელშეკრულება, მოპასუხისთვის წარმოადგენდა სამომავლო ქონებას და იგი შეიძლება არც გამხდარიყო მისი საკუთრება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ ამ ხელშეკრულებით მხარეები ვერანაირ არსებით პირობებზე ვერ შეთანხმდებოდნენ და მათ შორის შეთანხმება წარმოადგენდა არა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას, არამედ ხელშეკრულების მომზადების სტადიას. ამრიგად, სასამართლომ არასწორად არ დააკაყოფილა მოპასუხის შეგებებული სარჩელი.

14. მეორე კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

14.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სადავო ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტები და ხელშეკრულების პირობების შესრულების მოთხოვნა არასწორად დაუკავშირა მხოლოდ წერილობითი სახის მიმართვის გაგზავნას მაშინ, როდესაც მოსარჩელე ზეპირად არაერთხელ მიმართავდა მოპასუხეს დაპირებული მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რაზეც გამყიდველი თავიდანვე აცხადებდა უარს. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა ცალმხრივად, მყიდველის ინიციატივით ვერც შეიძინა დღის და ვერც რაიმე სხვა ვადაში გამყიდველის ნების არარსებობის პირობებში. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელემ გაუშვა უძრავი ქონების მიყიდვის თაობაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის წარდგენის 7-დღიანი ვადა მაშინ, როდესაც მსგავს მოთხოვნებზე (რომლებიც უკავშირდება უძრავ ნივთებს) ვრცელდება ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა, რომელიც უნდა ათვლილიყო 2015 წლის ივნისიდან (იმ დროიდან, როდესაც მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა სადავო მინის ნაკვეთის გაყიდვის უფლების თაობაზე).

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, ხოლო 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ორივე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების

შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება.

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. პირველი კასატორის (მოპასუხის) პრეტენზია ემყარება იმას, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება მოპასუხისთვის წარმოადგენდა სამომავლო ქონებას, ამ ხელშეკრულებით მხარეები ვერანაირ არსებით პირობაზე ვერ შეთანხმდებოდნენ, რაც გარიგების (მისი პირობების) ბათილობის საფუძველს ქმნიდა.

18. აღნიშნული პრეტენზიის შემონმების მიზნით, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2015 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო პირობითი გარიგების ფორმით, შემდგომში ნასყიდობის ხელშეკრულების დადების პირობით. კერძოდ, მოპასუხე დაპირდა მოსარჩელეს, რომ თუკი გაიმარჯვებდა ქ. ბათუმში, ... ქუჩის მიმდებარედ არსებულ 3845.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (კოდი: ...) გამოცხადებულ აუქციონში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავ ქონებას მიჰყიდდა მოსარჩელეს და დაპირებულ მოქმედებას შეასრულებდა გაყიდვის უფლების წარმოშობიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში; ხელშეკრულებით მხარეები ასევე შეთანხმდნენ ქონების ფასსა და დაპირების დარღვევის შემთხვევაში, მოპასუხის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობაზე.

19. სამოქალაქო კოდექსის 90-ე-98-ე მუხლებში განმტკიცებული პირობითი გარიგების ინსტიტუტი გარიგების მონაწილეებს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგებით განსაზღვრული მიზ-

ნის მიღწევა დამოკიდებული გახადონ სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომაზე. ამ ასპექტით პირობითი გარიგება კერძო ავტონომიის გამოვლენის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. მისი მეშვეობით ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ გარკვეული მოქნილობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ჩვეულებრივ, გარიგების შესრულება იწყება მისი დადებისთანავე, თუმცა არ არის გამორიცხული გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გარიგების მონაწილეების მიერ განსაზღვრული მოვლენის დადგომაზე იყოს დამოკიდებული, ანუ ნება სამართლებრივად მავალდებულებელ ძალას შეიძენს მას შემდეგ, რაც დადგება გარიგებით განსაზღვრული პირობა. სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი შეიცავს პირობითი გარიგების ლეგალურ დეფინიციას (პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე), რომლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პირობითი შეიძლება იყოს ნებისმიერი, მათ შორის ცალმხრივი გარიგება. თეორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, პირობა, მისი იურიდიული შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით კლასიფიცირდება, თუმცა, საკანონმდებლო რეგლამენტაციის თვალსაზრისით, პირობათა კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხდება, მათ შორისაა პოზიტიური პირობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლშია განმარტებული. ნორმის პირველი ნაწილი პირობის დადგომას შეთანხმებული ვადით განსაზღვრავს, ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, პირობა ძალადაკარგულად მიიჩნევა და შესაბამისად, გარიგებაც არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, რაც შეეხება ნორმის მეორე ნაწილს, მის აღწერილობით ნაწილში გადმოცემულია შემდეგი: თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია (იხ. სუსგ საქმე №ას-1223-1182-2016, 19 მაისი, 2017 წელი). ამდენად, პირობით ვალდებულებაში მოიაზრება ისეთი ვალდებულება, რომელიც ერთდროულად სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომის შემთხვევაში წარმოიშობა და რომლის დადგომა ან დაუდგომლობა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული (იხ. სუსგ საქმე №ას-647-647-2018, 21 ოქტომბერი, 2019 წელი).

20. ზემოაღნიშნული განმარტებების ურთიერთშეჯერებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასა-

ტორის (მოპასუხის) პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულებით მოსარჩელისთვის დაპირებული უძრავი ქონება მოპასუხისთვის წარმოადგენდა სამომავლო ქონებას, ამ ხელშეკრულებით მხარეები ვერანაირ არსებით პირობაზე ვერ შეთანხმდებოდნენ, რაც გარიგების (მისი პირობების) ბათილობის საფუძველს ქმნიდა.

21. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თავისთავად, პირობითი გარიგების დადების არსი ისაა, რომ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული პირობის დადგომაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სამომავლო (უცნობ) მოვლენაზე. შესაბამისად, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმა ქონების გასხვისებაზე, მართალია, მოპასუხის მიერ სამომავლოდ შესაძენ ქონებას ეხება, თუმცა ვინაიდან ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა დაპირებული ქონების გადაცემისთვის არსებითი პირობა (აუქციონში მოპასუხის გამარჯვება), აღნიშნული პირობის დადგომის შემთხვევაში უძრავი ნივთის შემძენზე (მოპასუხეზე) გადავიდოდა ყველა ის უფლება-მოვალეობები, რაც სამომავლოდ ქონების კანონით დადგენილი წესით გასხვისების შესაძლებლობას მისცემდა ქონების შემძენს. ამრიგად, უსაფუძვლოა მოპასუხის პრეტენზია სამომავლო ქონებაზე პირობითი გარიგების დადების დაუშვებლობის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მითითებული გარემოება მართებულიად არ მიიჩნია სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველად.

22. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული პირობადადებული ხელშეკრულება ნამდვილია, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მაინც არ არსებობდა ამ გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მოპასუხისთვის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

23. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მეორე კასატორის (მოსარჩელის) პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სადავო ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტები, რის გამოც, ხელშეკრულების პირობების შესრულების მოთხოვნა არასწორად დაუკავშირა მოპასუხისთვის მხოლოდ წერილობითი სახის მიმართვის გაგზავნას.

24. აღნიშნული პრეტენზიის შემოწმებამდე, საკასაციო პალატა, თავდაპირველად, ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სადავო ხელშეკრულების (2016 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების) გაფორმების შემდგომ, 2015 წლის 16 აპრილს, მოპასუხესა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფი-

ნანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) შორის („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 20 მარტის №პრ-31 ბრძანების საფუძველზე) დაიდო №17 ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ, რომლის საფუძველზე, მოპასუხემ აჭარის ა/რ მთავრობისაგან 939 000 აშშ დოლარად შეიძინა ქ. ბათუმში, ქუჩის მიმდებარედ არსებული 3845 კვ.მ მიწის ნაკვეთი შემდეგი პირობებით: მყიდველმა აიღო ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 (ცხრა) თვის ვადაში შეძენილ უძრავ ქონებაზე მიეღო მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სასტუმრო, აპარტამენტები, კაზინო, კომერციული ფართები, პარკინგი და სარეკრეაციო ზონა (სკვერი, პარკი)) მშენებლობის ნებართვა და დაენყო მშენებლობა; ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში დაესრულებინა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნული; ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში დაესრულებინა არანაკლებ 24 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ძირითადი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციის მშენებლობა; ხელშეკრულების გაფორმებიდან 42 (ორმოცდარი) თვის განმავლობაში დაესრულებინა არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) სართულიანი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ძირითადი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციის მშენებლობა; ხელშეკრულების გაფორმებიდან 48 (ორმოცდარვა) თვის განმავლობაში ცალკე საკადასტრო ერთეულად დაერეგისტრირებინა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობიდან არანაკლებ 100 სასტუმრო ნომრის ფუნქციონირებისთვის და კაზინოსთვის საჭირო ფართი, ამოქმედებინა სასტუმრო და კაზინო და აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე (მხოლოდ სასტუმროს და კაზინოს ნაწილზე) ამოქმედებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შეენარჩუნებინა პროფილი; აღნიშნულ პროექტში განეხორციელებინა არანაკლებ 9 000 000 (ცხრა მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიცია; დაეფარა ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა. ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველს უფლება ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დადასტურებისთვის მყიდველისთვის მოეთხოვა შესაბამისი საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის წარდგენა. ხელშეკრულებით, ასევე, განისაზღვრა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლო-

ბის წესი და პირობები (იხ. 2015 წლის 16 აპრილის ხელშეკრულება). ამრიგად, სადავო არ არის, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია მოპასუხის მხრიდან გარკვეული ქმედებების შესრულების პირობით.

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონზე, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ქონების განკარგვის/სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემის სხვადასხვა ფორმები (პირდაპირი მიყიდვა/მართვის უფლებით გადაცემა; პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა), რომელთა შორისაა პირობებიანი ან უპირობო აუქციონის ფორმით ქონების გადაცემის წესი. ამასთან, კანონი უძრავი ქონების პრივატიზებისას გარიგების გაფორმების წესზეც მიუთითებს და იმპერატიულად ადგენს, რომ მყიდველს საინვესტიციო და საპრივატიზებო (მათ შორის, საპრივატიზებო საფასურის გადახდის) ვალდებულების შესრულების მიზნით შეძენილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლება აქვს მხოლოდ სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 10.6 მუხლი). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დათქმა ასახულია 2015 წლის 16 აპრილის №17 ხელშეკრულების 2.2.1 მუხლშიც.

26. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებში არსებულ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის 2016 წლის 14 მარტის №01-10/926 წერილის შინაარსს, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ სამინისტრომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2015 წლის 16 აპრილის №17 ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისთვის გადაცემული ქონების გასხვისება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოსთხოვა მას.

27. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებათა მხედველობაში მიღებით, ასევე, ზემოთმიტითებული კანონის ნორმათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ ვინაიდან მოპასუხესა და სამინისტროს შორის დადებულია პირობებიანი აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების ხელშეკრულება, აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი კანონის

მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულების პირობების სავალდებულო შესრულებას გარიგების მონაწილე მხარეთა მიერ. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც თავად ხელშეკრულების, ასევე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისი მუხლების მიხედვით, აუქციონზე შეძენილი ქონების განკარგვის შესაძლებლობა მოპასუხეს მხოლოდ სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში აქვს, ხოლო წინამდებარე დავაში სამინისტროს არ გამოუხატავს ამგვარი თანხმობა (პირიქით, მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია ქონების გასხვისება), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული სადავო გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულების (აუქციონზე შეძენილი ქონების მოსარჩელისთვის მიყიდვა) შესრულების მოპასუხისთვის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ხოლო ვინაიდან არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, მართებულად არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

29. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

30. ვინაიდან საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორების მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. სს „ი.ი. პ.თ.თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
4. კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხანდაზმულობა

სახელმწიფო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

გადანუსაზღვრება საქართველოს სახელით

№ას-87-2020

18 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „ზ-ო-7“-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „აპელანტი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ზ-ოს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 595715,39 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 2009-2016 წლების განმავლობაში მომსახურების განვების/საქონლის მიწოდებიდან და პერიოდული არასრული ანგარიშსწორებიდან გამომდინარე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ერიცხება 595715,39 ლარის დავალიანება. 09.11.2016 წელს მხარე-

თა შორის გაფორმდა ვალდებულების აღიარება/დადასტურების თაობაზე შედარების აქტი.

2.2. მოსარჩელე მოპასუხეს მომსახურებას უწევდა/საქონელს აწვდიდა მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც საბოლოოდ ფორმდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით თითოეული ოპერაციისათვის (ტრანზაქციისთვის/ქმედებისთვის) გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ, დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით (რომლებიც ადასტურებს ქმედების განხორციელების ფაქტს), მიღება-ჩაბარებისა და შედარების აქტებით, რომლებითაც მხარეებმა განსაზღვრეს მომსახურების/საქონლის ღირებულება (ფასი) და მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადასახდელი დავალიანების ჯამი.

3. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ:

3.1. 09.11.2016 წელს მხარეთა შორის ნამდვილად გაფორმდა შედარების აქტი, თუმცა იგი არ წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარების დოკუმენტს, არ შეიცავს ფულადი ვალდებულების გადახდის დაპირებას, მასში მხოლოდ ვალდებულების ფაქტობრივი გაუმოწმებია მითითებული.

3.2. მოპასუხე დაეთანხმა სამი ანგარიშფაქტურიდან (05.04.2016წ; 07.01.2015წ; 01.12.2014წ.) გამომდინარე, ჯამურად 2404 ლარის ოდენობით ვალდებულების არსებობას და აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენი ნაწილი ეფუძნება სარჩელის აღძვრამდე (31.10.2017 წლამდე) სამი წლით ადრინდელ დოკუმენტაციას, შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი ხანდაზმულია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2018 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2404 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

4.1. მოპასუხე არის მოსარჩელის 25% წილის მფლობელი პარტნიორი.

4.2. მხარეებს შორის ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, 2009-2016 წლების განმავლობაში, მოსარჩელე მოპასუხეს უწევდა მომსახურებას, ასრულებდა სამუშაოებს და აწვდიდა საქონელს.

4.3. 2009-2016 წლების განმავლობაში დაგროვებული დავალიანების დაფარვის მიზნით, მოპასუხემ 2011-2014 წლებში აწარმოა

ანგარიშსწორება მოსარჩელისაგან დივიდენდების სახით მისაღები თანხის გამოქვითვის გზით, რის შედეგადაც მოპასუხის საბოლოო დავალიანება შემცირდა 595 715,39 ლარამდე.

4.4. 09.11.2016 წლის შედარების აქტით მხარეებმა დაადასტურეს აღნიშნული დღის მდგომარებით, 01.02.2013-09.11.2016 წლების პერიოდისათვის, მოპასუხის ფინანსური დავალიანების არსებობა მოსარჩელის წინაშე 595 715,39 ლარის ოდენობით.

4.5. მოსარჩელემ თავდაპირველად სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში 11.10.2017 წელს. 12.10.2017 წლის განჩინებით მას უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე განსჯადობის გამო. მოსარჩელემ სარჩელი ხელმოწერა აღძრა 31.10.2017 წელს.

4.6. სასარჩელო მოთხოვნაზე 593 311,39 ლარის დაკისრების ნაწილში გასულია 3 ნელზე მეტი ვადა და სარჩელი ხანდაზმულია, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4.7. სასარჩელო მოთხოვნაზე 2404 ლარის დაკისრების ნაწილში (რა ნაწილშიც მოპასუხემ ცნო სარჩელი), სარჩელი არ არის ხანდაზმული. სარჩელის აღძვრამდე (11.10.2017 წელი) არ არის გასული სამწლიანი ვადა.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.07.2018 წლის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურების საფასურის ანაზღაურება 2500 ლარის ოდენობით. მოპასუხის წარმომადგენლის განცხადება იურიდიული მომსახურების სახით მოსარჩელისთვის 21232,46 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა დამატებითი გადაწყვეტილებაც და მოითხოვა მისი გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2019 წლის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2018 წლის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 05.07.2018 წლის დამატებითი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს და დამატებით განმარტა

შემდეგი:

7.1. მოსარჩელე სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომლითაც საქმეში წარმოდგენილი 09.11.2016წ. შედარების აქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველად არ იქნა მიჩნეული.

7.2. 09.11.2016წ. შედარების აქტში დაფიქსირებულია შემდეგი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ერთი მხრივ, მოპასუხის დირექტორი ზ.კ-ძე და მეორეს მხრივ, მოსარჩელის დირექტორი მ.მ-ძე ვთანხმდებით, ვალიარებთ და ვაფორმებთ წინამდებარე შედარების აქტს შემდეგზე, რომ მოპასუხის ვალდებულება (ფინანსური დავალიანება) მოსარჩელის (09/11/2016-ის მდგომარეობით) მიმართ შეადგენს 595715,39 ლარს“.

7.3. მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით, თავდაპირველად სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, 11.10.2017 წელს, თუმცა 12.10.2017 წლის განჩინებით განსჯადობის გამო უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და განემარტა, რომ მოცემულ საქმეზე განსჯად სასამართლოს ბათუმის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა. მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა 31.10.2017 წელს.

7.4. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საკასაციო სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად: სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას (სუსგ №ას-374-347-2010, 09.11.2010წ; №ას-1133-1079-2014, 30.09.2015წ.) და აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, 09.11.2016წ. შედარების აქტში მოპასუხე აღიარებს მხოლოდ დავალიანების არსებობის ფაქტს, არ იძლევა დავალიანების გადახდის თაობაზე დაპირებას, შესაბამისად, ასეთ აღიარებას ვერ მოჰყვება ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 137-ე და 144.3 მუხლებით. 09.11.2016წ. შედარების აქტი არ წარმოადგენს ვალის აღიარების თაობაზე დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. იგი არ შეიცავს რაიმე სახის დაპირებას ან/და ვალდებულების შესრულების მზაობას, რაც გამორიცხავს, სსკ-ის 341-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

7.5. სააპელაციო სასამართლომ დამატებით გადაწყვეტილებაზე წარდგენილი პრეტენზიის ნაწილში მიუთითა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია მაქსიმალური ზღვარი წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების განაწილებისას, ხოლო მისი გონივრული შესაბამისობის დადგენა დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაში დავის სირთულესა და მნიშვნელობასთან. ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 595715,39 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება, საიდანაც არ დაკმაყოფილდა 593311,39 ლარის ნაწილში მოთხოვნა, რომლის 4% შეადგენს 23 732,45 ლარს, პალატამ მიიჩნია, რომ წაგებული მოთხოვნის ოდენობიდან გამომდინარე, მოპასუხის სასარგებლოდ 2500 ლარის მოსარჩელისათვის დაკისრება, დავის სირთულიდან გამომდინარე, გონივრულია და არ არსებობდა მის დაკისრებაზე დამატებითი გადანაწევტილების გაუქმების საფუძველი.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.01.2020 წლის განჩინებით მოპასუხის განცხადება იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრებაზე დამატებითი გადანაწევტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადანაწევტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

9.1. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ფაქტებზე, რომლებიც პირდაპირ მეტყველებენ ვალის როგორც დეკლარაციულ, ასევე – კონსტიტუციურ აღიარებაზე. 2009 წლიდან 2016 წლამდე მოპასუხე პერიოდულად უკვეთავდა და იღებდა მოსარჩელისგან მომსახურებას/საქონელს და მის ღირებულებას შემდგომ ნაწილობრივ ისტუმრებდა მოსარჩელისგან განაწილებული დივიდენდით. შესაბამისად, ამ პერიოდში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა პერიოდულად წყდებოდა როგორც ანგარიშსწორებით (გაქვითვის ფორმით), ასევე – კონსტიტუციურ აღიარებასთან ახლოს მდგომი და პრაქტიკულად მისი იდენტური კაუზალური აღიარებით.

9.2. 09.11.2016 წლისთვის ამონურული არ იყო სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. მისი თავიდან ათვლა დაიწყო 09.11.2016 წელს მხარეთა შორის გაფორმებული აქტით, რომლითაც მოპასუხემ ნათლად გამოავლინა ვალდებულების აღიარების ნება. 09.11.2016 წლის შედარების აქტი არ გადმოსცემს მართოდენ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამსახველ ფაქტს. იგი პირდაპირ ითვალისწინებს დათქმას ვალდებულების აღიარებასა

და დადასტურებაზე, რაც ვიწრო განმარტებითაც ქმედების განხორციელების დაპირებას გულისხმობს.

9.3. სამართლის დოქტრინა იცნობს კვალიფიციური დუმილის ცნებას, რაც ნიშნავს იმას, რომ შეიძლება, გარიგება ბოლომდე მკაფიოდ არ ადგენდეს რიგ დებულებებს, თუმცა ისინი ნაგულისხმები იყოს არსებულით. როდესაც მხარე აღიარებს დავალიანებას, რა თქმა უნდა, ამით იგი გულისხმობს დავალიანების გადახდას და, კანონიერი ნდობიდან გამომდინარე, უქმნის მეორე მხარეს შესრულების მიღების მოლოდინს. შედარების აქტში ვალდებულების შესრულების ვადის პირობის გაუთვალისწინებლობით მხარეებმა იგულისხმეს ვალდებულების ვადამოსულობა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

12. სამართლებრივად რელევანტური შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებია დადგენილი და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის:

12.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, 2009-2016 წლების განმავლობაში, მოსარჩელე მოპასუხეს უწევდა მომსახურებას, ასრულებდა სამუშაოებს და აწვდიდა საქონელს.

12.2. 2009 წლიდან დაგროვილი დავალიანების დაფარვის მიზ-

ნით, მოპასუხემ 2011-2014 წლებში აწარმოა ანგარიშსწორება მოსარჩელისაგან დივიდენდების სახით მისაღები თანხის გამოქვითვის გზით, რის შედეგადაც მოპასუხის საბოლოო დავალიანება შემცირდა 595715,39 ლარამდე.

12.3. 09.11.2016 წელს მხარეთა შორის გაფორმდა შემდეგი შინაარსის შედარების აქტი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, მოპასუხის დირექტორი ზ.კ-ძე და მეორეს მხრივ, მოსარჩელის დირექტორი მ.მ-ძე ვთანხმდებით, ვალიარებთ და ვაფორმებთ წინამდებარე შედარების აქტს შემდეგზე, რომ მოპასუხის ვალდებულება (ფინანსური დავალიანება) მოსარჩელის (09.11.2016 წლის მდგომარეობით) მიმართ შეადგენს 595715,39 ლარს“.

12.4. შედარების აქტის გაფორმებამდე სამი წლის განმავლობაში გაფორმებულია საქმეზე დართული მხოლოდ შემდეგი ანგარიშ-ფაქტურები: 05.04.2016წ. №ა-07 4575964; 07.01.2015წ. №ა-03 3230464; 01.12.2014წ. №ა-03 2306719; 01.10.2014წ. №ა-03 0676516.

12.5. მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით, თავდაპირველად სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, 11.10.2017 წელს, თუმცა 12.10.2017 წლის განჩინებით განსჯადობის გამო უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა 31.10.2017 წელს.

13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. საქმის განხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეფიქრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეფიქრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ

გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსკ-ის მე-3, მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019წ.).

14. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2018 წლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2404 ლარის გადახდა, კანონიერ ძალაშია შესული. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატა აფასებს 593311,39 ლარის ნაწილში სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერებას.

15. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ნარდობისა და ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულებებიდან. ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსესუალური, ორმხრივი და ნასყიდლიანი (სუსგ №ას-1166-2019, 06.04.2020წ.). სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. რაც შეეხება ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, მათი სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 477-ე მუხლი, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი კი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობა ორმხრივი, კონსესუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები (სუსგ №ას-722-2019, 29.11.2019წ.).

16. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება 593311,39 ლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე სასამართლოს დასკვნას და მიუთითებს, რომ 09.11.2016 წლის შედარების აქტით მოპასუხემ ვალი აღიარა, რაც გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობას.

17. კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიის შემონმგების მიზნით, საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, იმსჯელებს ვალის აღიარების იურიდიულ ბუნებაზე და ამ კუთხით შეაფასებს 09.11.2016 წლის შედარების აქტში მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას.

18. ნების გამოვლენა სსკ-ის 341-ე მუხლით (იმ ხელშეკრულებ-

ბის ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას; თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი) განმტკიცებულ ვალის არსებობის აღიარებად რომ დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები წარმოშვას, ის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს უნდა ქმნიდეს, რამდენადაც ვალის აღიარება დამოუკიდებელ გარიგებად განიხილება და მისი დანიშნულება სწორედ ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა. არაერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს (შდრ. სუსგ-ები №ას-839-890-2011, 8.11.2011წ; №ას-392-371-2013, 8.11.2013წ; №ას-1083-1040-2016, 26.04.2018წ; №ას-758-2019, 22.10.2019წ.).

19. ვალის არსებობის აღიარება უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის პირობებს. ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს მისთვის მახასიათებელი ყველა არსებითი პირობა: კრედიტორისა და მოვალის მონაცემები, მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულება და მომავალში მისი შესრულების განზრახვა (იხ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 12; შდრ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 11.11.2013წ.). პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწო-

რედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (სუსგ №ას-1133-1079-2014, 30.09.2015წ.; №ას-226-213-2015, 18.05.2015წ.). რადგან ვალის კონსტიტუციური აღიარების დროს ახალი მოთხოვნა წარმოიშობა, ახალი ხანდაზმულობის ვადა იწყება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძველი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმულია, ახალი ვადა მაინც იწყებს ათვლას (შდრ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 21).

20. ვალის აბსტრაქტული (კონსტიტუციური) აღიარების, როგორც ვალდებულების წარმოშობის ახალი საფუძვლისაგან, უნდა გაიმიჯნოს ე.წ. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება. დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია არსებული ვალდებულების დადასტურება, მტკიცების პროცესის გამარტივება, შემდგომი დავის თავიდან აცილება, სადავო საკითხების მოწესრიგება, მათ შორის, ყველა იმ ფაქტისა, თუ არგუმენტის გაქარწყლება, რომელიც ვალის არსებობას გამორიცხავს, ან თუნდაც, ეჭვქვეშ დააყენებს (Sprau, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, §781, Rn. 2-6; ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.11). კაუზალური აღიარების მიზანია ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება და არა ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, დავისა თუ გაურკვევლობის თავიდან აცილება (შდრ. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014წ. §781, ველი 2,3). შესაბამისად, ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით ვალის კონსტიტუციური (აბსტრაქტული) აღიარებისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს (იხ.: ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.12; შდრ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 24).

21. სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა (სუსგ №ას-1029-949-2017, 23.02.2018წ.).

22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დეკლარაციული („კა-

უზალური“) აღიარება უკვე ხანდაზმული მოთხოვნის ვადას კი არ აღადგენს, არამედ ხანდაზმულობის მიმდინარე ვადის შეწყვეტას იწვევს. შესაბამისად, სსკ-ის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. სსკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა.

23. ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე 09.11.2016 წლის შედარების აქტის შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იგი ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს არ ქმნის, კერძოდ: არ შეიცავს შეთანხმებას გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ არსებით პირობებზე და დაპირებას/მზაობას მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის დავალიანების გადახდის თაობაზე; განსაზღვრული არ არის შესრულების ვადა. 09.11.2016 წლის შედარების აქტი მხოლოდ აზუსტებს/ადასტურებს უკვე არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულების მოცულობას (შდრ. სუსგ №ას-1987-2018, 24.07.2020წ; №ას-1485-1401-2012, 11.11.2013წ; №ას-237-498-08, 03.10.2008წ.). ამდენად, 09.11.2016 წლის შედარების აქტი უკვე არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში დამატებითი შეთანხმება, ე.წ. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარებაა, რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შეუსრულებელი ვალდებულება. გამომდინარე აქედან, შედარების აქტი მისი შედგენის დღისათვის უკვე ხანდაზმული მოთხოვნების ვადას ვერ აღადგენს. მის საფუძველზე ხანდაზმულობის მიმდინარე ვადა შეწყდა იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო ხანდაზმული. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული მსჯელობა მასზე, რომ ხანდაზმული არ არის მხოლოდ იმ თანხის მოთხოვნა, რომლის ანგარიშფაქტურებიც თარიღდება პირველი სარჩელის აღძვრამდე 3 წლის პერიოდით, ანუ 11.10.2014 წლამდე. დავის გადასაწყვეტად უნდა განისაზღვროს, 09.11.2016 წლის შედარების აქტის გაფორმების დროს დავალიანების რა ნაწილი არ იყო ხანდაზმული.

24. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია, საკუთარი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის

144-ე მუხლის პირველი ნაწილი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (სუსგ №ას-1191-2019, 04.12.2019წ.). ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია, გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადანყვებილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულირებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; სუსგ №ას-986-2019, 16.10.2019წ.).

25. მოსარჩელის მოთხოვნა შესრულებული სამუშაოებიდან და საქონლის მიწოდებიდან წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობისა და წარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ამრიგად, მასზე სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ვრცელდება. სადავო არ არის, რომ დავალიანება, რომლის ანაზღაურებასაც მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს, წარმოადგენს საქმის მასალებში არსებულ საგადასახადო ანგარიშფაქტურებში მითითებული თანხების საერთო ჯამს. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი თითოეული საგადასახადო ანგარიშფაქტურით დადასტურებული მოთხოვნისათვის გამოთვლილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე.

26. გამომდინარე აქედან, შედარების აქტის 09.11.2016 წელს გაფორმებისას, ხანდაზმული იყო ამ თარიღამდე მხოლოდ 3 წლით ადრე, ანუ 09.11.2013 წლამდე გაფორმებული საგადასახადო ანგა-

რიშფაქტურებით დადასტურებული დავალიანება. საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურებიდან 09.11.2013 წლიდან დავალიანების წარმოშობას ადასტურებს მხოლოდ ოთხი: 05.04.2016წ. №ეა-07 4575964; 07.01.2015წ. №ეა-03 3230464; 01.12.2014წ. №ეა-03 2306719; 01.10.2014წ. №ეა-03 0676516 (ტ.1, ს.ფ.18-21). მეოთხე ანგარიშფაქტურის თანახმად, ოპერაცია განხორციელდა 2014 წლის სექტემბერში, ანგარიშფაქტურა კი გამოწერილ იქნა 01.10.2014 წელს. ამრიგად, 09.11.2016 წლის შედარების აქტის გაფორმებით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა (სსკ-ის 137-ე მუხლი) და 09.11.2016 წელს მისი თავიდან ათვლა დაიწყო (სსკ-ის 141-ე მუხლი) მითითებული ოთხი ანგარიშფაქტურით დადასტურებული მოთხოვნის მიმართ. მოსარჩელემ პირველი სარჩელი აღძრა 11.10.2017 წელს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი ხანდაზმული არ არის. პირველი სამი (05.04.2016წ., 07.01.2015წ., 01.12.2014წ.) საგადასახადო ანგარიშფაქტურით დადასტურებული დავალიანების, საერთო ჯამში 2404 ლარის ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულია, ხოლო მეოთხე საგადასახადო ანგარიშფაქტურიდან – 01.10.2014წ. №ეა-03 0676516 – გამომდინარე მოთხოვნის (280 ლარის ოდენობით) ნაწილში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს მისი ხანდაზმულობის საფუძველზე, რასაც საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს დამატებით უნდა აუწახსადოს 2014 წლის სექტემბერში განხორციელებული ოპერაციისათვის 01.10.2014წ. საგადასახადო ანგარიშფაქტურით დადასტურებული დავალიანება – 280 ლარი. რაც შეეხება 09.11.2013 წლამდე წარმოშობილ დავალიანებას, რომელიც 09.11.2016 წელს შედარების აქტის გაფორმების დროს უკვე ხანდაზმული იყო, სარჩელი ამ ნაწილში ხანდაზმულია და მართებულად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

27. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკ-

მაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2019 წლის განჩინება ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2018 წლის გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დატოვების თაობაზე და მიღებულ იქნეს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრება 280 ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2019 წლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა მოსარჩელისთვის მოპასუხის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურების საფასურის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.07.2018წ. დამატებითი გადაწყვეტილება, უნდა დარჩეს უცვლელად.

28. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, ასევე 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს სახელმწიფო ბაჟი სასარჩელო მოთხოვნის მოგებული ნაწილის (მოპასუხეს დამატებით დაეკისრა 280 ლარი, რაც შეადგენს დავის საგნის 0,05%-ს) პროპორციულად, რაც ამ ნაწილში სამივე ინსტანციის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის გათვალისწინებით (4928 ლარი (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსსკ-ის 49.2 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 5000 ლარიდან დაუბრუნდა 72 ლარი), 7000 ლარი და 8000 ლარი) შეადგენს 10 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ზ-ო-7“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2019 წლის განჩინება ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2018 წლის გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დატოვების თაობაზე და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „ზ-ო-7“-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. შპს „ზ-ოს“ შპს „ზ-ო-7“-ის სასარგებლოდ დაეკისროს 280 ლარის გადახდა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.11.2019 წლის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. შპს „ზ-ოს“ შპს „ზ-ო-7“-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 10 ლარის ოდენობით.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-308-2019

21 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს-ს ნ-სა და გ-ს კ-ამ“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) 2016 წლის 29 ივლისს სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ს გ-ს ტ-ბის კ-ის“ (შემდგომში – „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, 01.08.2006წ. №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე 757 350 ლარის, 31.08.2011წ. №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე 375 375 ლარის და 30.12.2013წ. №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე 419 688,6 ლარის, ჯამში 1 552 413,6 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2001 წლის 01 თებერვალს სს „ს-ს გ-ს ს-სო კ-სა“ (შემდგომში – „კორპორაცია“) და მოპასუხეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კორპორაციამ მოპასუხეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის მილსადენები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ხოლო ამ უკანასკნელმა იკისრა საქართველოს ტერიტორიაზე გაზის უსაფრთხო ტრანსპორტირების, ტრანზიტისა და მიწოდების ვალდებულება. ხელშეკრულების მოქ-

მედების ვადა განისაზღვრა 2006 წლის 01 აგვისტომდე;

2.2. 2006 წლის 01 აგვისტოს კორპორაციასა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება (№...) (4 წლით), რომლის მიზანი 01.02.2001წ. ხელშეკრულების ანალოგიური იყო. მოპასუხეს კვლავ სრულად გადაეცა კორპორაციის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის მილსადენები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა;

2.3. 2006 წლის 04 ოქტომბერს კორპორაცია მიუერთდა (შეერწყა) მოსარჩელეს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი გახდა კორპორაციის უფლებამონაცვლე;

2.4. მოპასუხემ 2010 წლის 18 ივნისს წერილობით მიმართა მოსარჩელეს, რომლითაც აცნობა, რომ 01.08.2006წ. №... ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მას კვლავ სურდა მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. იმავე წერილით მოპასუხემ წარადგინა ორი დანართი: პირველი დანართი მოიცავდა იმ ქონებას, რომლის გადაცემასაც იგი ითხოვდა, ანუ რომელიც მას ესაჭიროებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, ხოლო მე-2 დანართი მოიცავდა ქონებას, რომელიც მას აღარ სჭირდებოდა და იშუამდგომლა ამ ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული ქონების გადაბარების დროს (2010 წლის აგვისტო-სექტემბერში), ფიზიკურად არ აღმოჩნდა (სავარაუდოდ, დატაცების გამო) „ყ.-თ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497-დან 506 კმ-მდე მონაკვეთი;

2.5. ექსპერტიზის დასკვნით ზემოაღნიშნული მონაკვეთის ღირებულება შეფასებულ იქნა 757 350 ლარად, შესაბამისად, ხსენებული გაზსადენის დაკარგვის გამო მოსარჩელემ სწორედ მითითებული ოდენობის ზიანი განიცადა;

2.6. მხარეთა შორის 2011 წლის 31 აგვისტოს დადებული №... იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. გასულ წელს მოსარჩელემ განახორციელა საკუთარი ქონების, მათ შორის, აღნიშნული იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად გაირკვა, რომ ფიზიკურად აღარ არსებობს (სავარაუდოდ, დატაცების გამო) „ყ.-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთი;

2.7. ექსპერტიზის დასკვნით ზემოაღნიშნული მონაკვეთის დაკარგვის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი შეფასებულ იქნა 375 375 ლარად;

2.8. 2013 წლის 13 დეკემბერს მოსარჩელემ გამოაცხადა ტენ-

დერი უმოქმედო მაგისტრალური გაზსადენების შენახვის მომსახურების შესაძენად. ტენდერში გაიმარჯვა მოპასუხემ, რომელთანაც იმავე წლის 30 დეკემბერს გაფორმდა №... შესყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დანართით განისაზღვრა შესანახი ქონება, რომელშიც შედიოდა „ნ-გ-ის“ მაგისტრალური გაზსადენი. გასულ წელს მოსარჩელემ განახორციელა საკუთარი ქონების, მათ შორის, უმოქმედო გაზსადენების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოპასუხისათვის შესანახად გადაცემული გაზსადენებიდან აღარ არსებობს: 1) „ნ-გ-ის“ 720 მმ მაგისტრალური გაზსადენის 254 მეტრიანი მონაკვეთი და „ნ-გ-ის“ 820 მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთი (დატაცების გამო). აღნიშნული გაზსადენის დატაცების გამო მოსარჩელისათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 383 775,6 ლარი (44 958 ლარი 720 მმ გაზსადენის, ხოლო 338 817,60 ლარი 820 მმ გაზსადენის შემთხვევაში); 2) „რ-თ-ჟ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის II ხაზის 25-42 კმ-ზე არსებული უმოქმედო 529 მმ-იანი გაზსადენის 222 მეტრიანი მონაკვეთი (დატაცების გამო). ამ ნაწილში ზიანმა 26 640 ლარი შეადგინა; 3) გაზსადენის ფ-ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენზე 562 მეტრიანი მონაკვეთი (დანაკლისის მიზეზები უცნობია). დანაკლისის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 9 2736 ლარი;

2.9. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

3. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი, ასევე, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მოპასუხემ სხვა გარემოებებთან ერთად მიუთითა, რომ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის დანაკლისიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია; „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთი ფიზიკურად აღარ არსებობს არა დატაცების გამო, არამედ იმ მიზეზით, რომ გაზსადენის ამ მონაკვეთის ადგილზე მოსარჩელემ 2007 წელს ააგო ახალი – „გ-ნ-ის“ 30 კმ-იანი გაზსადენი; „ნ-გ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის 800 მმ მონაკვეთის მიწიდან ამოღება სავარაუდოდ განხორციელდა სახელმწიფოს თანხმობით; ხოლო, „რ-თ-ჟ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის უმოქმედო ნაწილის ღირებულება უკვე ანაზღაურებულია.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 01 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. მოსარჩელეს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენებისა და მასთან დაკავშირებული ყველა ინფრასტრუქტურის მესაკუთრესა და მოპასუხეს შორის 01.02.2001წ., 01.08.2006წ., 30.07.2010წ., 31.08.2011წ., 08.02.2012წ. და 30.12.2013წ. გაფორმდა იჯარისა და შენახვის ხელშეკრულებები;

7.2. მოსარჩელის 01.05.2015წ. №... ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 27.11.2015წ. მოხსენებით ბარათის თანახმად (დოკუმენტის მე-5 გვერდზე ასახული ინფორმაცია), მოსარჩელის მიერ 2008 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად, ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა „ყ...ლ-თ...ის“ I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის არარსებობის შესახებ. იქვე მითითებულია, რომ დანაკლისის გამოვლენის პერიოდამდე მიჩნეულ უნდა იქნას 2008 წლის 01 იანვარი. ამდენად, აღნიშნული დანაკლისიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ 2008 წლის 01 იანვრიდან უნდა დაიწყოს;

7.3. საინვენტარიზაციო კომისიის იმავე მოხსენებით ბარათში დაცული ინფორმაციის თანახმად, „ყ-თ-ის“ I ხაზის მაგისტრალური გაზსადენის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთი აღარ არსებობს, ვინაიდან მის ნაცვლად მოსარჩელემ ააშენა ახალი – „გ-ნ-ის“ მონაკვეთი;

7.4. შპს „ჯ. კ-ის“ მიერ შესრულებულ იქნა მოსარჩელის ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის დოკუმენტი. მოსარჩელესა და შპს „ჯ. კ-ს“ შორის 11.11.2008წ. გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე დართული მატერიალური აქტივების ნუსხის შესაბამისად, იმავე პერიოდისათვის მოსარჩელის მატერიალურ აქტივებში „ნ-გ-ს“ 720 მმ და 820 მმ მაგისტრალური გაზსადენები არ შედიოდა. აღნიშნულ ნუსხაში „ნ-გ-ს“ 700 მმ მაგისტრალური გაზსადენის სიგრძის მანიშნებელ გრაფაში აღნიშნულია ციფრი 0, რაც მტყვევლებს იმაზე, რომ მოსარჩელისათვის 2008 წლის 11 ნოემბრიდან ცნობილი იყო აღნიშნული მატერიალური ქონების არარსებობის შესახებ. მატერიალური აქტივების ნუსხაში, აგრეთვე, არ არის მითითებუ-

ლი ფ-ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენი. შესაბამისად, ამ მატერიალური ქონების არარსებობის შესახებ მოსარჩელისათვის, ასევე, ცნობილი იყო 2008 წლის 11 ნოემბერს;

7.5. მოსარჩელის მიერ ჩატარებული აზომვების თანახმად, „რ-თ-ჟ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის II ხაზის უმოქმედო 529 მმ მონაკვეთიდან დაკარგულია 222 მეტრი; ხოლო, მოსარჩელის 24.11.2015წ. წერილზე თანდართული ინფორმაციის მიხედვით, მოპასუხის თანამშრომლებმა აზომეს „რ-თ-ჟ-ის“ გაზსადენის სათანადო მონაკვეთი და დანაკლისმა 222 მეტრის ნაცვლად, შეადგინა 213 მეტრი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი აბსოლუტურად თანაბარხარისხოვანი მტკიცებულება, რომელიც ასახავს მხარეთა თანამშრომლების მიერ ჩატარებული აზომვითი სამუშაოების შედეგებს;

7.6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 20.10.2015წ. №... დასკვნით დასტურდება, რომ რეალურად „რ-თ-ჟ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის II ხაზის 529 მმ მონაკვეთიდან დაკარგული გაზსადენის მოცულობა 222 მეტრს არ შეადგენდა, ხოლო დატაცებული 200 მეტრი ლითონის მილის საბაზრო ღირებულებაა 24 000 ლარი;

7.7. მოპასუხემ 2016 წლის 29 ივლისს მოსარჩელეს გადაუხადა 213 მეტრის შესაბამისი ღირებულება 25 560 ლარის ოდენობით.

8. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოპასუხემ მოსარჩელისათვის 25 560 ლარის გადახდით სრულად აანაზღაურა „რ-თ-ჟ-ის“ II ხაზის 25-42 კმ-ზე არსებული, განადგურებული მაგისტრალური გაზსადენის ღირებულება.

9. სააპელაციო პალატამ სარჩელი 375 375 ლარის მოთხოვნის ნაწილში დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინაიდან დადგენილ იქნა, რომ „ყ-თ-ის“ I ხაზის მაგისტრალური გაზსადენის 478,25 კმ-დან 480,25 კმ-მდე მონაკვეთის ნაცვლად მოსარჩელემ ახალი – „გ-ნ-ის“ მაგისტრალური გაზსადენი ააშენა.

10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-129-ე, 144-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით და სასარჩელო მოთხოვნა „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის, „ნ-გ-ის“ 720 მმ მაგისტრალური გაზსადენის 254 მეტრიანი მონაკვეთის, „ნ-გ-ის“ 820 მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთისა და ფ-ის განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენის 562 მეტრიანი მონაკვეთის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულად მიიჩნია. სასამართლოს განმარტებით, მაგისტრალური გაზსადენების

ზემოაღნიშნული მონაკვეთების დანაკლისის შესახებ მოსარჩელემ ინფორმაცია მიიღო 2008 წლის 01 იანვარს და იმავე წლის 11 ნოემბერს, შესაბამისად, სარჩელის აღძვრის დროისათვის (29.07.2016წ.) გასული იყო ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

12. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

12.1. მოპასუხემ 2010 წლის 18 ივნისს წერილობით მიმართა მოსარჩელეს და აცნობა, რომ მხარეთა შორის 01.08.2006წ. გაფორმებული №... ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ (მოქმედების ვადა გადიოდა 2010 წლის 1 აგვისტოს) მას კვლავ სურდა მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. იმავე წერილით მოპასუხემ მოსარჩელეს წარუდგინა ორი დანართი, რომელთაგან პირველი მოიცავდა იმ ქონებას, რომლის გადაცემასაც ითხოვდა მოსარჩელისაგან. აღნიშნული დანართი მოიცავდა, მათ შორის, „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთს. მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეთა შორის 2010 წლის 30 ივლისს გაფორმდა №... იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხეს იჯარით გადაეცა „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის ზემოაღნიშნული მონაკვეთი. ბუნებრივია, 2010 წლის 30 ივლისს გაზსადენის ამ მონაკვეთის არარსებობის პირობებში, მოპასუხისათვის მისი იჯარით გადაცემა ვერ მოხდებოდა და ვერც ეს უკანასკნელი მოითხოვდა მის გადაცემას;

12.2. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთი არ არსებობს იმის გამო, რომ მის ადგილას ახალი გაზსადენი აშენდა. საინვენტარიზაციო კომისიის მოხსენებით ბარათს ხელს არ აწერენ მოსარჩელის დირექტორები, მას მხოლოდ სხვა თანამშრომლები აწერენ ხელს. შესაბამისად, მოხსენებითი ბარათი ფაქტების მტკიცების კუთხით ვერ მიიჩნევა უტყუარ მტკიცებულებად. მასში მითითებული გარემოებები მხოლოდ მასზე ხელმომწერ პირთა პირად მოსაზრებად/შეხედულებად შეიძლება ჩაითვალოს. ზემოაღნიშნული დასკვნა ქარწყლდება თუნდაც იმით, რომ 2006 წლის პირველ აგვისტოს გაფორმებულ №... ხელშეკრულებაში ცვლილება არ შესულა და საიჯარო ქონება გაზსადენის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთით არ შემცირებულია. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, მოწინააღმდეგე მხარემ 2010 წელს კვლავ მოითხოვა გაზსადენის ამ მონაკვეთის მისთვის იჯარით გა-

დაცემა;

12.3. რაც შეეხება 18.06.2010წ. წერილით წარდგენილ მე-2 და-ნართს, ის მოიცავდა ქონებას, რომელიც მოპასუხის განცხადებით, მას აღარ ესაჭიროებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის განსახორციელებლად, შესაბამისად, იშუამდგომლა ამ ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული დანართი მოიცავდა „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთს, რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ ხსენებული გაზსადენი 2010 წლის 18 ივნისისთვის რეალურად არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე მის დაბრუნებას არ მოითხოვდა;

12.4. მხარეთა შორის ახალი იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 2010 წლის 30 ივლისს, შესაბამისად, 2010 წლის 30 ივლისის ჩათვლით „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის ზემოაღნიშნული მონაკვეთი იმყოფებოდა მოპასუხის მფობელობაში. იმ ქონების უკან დაბრუნება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს აღარ სჭირდებოდა, განხორციელდა 2010 წლის 30 ივლისის შემდეგ. ქონების უკან გადაბარების დროს კი, ფიზიკურად არ აღმოჩნდა (სავარაუდოდ, დატაცების გამო) „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497-დან 506 კმ-მდე მონაკვეთი. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა, რომ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის დასახელებული მონაკვეთი ჯერ კიდევ 2008 წელს არ არსებობდა და ამის თაობაზე მოსარჩელემ 2008 წლის 1 იანვარს უკვე იცოდა, დაუსაბუთებელია. ეს გარემოება ერთმნიშვნელოვნად დგინდება თუნდაც იმით, რომ 2006 წლის 1 აგვისტოს გაფორმებულ №... ხელშეკრულებაში ცვლილება არ შესულა და საიჯარო ქონება არ შემცირებულა გაზსადენის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთით (რაც აუცილებლად მოხდებოდა, გაზსადენის ხსენებული მონაკვეთი მართლაც რომ არ არსებულებოდა ჯერ კიდევ 2008 წელს), ხოლო 2010 წელს მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ მას გაზსადენის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთი სამომავლოდ აღარ სჭირდებოდა;

12.5. 27.11.2015წ. მოხსენებითი ბარათი ვერც ამ შემთხვევაში მიიჩნევა უტყუარ მტკიცებულებად;

12.6. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ „ნ-გ-ის“ მაგისტრალური გაზსადენი და გაზსადენის ფ-ის განშტოება მხარეთა შორის 30.07.2010წ., 08.02.2012წ. და 30.12.2013წ. №... (აღნიშნული ხელშეკრულების ვადა ამოწურა 2016 წლის 31 დეკემბერს) დადებული სასყიდლიანი შენახვის ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაძლებელია გადაცემული მოპასუხეს და 2015-2016 წლამდე მოსარჩელე იხდიდა

შენახვის საფასურს. ეს გარემოება ადასტურებს იმას, რომ მხარე-ებმა 2015-2016 წლამდე არ იცოდნენ გაზსადენის ამ მონაკვეთზე დანაკლისის არსებობის თაობაზე. თუკი, ეს გაზსადენი ჯერ კიდევ 2008 წელს არ არსებობდა, გამოდის, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის არარსებული ქონება გადაუცია შესანახად და არარსებული ქონების შენახვისთვის იხდიდა საფასურს;

12.7. მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია „ნ-გ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის მისთვის შესანახად გადაცემისა და, შესაბამისად, მის ნაწილზე 2015-2016 წლებში (და არა 2008 წელს) დანაკლისის არსებობის/გამოვლენის ფაქტი. მოპასუხე მხოლოდ იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ გაზსადენზე დანაკლისის არსებობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ის სახელმწიფოს ერთ-ერთმა ორგანომ მათი ნებისგან დამოუკიდებლად გაასხვისა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაუსაბუთებლად დაადგინა, რომ აღნიშნული გაზსადენის არა მხოლოდ ნაწილი, არამედ მთლიანი გაზსადენი ჯერ კიდევ 2008 წლისთვის არ არსებობდა. მოპასუხეს, ასევე, სადავოდ არ გაუხდია გაზსადენის ფ-ის განშტოებაზე არსებული დანაკლისის ოდენობა და ის გარემოება, რომ მას მართლაც ეკისრება გამოვლენილი დანაკლისის ანაზღაურების ვალდებულება;

12.8. მართალია, შპს „ჯ. კ-ის“ დასკვნაში „ნ-გ-ს“ 700 მმ მაგისტრალური გაზსადენის გასწვრივ, სიგრძის გრაფაში „0“ არის მითითებული, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ხსენებული გაზსადენი შედის №...7 საბუღალტრო დასახელების გაზსადენში (ანუ, №... გაზსადენი მოიცავს „ნ-გ-ს“ გაზსადენს). №... „ს-ქ-ს“ გაზსადენის გასწვრივ კი გაზსადენის სიგრძის გრაფაში მითითებულია 54,79 კმ;

12.9. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 11.18.2011წ. №... ბრძანების თანახმად, 2011 წლის 18 თებერვალს მცხეთის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოძრავი ქონების, კერძოდ, სოფელ ... მდებარე 1000 მეტრი 800 მმ-იანი და 377,40 მეტრი 800 მმ-იანი ლითონის მილების აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე. მოპასუხის განმარტებით, აუქციონზე გატანილი მილსადენები წარმოადგენს „ნ-გ-ს“ გაზსადენს, თუმცა აღნიშნული საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება. გარდა ამისა, ვინაიდან მცხეთის მუნიციპალიტეტმა აუქციონზე მოძრავი ქონება გაიტანა, ეს ნიშნავს იმას, რომ მილები აუქციონის გამოცხადების მომენტში იმყოფებოდა დასწყობებულ მდგომარეობაში, ანუ არ იყო განთავსებული მიწისქვეშ. მოსარჩელეს მოპასუხისათვის მიწისქვეშ მდებარე გაზსადენი ჰქონდა გადაცემული, რაც ხაზობრივ ნაგებობას და, შესაბამისად, უძრავ ქონებას წარმოადგენს;

12.10. შპს „ჯ. კ-მა“ მოსარჩელის მთელი ქონების ინვენტარიზა-

ცია ჩაატარა და დასკვნაც მთელ ქონებაზე წარადგინა, თუმცა სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი, რეალურად წარმოადგენს აღნიშნული დასკვნის ნაწილს, რომელიც მოიცავს მხოლოდ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნული პირდაპირ იკითხება მოსარჩელის 12.07.2016წ. წერილში, სადაც მითითებულია, რომ წერილს თან ერთვის დასკვნის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზს. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული, რომ სხენებული დასკვნის ნაწილი არ შეიცავს ინფორმაციას ფ-ის განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენზე. შესაბამისად, დასკვნის ამ ნაწილში ფ-ის განშტოების არარსებობა ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ მასზე დანაკლისის გამოვლენის თარიღად 2008 წელი იქნეს მიჩნეული. ზემოაღნიშნულ დანართში სხვა უამრავი გაზსადენიც არ არის შეტანილი, ვინაიდან მოსარჩელის კუთვნილი გაზსადენების უმეტესი ნაწილი „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზს არ უკავშირდება;

12.11. „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და მაგისტრალური გაზსადენის ფ-ის განშტოებაზე არსებული დანაკლისიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მოპასუხეს არ მიუთითებია, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ხანდაზმულობის მოტივით სარჩელის/სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განეცხადებინა;

12.12. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ „რ-თ-ჟ-ის“ გაზსადენზე დანაკლისმა 222 მეტრის ნაცვლად 200 მეტრი შეადგინა. მოსარჩელე გაზსადენების აზომვას აწარმოებს უახლესი ტექნიკისა და მონაცემების გამოყენებით, შესაბამისად, აზომვების დროს ცდომილება გამორიცხებულია. აღნიშნულ გაზსადენზე დანაკლისის არსებობის თაობაზე მოსარჩელემ შეიტყო მოპასუხისაგან, რომელმაც დატაცებული მილების რაოდენობად 200 მეტრი მიუთითა. თავდაპირველად, მოსარჩელემ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და ზიანის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაუკვეთა გაზსადენის 200 მეტრი სიგრძის მონაკვეთის შეფასება. შესაბამისად, სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ექსპერტიზის დასკვნაში 200 მეტრი მილის დანაკლისით გამოწვეული ზიანია შეფასებული. მოგვიანებით, როცა მოსარჩელემ დამოუკიდებლად განახორციელა აზომვები, აღმოჩნდა, რომ დანაკლისის ოდენობა შეადგენდა არა 200 მეტრს, არამედ 222 მეტრს. მოპასუხემ დანაკლისი მხოლოდ 213 მეტრის ნაწილში აღიარა და გადაიხადა შესაბამისი ღირებულება, თუმცა, მიუხედავად მოპასუხის აღიარებისა, სასამართლომ დაადგინა, რომ დანაკლისი 200 მეტრს შეადგენდა. აქედან გამომდინ-

ნარე, მხარეთა შორის სადავოა ხსენებული გაზსადენის 9 მეტრია-
ნი მონაკვეთი.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2021 წლის 14 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივა-
რი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სა-
ფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების
შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუ-
თების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი
უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის
01 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2017 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება „ნ-გ-ის“ 720 მმ მაგის-
ტრალური გაზსადენის 254 მეტრიანი მონაკვეთისა და „ნ-გ-ის“ 820
მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთის დანაკ-
ლისიდან, ასევე, ფ-ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენზე
არსებული 562 მეტრიანი დანაკლისიდან გამომდინარე, მიყენებუ-
ლი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმისა და აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებული პრო-
ცესის ხარჯის განაწილების შესახებ; ასევე, თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 01
ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და გა-
უქმებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს
იმავე სასამართლოს.

15. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს შეფასების
საგანია მხარეთა შორის დადებული იჯარისა და შენახვის ხელშეკ-
რულებებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის
მართლობიერება. კერძოდ, მოსარჩელე ზიანის სახით ითხოვს მო-
პასუხისათვის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე
გადაცემულ მაგისტრალურ გაზსადენებზე არსებული დანაკლისის
ღირებულების ანაზღაურებას.

16. კასატორი დავობს, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია
ხანდაზმულად „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ზაზის 497
კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის დანაკლისიდან გამომდინარე ზია-
ნის ანაზღაურების მოთხოვნა. მისი განმარტებით, საინვესტიციო
კომისიის მოხსენებითი ბარათი ვერ მიიჩნევა იმის დამადას-
ტურებელ უტყუარ მტკიცებულებად, რომ მაგისტრალური გაზსა-

დენის აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული დანაკლისის თაობაზე მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2008 წლის 01 იანვარს იცოდა, ვინაიდან მოხსენებით ბარათს ხელს დირექტორი არ აწერს.

17. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, საინვენტარიზაციო კომისიის მოხსენებითი ბარათი უნდა შეფასდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად და მხოლოდ ამის შემდგომ განისაზღვროს წარმოადგენს თუ არა ის სადავო გარემოების დამადასტურებელ სათანადო და საკმარის მტკიცებულებას.

18. ის გარემოება, რომ ზოგადად მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს დირექტორი წარმოადგენს, არ გამორიცხავს, რომ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელს კომპანიის სხვა უფლებამოსილი თანამშრომლები აწერდნენ. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საინვენტარიზაციო კომისია შეიქმნა მოსარჩელის 01.05.2015წ. ბრძანების საფუძველზე და დაევალა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული მაგისტრალური გაზსადენებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია. შესაბამისად, მოსარჩელემ თავად მიანიჭა კომისიას ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შესაბამისი შედეგის განსაზღვრის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოხსენებითი ბარათი მართებულად მიიჩნია სადავო გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ამასთან, ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობის ვადების დანესებით კანონმდებლის მიზანია გამოირიცხოს კრედიტორის უფლებების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავ-

ლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადან-
ყვეტილების გამოტანას. ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო,
რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფ-
ლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპე-
ციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის
შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი
განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცუ-
ლობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე
(იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირ-
ველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზ-
მულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან და-
კავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

21. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრაქტიკული მნიშვნე-
ლობის საკითხია, თუ საიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადა. სა-
ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულო-
ბის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხო-
ლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც
პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი
თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტუ-
რად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მო-
მენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის
ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ
შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარ-
მოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას,
მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ
როდის უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამასთან,
მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – უნდა შეეტყო, მაშინ შეიძლება
დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურები-
დან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქ-
ტორის განსაზღვრა (იხ. სუსგ საქმე №ას-158-154-2016, 10 თებერ-
ვალი, 2017 წელი; №ას-498-466-2017, 19 ივლისი, 2018 წელი).

22. საკასაციო სასამართლო, ასევე, განმარტავს, რომ სამოქა-
ლაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობი-
სა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხ-
ლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პრო-
ცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებე-
ბის წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებ-
ლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხ-
ლი). მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოება-
ში საქმის სწორად გადანწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების

დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

23. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2006 წლის 01 აგვისტოს მხარეთა შორის დაიდო №... ხელშეკრულება მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენისა და სხვა ქონების იჯარით გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს სხვა ქონებასთან ერთად იჯარით გადაეცა „ყ-თ-ს“ I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთი; დადგენილია, ასევე, რომ მოსარჩელის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ 2015 წელს ჩაატარა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული მაგისტრალური გაზსადენებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია. კომისიის 27.11.2015წ. მოხსენებით ბარათის თანახმად, ინვენტარიზაციის დროს კომისიამ განიხილა და მხედველობაში მიიღო 2008 წელს კომპანია „ჯ. კ-ის“ მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები. მოხსენებით ბარათში ასევე მითითებულია, რომ 09.04.2010წ. №... ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოსარჩელის კუთვნილი უმოქმედო მაგისტრალურების ფაქტიური მდგომარეობის დადგენა, წარადგინა დასკვნა, რომლის მე-20 პუნქტში „ყ-თ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგი: „კორპორაციაში ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს შეცდომით მოხდა გაორება. რეალურად კორპორაციის ბალანსზე უკვე არსებული „ყ-თ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზი იწყებოდა 460,2 კმ-დან და გრძელდებოდა 510,8 კმ-მდე“; აღნიშნული კომისიის დასკვნა განხილულ იქნა მოსარჩელის დირექტორთა საბჭოზე, თუმცა ამ რეკომენდაციამ ბუღალტრულად ასახვა არ ჰპოვა. მოხსენებით ბარათში, ასევე, აღნიშნულია, რომ 2008 წელს აუდიტორული კომპანია „დ. და ტ-ს“ მიერ განხორციელებული შეფასებისას, მათ მიერ მიწოდებულ ელექტრონულ ბაზაში „ყ-თ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის დასახელებულ მონაკვეთთან დაკავშირებით შენიშვნის გრაფაში მითითებულია შემდეგი: „Отсутствует“ (დაკარგული). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული აქტივი მოხსე-

ნებითი ბარათის შედგენის დროისათვის აღარ არსებობდა, კომისიამ ის დანაკლისად, ხოლო დანაკლისის გამოვლენის თარიღად 2008 წლის 01 იანვარი მიიჩნია. აღსანიშნავია, რომ მოხსენებითი ბარათის პროექტი, ასევე, განხილულ და შეფასებულ იქნა მოპასუხის მიერ. ამრიგად, ინვენტარიზაცია ჩატარდა მოსარჩელის ინიციატივით და მას არ წარუდგენია მოხსენებით ბარათში მითითებული ინფორმაციის გამაბათილებელი მტკიცებულება. მხოლოდ ის გარემოება, რომ 2010 წლის 18 ივნისის წერილით მოპასუხემ მოითხოვა მაგისტრალური გაზსადენის ზემოთ მითითებული მონაკვეთის მოსარჩელისათვის დაბრუნება, არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ამ პერიოდისათვის აღნიშნული მონაკვეთი რეალურად არსებობდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 2008 წლის 01 იანვრისათვის მოსარჩელისათვის ცნობილი იყო „ყ-თ-ს“ I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის დანაკლისის თაობაზე.

24. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელემ „ყ-თ-ს“ I ხაზის 497 კმ-დან 506 კმ-მდე მონაკვეთის დანაკლისიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი აღძრა 2016 წლის 29 ივლისს, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია 6-წლიანი ვადის გასვლის გამო (მაგისტრალური გაზსადენი წარმოადგენს ხაზობრივ ნაგებობას, ხოლო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხაზობრივი ნაგებობა უძრავ ქონებად მიიჩნევა).

25. კასატორი იმავე დასაბუთებით სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთის ნაცვლად მოსარჩელის მიერ აშენდა ახალი – „გ. ნ-ის“ მონაკვეთი.

26. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მოხსენებითი ბარათის დანართის – მოსარჩელის ბალანსზე რიცხული მაგისტრალური გაზსადენებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ბუღალტრული ნაშთი 07.05.2015წ. მდგომარეობით – თანახმად, „ყ-თ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზის 478,25 კმ-დან 480,35 კმ-მდე მონაკვეთის ადგილას აშენდა ახალი – „გ-ნ-ის“ მონაკვეთი. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება მაგისტრალური გაზსადენის დასახელებული მონაკვეთის სავარაუდო დატაცების თაობაზე.

27. „რ-თ-ჟ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის II ხაზის უმოქმედო 529 მმ მონაკვეთზე არსებულ დანაკლისთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ დანაკლისის ოდენობა შეადგენს 222 მეტრს.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე დანაკლისის ოდენობად 213 მეტრს მიიჩნევს. მხარეები საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად მიუთითებენ მათ მიერ ჩატარებულ აზომვით სამუშაოებზე, თუმცა მხარეებს აღნიშნული დოკუმენტი და აზომვის შედეგების ამსახველი სხვა მტკიცებულება საქმეში არ წარუდგენიათ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ აღიარა დასახელებულ მაგისტრალურ გაზსადენზე დანაკლისის არსებობა 213 მეტრის ოდენობით და შესაბამისი ღირებულებაც გადაიხადა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მხარეებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მათი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლების შესაბამისად, ვერ წარადგინეს მათ მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „რ-თ-ჟ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე არსებული დანაკლისი მოპასუხის მიერ აღიარებული ოდენობის ფარგლებში მართებულად განისაზღვრა. შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათვის დამატებით 9 მ დანაკლისის ღირებულების დაკისრების საფუძველი.

28. კასატორი, აგრეთვე, დავობს, რომ სასარჩელო მოთხოვნა „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ-ის განშტოებაზე არსებული დანაკლისიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ არის ხანდაზმული, თუმცა ასეც რომ იყოს, მოპასუხეს ხანდაზმულობის თაობაზე შესაგებელში ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ მიუთითებია, რის გამოც სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ამ საფუძვლით უარი ეთქვა სარჩელის/სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

29. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს. ამგვარი მითითების მიმართ კი გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი. ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული შეზღუდვა გამომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან: თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით ილაჩება მხარის უფლება. გარდა ამისა, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებ-

ლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში. ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება (იხ. სუსგ საქმე №ას-586-551-2010, 11 ნოემბერი, 2010 წელი; №ას-1350-1275-2012, 25 მარტი, 2013 წელი).

30. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს არც შესაგებელში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე მიუთითებია „ნ-გ-ს“ 720 მმ მაგისტრალური გაზსადენის 254 მეტრიანი მონაკვეთის, „ნ-გ-ს“ 820 მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთისა და ფ-ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენის 562 მეტრიანი მონაკვეთის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. უფრო მეტიც, ხანდაზმულობის თაობაზე მას საკასაციო შესაგებელშიც კი არ მიუთითებია. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი თავისი ინიციატივით ემსჯელა ამ ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობაზე.

31. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ-ს განშტოებაზე არსებული დანაკლისიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ არის ხანდაზმული შემდეგი გარემოების გამო: მოსარჩელის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 27.11.2015წ. მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში გაზსადენის აზომვისას გამოირკვა, რომ „ნ-გ-ს“ მაგისტრალური გაზსადენის ნაწილი აღარ არსებობს და სახეზეა მხოლოდ 700 მმ დიამეტრიანი გაზსადენი სიგრძით 8 287 კმ, ხოლო 800 მმ-იანი მთლიანად დემონტირებულია, რისი გათვალისწინებითაც დანაკლისმა შეადგინა $\Delta=700$ მმ მონაკვეთის – 254 მეტრი და $\Delta=800$ მონაკვეთის 1518 მეტრი; რაც შეეხება ფ-ის განშტოების უმოქმედო მონაკვეთებს, აზომვის შედეგად გამოვლინდა განშტოების $\Delta=159$ მმ მონაკვეთის 0,562 კმ-ის დანაკლისი. ამასთან, შესაგებელზე დართული მოსარჩელის 12.07.2016წ. წერილიდან ირკვევა, რომ მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელემ მას შპს „ჯ. კ-ის“ დასკვნის ის ნაწილი გადაუგზავნა, რომელიც მოიცავდა მხოლოდ „ყ-თ-ის“ მაგისტრალური გაზსადენის I ხაზთან დაკავშირებულ ინფორმაციას. შესაბამისად, დასაბუთებულია კასატორის მითითება, რომ აღნიშნულ დასკვნაში „ნ-გ-ს“ მაგისტრალური გაზსადენისა და გაზსადენის ფ-ს განშტოების თაობაზე ინფორმაციის არარსებობა გამომ-

ვეული იყო დასკვნის არასრულყოფილებით.

32. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ...ს განშტოებაზე დანაკლისი გამოვლინდა 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად. შესაბამისად, სწორედ ამ დროისათვის გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის დანაკლისის არსებობის თაობაზე და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც სწორედ აქედან უნდა დაიწყოს.

33. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელემ განსახილველი სარჩელი აღძრა 2016 წლის 29 ივლისს, შესაბამისად, ვინაიდან „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ-ს განშტოებაზე არსებული დანაკლისის თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ არის ხანდაზმული, ვინაიდან არ არის გასული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა.

34. შესაბამისად, „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ-ს განშტოებაზე არსებული დანაკლისიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

35. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა/არარსებობა. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში არ არის დადგენილი ჰქონდა თუ არა ადგილი „ნ-გ-ს“ 720 მმ მაგისტრალური გაზსადენის 254 მეტრიანი მონაკვეთის, „ნ-გ-ს“ 820 მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთისა და ფ-ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენის 562 მეტრიანი მონაკვეთის დანაკლისს, აღნიშნული დანაკლისი გამოწვეულ იქნა თუ არა მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგად და ამ გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, დასახელებული მაგისტრალური გაზსადენების დანაკლისიდან გამომდინარე, რა ოდენობის ზიანი მიადგა მოსარჩელეს.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინე-

ბული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

37. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადანყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ჰქონდა თუ არა ადგილი „ნ-გ-ს“ მაგისტრალურ გაზსადენზე და გაზსადენის ფ-ს განშტოებაზე დანაკლისის და აღნიშნული დანაკლისი გამოწვეულ იქნა თუ არა მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგად, ხოლო ამ გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, უნდა დადგინდეს მიყენებული ზიანის ოდენობა.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადანყვედეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. ნ-სა და გ-ს კ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 01 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 ივნისის გადანყვეტილება „ნ-გ-ს“ 720 მმ მაგისტრალური გაზსადენის 254 მეტ-

რიანი მონაკვეთისა და „ნ-გ-ს“ 820 მმ მაგისტრალური გაზსადენის 1518 მეტრიანი მონაკვეთის დანაკლისიდან, ასევე, ფ....ს განშტოების 159 მმ დიამეტრის გაზსადენზე არსებული 562 მეტრიანი დანაკლისიდან გამომდინარე, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცესის ხარჯის განაწილების შესახებ; ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 01 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და გაუქმებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-400-2020

15 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
რ. ნადარაია**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

მ. გ-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“ ან „გამსესხებელი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ს-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „მსესხებელი“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 19 260 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 07.05.2014წ. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარ-

ჩელემ მოპასუხეს ასესხა 25 000 აშშ დოლარი სარგებლით. ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 07.09.2014 წ..

2.2. მსესხებელმა ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში სრულად ვერ შეასრულა. მან მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, რის თაობაზეც თავისივე ხელით შეასრულა „მინანერი“ ხელშეკრულების ბოლო ფურცლის უკანა გვერდზე და დაადასტურა ხელმოწერით.

2.3. მოპასუხე პერიოდულად ასრულებდა ვალდებულებას და გამსესხებელს უხდიდა თანხის გარკვეულ ოდენობას.

2.4. იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ვადიდან გასული იყო 3 წელი, ნოტარიუსმა უარი განაცხადა სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე.

2.5. მოპასუხეს დარჩენილი აქვს დავალიანება – 19 260 აშშ დოლარი.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა. 07.05.2014წ. ხელშეკრულების ვადა არ გაგრძელებულა. სესხის ხელშეკრულების გაფორმების დღესვე, სანოტარო ბიუროდან გამოსვლისას, მოსარჩელის მეუღლე გ.კ-ვამ სთხოვა, რომ რადგანაც ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული სესხის დაბრუნების გრაფიკი, მსესხებელს თავისივე ხელით მიეწერა, რომ ის ვალდებულებას შეასრულებდა და თანხას სრულად გადაიხდიდა. სესხად აღებული თანხა სარგებელთან ერთად მოპასუხემ დააბრუნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

3.2. მოპასუხის „მინანერი“ ხელშეკრულების ბოლო ფურცელზე არ ნიშნავს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას, რადგან მასზე თარიღი მითითებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მეოთხე პუნქტის თანახმად, ვადა უნდა გაგრძელდეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ასეთი შეთანხმება უკვე ახალი ხელშეკრულების ტოლფასია და მოითხოვს ორივე მხარის ხელმოწერას, რაც არ განხორციელებულა.

3.3. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. სენაკის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 21.05.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ გაუშვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და თავისი უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.02.2020წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 19 260 აშშ დოლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

6.1. 07.05.2014 წელს, მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმდა სარგებლიანი სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 25 000 აშშ დოლარი. სარგებელი შეადგენდა ყოველთვიურად 4 პროცენტს (1000 აშშ დოლარს). სესხის ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, გარიგების ღირებულება, სესხის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების გათვალისწინებით, შეადგენდა 29 000 აშშ დოლარს.

6.2. სესხის ხელშეკრულების მე-2 პუნქტით სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 07.09.2014 წელი, ხოლო სესხის ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განისაზღვრა მხარეთა უფლებამოსილება, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გააგრძელონ ამ ხელშეკრულების ვადა.

6.3. მოპასუხემ ვერ შეძლო სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, 07.09.2014 წლის ჩათვლით, სესხის ძირითადი თანხა მოსარჩელეს ვერ დაუბრუნა. სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ, მოპასუხემ არაერთხელ აღიარა მოსარჩელის მიმართ ვალი და იკისრა მისი სრულად გადახდის ვალდებულება. ამასთან, მოპასუხემ გააგრძელა სესხის დაფარვა ნაწილ-ნაწილ.

6.4. 13.04.2018 წლის მდგომარეობით (სარჩელის აღძვრის თარიღი), მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ სესხის გადაუხდელი ძირი თანხის სახით შეადგენს 19 260 აშშ დოლარს.

6.5. სააპელაციო პალატის მითითებით, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, თუმცა მას ამ გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა მოწმეები (17.04.2019 წლის სხდომის ოქმი), მაგრამ მოწმეთა ჩვენება, სასეს-

ხო ვალდებულების შესრულების დადასტურების თვალსაზრისით, სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ამასთან, მოწმეთა ჩვენების მიხედვით, ისინი თანხის უშუალოდ გადაცემის ფაქტს არ დასწრებიან და არც მხარეთა შორის საუბრის შინაარსი გაუგიათ.

6.6. ის გარემოება, რომ მოპასუხემ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ არაერთხელ აღიარა ვალის არსებობის ფაქტი და გააგრძელა სესხის დაფარვა, დასტურდება საქმეში არსებული სხვადასხვა წერილობითი მტკიცებულების ერთობლიობით. მათ შორის საქმეში არსებული, 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულების მეორე გვერდზე, მოპასუხის ხელმოწერით დადასტურებული ხელნაწერი ტექსტით: „გაგრძელებ მანამდე, სანამ ბოლო ფულს არ გადავიხდი თავიდან ბოლომდე. ხელს ვანერ: ე. ს-ძე“; ასევე, მოპასუხის ხელმოწერით დადასტურებული ხელწერილი – „დღეისათვის 17.09.2017წ. მე ე. ს-ძეს მაქვს მ. გ-ას დარჩენილი ვალი 23500 აშშ დოლარი“, ტექსტით: „ხელწერილი უვადო. პროცენტი არის 4%“.

6.7. ხელწერილების მოპასუხის ხელმოწერით დადასტურების ფაქტი დგინდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 13.02.2019წ. №000662519 დასკვნით, ასევე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 04.05.2018წ. შესაგებლით და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.10.2018წ. №007495918 დასკვნით. ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, ზემოთ მითითებულ ხელნაწერ ტექსტზე ხელმოწერა, ასევე, სამოქალაქო საქმეში არსებული და 04.05.2018 წლით დათარიღებული შესაგებლის მე-11 გვერდზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია ერთი და იგივე პირის მიერ. ამ გარემოებას შესაგებელში ადასტურებს თავად მოპასუხეც, თუმცა განმარტავს, რომ ჩანაწერში არსებული სიტყვა „გაგრძელებ“ არ მიუთითებს სახელშეკრულებო ვადის გაგრძელების შესახებ მხარეთა შეთანხმებაზე. არამედ ის გულისხმობს, რომ „თანხის გადახდას გააგრძელებდა ნაწილ-ნაწილ, რადგან ერთიანად სესხის თანხის გადახდა მისთვის შეუძლებელი იყო“.

6.8. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 59.1 მუხლზე და განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულებაზე ზემოთ მითითებული ჩანაწერი არ წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ, ვინაიდან დაცული არ არის გარიგების მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფორმა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან მხარეებმა მათ შორის არსებული სესხის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის სანოტარო ფორმა განსაზღვრეს, სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადაც, ძირითადი ხელშეკრულების იდენტურად, სანოტარო წესით

დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულებით უნდა გაეგრძელე-
ბინათ. ამასთან, მართალია, ხსენებული ჩანაწერი არ წარმოადგენს
სახელშეკრულებო ვადის გაგრძელების დამადასტურებელ მტკი-
ცებულებას, მაგრამ მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ მოპასუხე აღი-
არებს ვალს და კისრულობს მისი სრულად – „თავიდან ბოლომდე“
დაფარვის ვალდებულებას, რაც განხილული უნდა იქნეს ხანდაზ-
მულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად.

6.9. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დადგინდეს ვალის აღიარების
კონკრეტული თარიღიც. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ვა-
ლი აღიარა და მისი სრულად დაფარვის ვალდებულება იკისრა მას
შემდეგ, რაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო
ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, ანუ სახელშეკრულებო ვა-
დის ამოწურვის შემდგომ პერიოდში. მოპასუხის მტკიცებით კი, ჩა-
ნაწერი ხელშეკრულებაზე შესრულებულია მოსარჩელის მეუღლის,
გ. კ-ვას მოთხოვნით, ხელშეკრულების გაფორმების დღეს. პალა-
ტამ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება და აღნიშნა, რომ ის რაიმე
მტკიცებულებით არ დასტურდება. მონმე გ. კ-ვა არ ადასტურებს
მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებას და ამასთან, მნიშვნე-
ლოვანია, რომ ჩანაწერის შინაარსი – „ვაგრძელებ მანამდე, სანამ
ბოლო ფულს არ გადავიხდი, თავიდან ბოლომდე“, აშკარად მიუთი-
თებს, რომ ის შესრულებულია სწორედ სახელშეკრულებო ვადის
ამოწურვის შემდეგ, ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმების დღეს
ამგვარი აღიარება/ვალდებულების კისრება აზრსმოკლებული იქ-
ნებოდა და მისი საჭიროება არ იარსებებდა. იმ გარემოების გათვა-
ლისწინებით, რომ მოპასუხემ ვალის სრულად დაფარვის ვალდე-
ბულება იკისრა 2014 წელს, ხოლო კონკრეტული თვე და რიცხვი არ
დგინდება, სსკ-ის 123.2 მუხლის საფუძველზე, ვალის აღიარების
თარიღად მიჩნეულ უნდა იქნეს 31.12.2014 წელი. განმეორებით კი,
ვალის – 23500 აშშ დოლარის არსებობის ფაქტი, მოპასუხემ ასევე
წერილობით აღიარა 17.09.2017 წელს.

6.10. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე, მოსარჩე-
ლესთან შეთანხმებით, სესხის თანხას იხდიდა ნაწილ-ნაწილ, სა-
ხელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგაც, რაც ასევე განხი-
ლული უნდა იქნეს ხანდაზმულობის გასული ვადის შეწყვეტის სა-
ფუძველად. მოპასუხის მიერ, სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის
შემდეგ, სესხის ნაწილის დაფარვის ფაქტი დასტურდება არა მხო-
ლოდ მოსარჩელის განმარტებით, არამედ საქმეში არსებული სხვა
წერილობითი მტკიცებულებების ერთობლიობით. მათ შორის
№068040418001 სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებ-
ში, მოპასუხის მონმის სახით დაკითხვის ოქმით, სადაც ის უთი-
თებს, რომ მოსარჩელისაგან ისესხა 25000 აშშ დოლარი და დაფა-

რული აქვს 41000 აშშ დოლარი. მართალია, მოპასუხის მიერ 41000 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურების ფაქტი სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება, მაგრამ მოპასუხის მიერ განვითარებული მსჯელობის მიხედვით, ის სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ მინიმუმ 16 თვის მანძილზე მაინც იხდიდა სესხის თანხას. პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა საქმეში წერილობითი მტკიცებულების სახით არსებულ დ.მ-ას (მოპასუხის დედა) მოწმის სახით დაკითხვის ოქმზე, სადაც ის მიუთითებს, რომ მოსარჩელეს ყოველთვიურად უხდიდნენ სესხის ძირსა და პროცენტს და 18.04.2018 წლის მდგომარეობით დარჩენილი აქვთ დავალიანება 600 აშშ დოლარის ოდენობით. მართალია, სამოქალაქო საქმის განხილვის ფარგლებში, დ.მ-ამ განმარტა, რომ მის შვილს რაიმე დავალიანება მოსარჩელის მიმართ არ გააჩნია და ეს შვიტყო გამომძიებლისათვის ჩვენების მიცემის შემდეგ, მაგრამ, მოწმის ჩვენების, მოსარჩელის განმარტებისა და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით შეფასების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის განმარტება, სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ, მოპასუხის მიერ ვადის არასრულად, ნაწილ-ნაწილ დაფარვის შესახებ დამაჯერებელია და ის გაზიარებული უნდა იქნეს.

6.11. 07.05.2017 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ ხანდაზმული არ არის. სესხის ხელშეკრულებით მოპასუხე კისრულობდა სესხის თანხის 07.09.2014 წელს დაბრუნების ვალდებულებას, რაც არ შეასრულა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან დაიწყო ხანდაზმულობის ვადის დენა. პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ორი წინაპირობა – გარკვეული შესრულების განხორციელების გზით და ვალდებულების სხვაგვარად აღიარებით. დადგენილია, რომ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდგომ პერიოდში მოპასუხე პერიოდულად ფარავდა სასესხო დავალიანებას, ამასთან, მოპასუხემ 31.12.2014 წელს და 17.09.2017 წელს წერილობით აღიარა მოსარჩელის მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტი და გამოხატა ნება მისი სრულად დაფარვის შესახებ. სსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისა და ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავიდან დაწყების წინაპირობა. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მომართა 13.04.2018 წელს, ე.ი. ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვამდე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხანდაზმულობის მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

7.1. სასამართლომ მიკერძოებულად და არასწორად შეაფასა 07.05.2014წ. ხელშეკრულების ბოლო გვერდზე შესრულებული ბუნდოვანი შინაარსის მქონე ტექსტი. მოპასუხემ მოსარჩელის მეუღლის თხოვნით ხელშეკრულების ბოლო გვერდის უკანა მხარეს დაუსვა „ფაქსიმილე“ ისე, რომ მის ზემოთ რაიმე ტექსტი არ დაუნერია, ასეთი ტექსტი იმ მომენტისათვის არ არსებობდა. ჩანაწერი: „ვაგრძელებ მანამდე ...“, შესრულებულია მოპასუხის მიერ „ფაქსიმილეს“ დასმის შემდეგ, სხვა დროს, გაურკვეველი პირის მიერ.

7.2. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული ჩანაწერი მიიჩნია ვალის აღიარებად, თუმცა ჩანაწერში მკაფიოდ არ არის დაფიქსირებული მისი ავტორის ნება და შინაარსი, თუ რას აგრძელებს: ხელშეკრულების მოქმედების ვადას, თუ თანხის გადახდას სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, არასწორია ამ ჩანაწერის ვალის აღიარებისა და ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად მიჩნევა. ამავდროულად, სააპელაციო პალატამ სსკ-ის 123.2 მუხლზე მითითებით ვალის აღიარების თარიღად არასწორად მიიჩნია 31.12.2014 წელი. ხელშეკრულების მიხედვით არ არის მითითებული ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირეებით, თვეებით და ა.შ..

7.3. სააპელაციო პალატამ არასწორად და მიკერძოებულად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი 17.09.2017წ. ხელწერილიც, რომელიც გაყალბებულია. სასამართლომ შეაფასა მხოლოდ ხელწერილის ზედა ნაწილი და შეფასების მიღმა დატოვა ხელწერილზე არსებული ხელმოწერის ქვემოთ ჩაწერილი ტექსტი, თანხისა და პროცენტის გამომხატველი ციფრობრივი მონაცემები და მათზე არსებული გაყალბების კვალიც.

7.4. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტექსტი: „დღეისათვის 17/09/2017წ. მე ე.ს-ძეს მაქვს მ.გ-ას დარჩენილი ვალი 23500 აშშ \$ ძირი, ხელწერილი უვადო პროცენტი არის 4“, არ არის შესრულებული მოპასუხის მიერ. ჩვეულებრივ, როდესაც ხელწერილი დგება ის მოვალის მიერ უნდა იყოს შესრულებული (გარდა ნაბეჭდი სახისა), რადგან ხელწერილის მიზანია კრედიტორს ჰქონდეს მოთხოვნის ნამდვილი უფლება. მხოლოდ ხელმოწერის არსებობა არ ნიშნავს ასეთი მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან პირმა შეიძლება ცარიელ ფურცელზე მოაწეროს ხელი და მის ზემოთ ნებისმიერმა პირმა ჩა-

წეროს ან ჩანაცვლოს ტექსტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ხელმოწერის ზემოთ არსებული ტექსტი და თანხის აღმნიშვნელი ციფრები ხელმოწერის შემდეგ არის შესრულებული.

7.5. საქმეში არსებული ხელწერილი და ხელშეკრულებაზე მინაწერი არ წარმოადგენენ, სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ, ვალის აღიარების ხელშეკრულებებს. ისინი, თავიანთი ბუნდოვანებიდან და საექსპოზიციოდან გამომდინარე, დამოუკიდებელ, ახალ მოთხოვნას ვერ წარმოშობენ.

7.6. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ მოპასუხე ნაწილ-ნაწილ იხდიდა სესხის თანხას. აღნიშნული გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

7.7. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას ვერ განაპირობებს პალატის ვერც იმ მსჯელობის გაზიარება, თითქოს მოპასუხე და დ.მ.ა აღიარებენ მოსარჩელის მიმართ ვალდებულების არსებობას სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიცემულ ჩვენებებში, რადგან უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლებრივი ძალის მატარებელია მხოლოდ ისეთი აღიარება, რომელიც განხორციელდა ხანდაზმულობის ვადაში და არა მისი გასვლის შემდეგ. აღნიშნულ ე.წ. „აღიარებას“ კი ადგილი ჰქონდა 2018 წლის აპრილის თვეში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის არცერთი წინაპირობა.

7.8. სასამართლომ არასწორად დაიანგარიშა მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია

(შედავება). სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს.

11. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

11.1. 07.05.2014წ. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 25 000 აშშ დოლარი სარგებლით (ყოველთვიურად 4 პროცენტი). ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 07.09.2014 წ.

11.2. ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არ გაგრძელებულა (იხ.: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12.02.2020წ. გადაწყვეტილება).

12. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხეს სარჩელზე წარდგენილი აქვს შემაფერხებელი შესაგებელი სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი დაფუძნებულია მასზე, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, სწორედ ამ დასკვნის კანონიერების შემოწმება წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სასამართლო უკავშირებს შემდეგ გარემოებებს: ა) მოპასუხემ 31.12.2014 წელს და 17.09.2017 წელს წერილობით აღიარა მოსარჩელის მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტი (ვალის აღიარება წერილობით); ბ) სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდგომ მოპასუხე პერიოდულად ფარავდა სასესხო დავალიანებას (ვალის აღიარება ვალდებულების შესრულებით (თანხის ნაწილის გადახდით)).

13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნების გამოვლენა სსკ-ის 341-ე მუხლით (იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას; თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი) განმტკიცებულ ვალის არსებობის აღიარებად რომ დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები წარმოშვას,

ის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს უნდა ქმნიდეს, რამდენადაც ვალის აღიარება დამოუკიდებელ გარეგებად განიხილება და მისი დანიშნულება სწორედ ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა. არაერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს (შდრ. სუსგ-ები №ას-839-890-2011, 8.11.2011წ.; №ას-392-371-2013, 8.11.2013წ.; №ას-1083-1040-2016, 26.04.2018წ.; №ას-758-2019, 22.10.2019წ.).

14. ვალის არსებობის აღიარება უნდა აკმაყოფილებდეს გარეგების ნამდვილობის პირობებს. ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს მისთვის მახასიათებელი ყველა არსებითი პირობა: კრედიტორისა და მოვალის მონაცემები, მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულება და მომავალში მისი შესრულების განზრახვა (იხ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 12; შდრ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 11.11.2013წ.). პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (სუსგ №ას-1133-1079-2014, 30.09.2015წ.; №ას-226-213-2015, 18.05.2015წ.). რადგან ვალის კონსტიტუციური აღიარების დროს ახალი მოთხოვნა წარმოიშობა, ახალი ხანდაზმულობის ვადა იწყება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძველი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმულია, ახალი ვადა მაინც იწყება ათვლას (შდრ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 21).

15. ვალის აბსტრაქტული (კონსტიტუციური) აღიარების, როგორც ვალდებულების წარმოშობის ახალი საფუძვლისაგან, უნდა

გაიმიჯნოს ე.წ. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება. დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია არსებული ვალდებულების დადასტურება, მტკიცების პროცესის გამარტივება, შემდგომი დავის თავიდან აცილება, სადავო საკითხების მოწესრიგება, მათ შორის, ყველა იმ ფაქტისა, თუ არგუმენტის გაქარწყლება, რომელიც ვალის არსებობას გამოორიცხავს, ან თუნდაც, ეჭვქვეშ დააყენებს (Sprau, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, §781, Rn. 2-6; ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.11). ამდენად, კაუზალური აღიარების მიზანია ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება და არა ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, დავისა თუ გაურკვევლობის თავიდან აცილება (შდრ. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014წ. §781, ველი 2,3).

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით ვალის კონსტიტუციური (აბსტრაქტული) აღიარებისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. კერძოდ, დეკლარაციული („კაუზალური“) აღიარება, სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას), უკვე ხანდაზმული მოთხოვნის ვადას კი არ აღადგენს, არამედ ხანდაზმულობის მიმდინარე ვადის შეწყვეტას იწვევს (იხ.: ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.12; შდრ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 24). შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავიდან. სსკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა (სუსგ №ას-1029-949-2017, 23.02.2018წ.).

17. სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შეფასდეს ის ორი ხელწერილი, რასაც ეყრდნობა დასკვნა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებით, კერძოდ,

მოპასუხის ხელმოწერებით დადასტურებული (იხ.: ექსპერტიზის 13.02.2019წ. და 26.10.2018წ. დასკვნები) 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულების მეორე გვერდზე ხელწერილი და 17.09.2017წ. ხელწერილი. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულების მეორე გვერდზე მოპასუხის ხელმოწერით დადასტურებული ტექსტი სსკ-ის 341-ე მუხლის შესაბამის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს არ ქმნის. აღნიშნული დოკუმენტიდან დგინდება, რომ იგი არა ახალი ხელშეკრულება, არამედ სხვა, უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენაა. ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას არ წარმოშობს და უკვე არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ვალს ეხება მოპასუხის მიერ ხელმოწერილი 17.09.2017წ. ხელწერილიც. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 17.09.2017წ. ხელწერილი არ შეიცავს დაპირებას/მზაობას მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის დავალიანების გადახდის თაობაზე. იგი მხოლოდ აზუსტებს/ადასტურებს უკვე არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულების მოცულობას. გამომდინარე აქედან, ეს ორი დოკუმენტი შედგენიას უკვე ხანდაზმული მოთხოვნის ვადას ვერ აღადგენს. მათი გაფორმება ხანდაზმულობის მიმდინარე ვადის შეწყვეტასა და მის თავიდან ათვლას განაპირობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გაფორმებისას მოთხოვნა ჯერ კიდევ არ იყო ხანდაზმული. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს მოპასუხის მიერ ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარებისას იყო თუ არა 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმული.

18. ზემოაღნიშნული გარემოების გამოსარკვევად, მნიშვნელოვანია, 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულების მეორე გვერდზე მოპასუხის ხელმოწერით დადასტურებული ხელნაწერის შესრულების თარიღის დადგენა. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, რომელიც აღნიშნული ხელნაწერის შესრულების თარიღად 31.12.2014 წლის მიჩნევას ეხება, წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 123.2 მუხლის საფუძველზე განვითარებულ მსჯელობას (იხ. წინამდებარე განჩინების 6.9. პუნქტი). აღნიშნული ნორმა ხანგრძლივი ვადის დამთავრების წესს ადგენს (იხ. ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2017, მუხლი 123, ველი 3 და შემდგომი) და მასზე დაყრდნობით დოკუმენტის გაფორმების თარიღი ვერ დადგინდება. აღსანიშნავია, რომ სარ-

ჩელში მოსარჩელე 07.05.2014 წლის სესხის ხელშეკრულების მეორე გვერდზე მინაწერის შესრულების დროდ უთითებდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის პერიოდს – „ვერ შეასრულა ვალდებულება და თავად ითხოვა ვადის გაგრძელება“. მნიშვნელოვანია გაირკვეს, მას შემდეგ, რაც მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი ხანდაზმულობაზე, თავად მოსარჩელე რა გარემოებაზე (მინაწერის განხორციელების რა თარიღზე) და მის დამადასტურებელ რა მტკიცებულებაზე აპელირებდა.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ საწყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში [სსსკ-ის 105-ე მუხლი].

20. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები, სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაც-

ხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2004, გვ.64; სუსგ №ას-661-661-2018, 31.07.2020წ., პუნ.23,24).

21. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ხანდაზმულობის შეწყვეტის თაობაზე დასკვნას ასევე აფუძნებს ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა ვალდებულების შესრულება (თანხის ნაწილის გადახდა). ხანდაზმულობის შემწყვეტი ერთ-ერთი წინაპირობის დადგენა საკმარისია იმისათვის, რომ სარჩელი არ იქნეს ხანდაზმულად მიჩნეული. ვალდებულების შესრულების საკითხი საჭიროებს კვლევას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სესხის ნაწილის თითოეული გადახდის დროის/თარიღის დადგენა. სახელშეკრულებო ვადის ამონურვის შემდეგ ყოველი გადახდა სსკ-ის 137-ე (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წი-

ნაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას) და 141-ე (თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან) მუხლების თანახმად, ინვესტ მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და მის თავიდან ათვლას. სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის (07.09.2014წ.) შემდეგ, მოპასუხის მიერ სესხის ნაწილის გადახდის ფაქტი (ასეთის დადასტურების შემთხვევაში) ავტომატურად არ გამოორიცხავს 13.04.2018წ. აღძრული სარჩელის ხანდაზმულობას.

22. დაუსაბუთებელია შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა. სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა გარემოებას მასზე, რომ მხარეთა შორის მოხდა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, რაც გულისხმობს შესაბამის პერიოდზე ყოველთვიური პროცენტის გადახდის ვალდებულების გაგრძელებასაც. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილია და საკასაციო საჩივრით სადავო არ გამხდარა, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არ გაგრძელებულა. საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკით დადგენილია, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (სუსგ №ას-408-381-2017, 30.06.2017წ.). ამდენად, მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულება შეადგენდა 25000 აშშ დოლარს – ძირი და 4000 აშშ დოლარს – პროცენტი და სწორედ ამ თანხებს უნდა გამოაკლდეს მოპასუხის მიერ შესრულებული გადახდები.

23. მხარეები ადასტურებენ, რომ მოპასუხეს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში კომუნიკაცია ძირითადად მოსარჩელის მეუღლე გ. კ-ვასთან ჰქონდა. გ. კ-ვა წინამდებარე საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 19.03.2019წ. მოწმედაც არის დაკითხული, სადაც აცხადებს, რომ თანხიდან, რომლის გადახდასაც ითხოვს მოსარჩელე, 13500 აშშ დოლარი არის ძირი (იხ.: სხდომის ოქმი და CD დისკი). იგივე ოდენობა დაასახელა მოსარჩელის წარმომადგენელმა 30.04.2019წ. სხდომაზე თავის საპაექრო სიტყვაში (იხ.: სხდომის ოქმი და CD დისკი). ასევე აღსანიშნავია, რომ მოწმე მოპასუხის მიერ სარგებლის სახით არა 4000 აშშ დოლარის, არამედ 10600 აშშ დოლარის გადახდას უთითებდა (იხ.: სხდომის ოქმი და CD დისკი). შესაბამისად, შესასრულებელი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მოწმის ეს ჩვენებაც უნდა იქნეს გამოკვლეული. ოდენობასთან მიმართებით ასევე

მნიშვნელოვანია 13.02.2019წ. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გარემოებები. ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას (იმდენად რამდენადაც იგი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილია ასახული საბოლოო დასკვნაში. მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოობის) შემოწმებას (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015წ.).

24. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამდენად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, თუმცა, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს საქმის მასალები, სრულყოფილად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

25. რაც შეეხება საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ით-

ვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განვიწესოთ პროცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, განსხვავებით პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებისაგან, კანონმდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს. შესაბამისად, არ არსებობს შუამდგომლობის საკასაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების საფუძველი და მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს (სუსგ №ას-48-2020, 17.09.2020წ.). ასეთი შუამდგომლობის სააპელაციო სასამართლოში დაყენების შემთხვევაში სააპელაციო პალატა იმსჯელებს მასზე სსსკ-ის 380-ე მუხლით დადგენილი წესით.

26. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.02.2020წ. გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

2. ე. ს-ძის შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge